პალიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
27 მარტი **ოთხშაბათი** 2013
№071 (13 987) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბორჯღალოსნებს სქუადრა აძურა ვერ დაუძვრა



ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატი

13

# დიდი ნაბიჯი ბრაზილიისკენ



5



# პოდგორიცა: საშიში ქალაქი

ინგლისმა ჩერნოგორია ვერ გატეხა, სამაგიეროდ, ბალკანელმა ფანებმა ერთმანეთი დაასისხლიანეს



# ბარსელონას ვილანოვა დაუბრუნდა



7

# მცირე შანსის იმედია

დღეს ქართველი 17-წლამდელები ელიტრაუნდის მეორე ტურში ირლანდიას ხვდებიან



2

U17

# მცირე შანსის იმედია



დღეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის მეორე ტურის მატჩს ჩაატარებს. **გიორგი დევდარიანის** გუნდის მეტოქე ირლანდია იქნება, რომელმაც პირველ ტურში მასპინძელ ავსტრიას 1:0 სძლია. საქართველოს ნაკრები კი, შეგახსენებთ, სერბეთთან 0:2 დამარცხდა. საქართველო-ირლანდიის შეხვედრა თბილისის დროით 14 საათზე დაიწყება.

რასაკვირველია, ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსის შესანარჩუნებლად ქართველებს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ. იმედი დავიტოვოთ, რომ ჩვენი 17-წლამდელები ამას შეძლებენ და ეგებ, სერბეთსაც დაუცდეს ფეხი ავსტრიასთან.

დღევანდელ შეხვედრას ყვითელი ბარათების ჭარბი რაოდენობის გამო საქართველოს ნაკრების ორი ძირითადი ფეხბურთელი, **გიორგი თევზაძე** და **თენგიზ გოროზია** დააკლდება, დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ კი გუნდს **ზურაბ გელაშვილი** უბრუნდება.

პირველი ტურის შემდეგ ჩვენი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 2. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. ავსტრია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

# ჭანკოტაძე და სარდალიშვილი დუბლებში

"ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის, **კახა კაჭარავას** გადაწყვეტილებით, გუნდის ახალგაზრდა ნახევარმცველები, 21 წლის **გიორგი ჭანკოტაძე** და მისი თანატოლი **მიხეილ სარდალიშვილი** დუბლშემადგენლობაში გადაიყვანეს.

ჭანკოტაძემ სეზონის პირველი ნახევარი ბოლნისის "სიონში" გაატარა, სადაც 12 მატჩში 1 გოლი გაიტანა, სარდალიშვილი კი "ზესტაფონს" გასულ ზაფხულს "გაგრაში" გატარებული საიჯარო პერიოდის შემდეგ დაუბრუნდა და ფეროელთა ღირსება ამ სეზონში 6-ჯერ დაიცვა, სადაც 2 გოლი მიითვალა.

რა თქმა უნდა, დუბლებში გადაყვანა იმ ფეხბურთელების კარიერაში, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში თამაშის საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ, ვერ არის წინგადადგმული ნაბიჯი. ჭანკოტაძე და სარდალიშვილი "სიონსა" და "გაგრაში" დადებითი კუთხით წარმოჩნდნენ და უპრიანი იქნებოდა, მაღალ დონეზე სათამაშო პრაქტიკა კვლავ მისცემოდათ.

ამ ორი ნიჭიერი შუახაზელის კარიერაში, იმედია, ეს უსიამოვნო პერიოდი მალე დასრულდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საკონტროლო მატჩი

# ქუთაისელთა ფრე ბათუმელებთან

**ტორპედო – დინამო (ბთ) 1:1**

0:1 ბაციკაძე (20), 1:1 ბერიაშვილი (60),

ტორპედო: მიგინეიშვილი (70. ქვილითაია), რიგვავა (46. ტაბატაძე), ზ. ჭელიძე, გ. ონიანი, გ. გურული, კუხიანიძე, ნ. ფირცხალავა (46 ვ. ბოლქვაძე), ე. გრიგალაშვილი (46. გ. დათუნაიშვილი), დოლიძე, ტულუში (46. საბანაძე), ბერიაშვილი (70. ცინცაძე)

დინამო (ბთ): ტაკიძე, ზ. ლობჟანიძე, ა. ბაჟელიძე, ვ. ქორიძე, გაბუნია, ბ. მახარაძე (46. კიკნაველიძე), ა. მუჯირი (46. ცანავა), მაკარიანი (46. ვარშანიძე), ს. გურული (46. გ. გოგიტიძე), ბაციკაძე, კოშკაძე (46. აბუსელიძე).

ორკვირიანი სანაკრებო პაუზა ქუთაისის "ტორპედომ" ნაყოფიერად გამოიყენა და საღორიას საწვრთნელ ბაზაზე ორი ამხანაგური მატჩი გამართეს. პირველში ფოთის "კოლხეთს" 4:0 სძლიეს. ამჯერად, **გია გეგუჩაძის** განვრთნილებმა უმაღლესი ლიგის ქვედა ექვსეულში მოხვედრილ ბათუმის "დინამოს" უმასპინძლეს.

ქუთაისის "ტორპედოს" პრესსამსახურის ცნობით, გუნდს დაუბრუნდა **გუჯა გრიგალაშვილი**, რომელიც ეროვნულ ნაკრებთან ერთად საფრანგეთში იმყოფებოდა, მაგრამ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში არ უთამაშია.

მე-20 წუთზე მთავარმა მსაჯმა ქუთაისელთა კარში პენალტი დანიშნა, რომელიც **ალექსანდრე ბაციკაძემ** შეასრულა. მეკარე **ომარ მიგინეიშვილმა** ბურთი მოიგერია, თუმცა სტუმართა თავდამსხმელმა დამატებაზე ზუსტად ითამაშა - 0:1.

მე-60 წუთზე **ვალერი ბოლქვაძემ** შორეული გადაცემით მეკარესთან პირისპირ **ირაკლი დოლიძე** დატოვა. **რომან ტაკიძემ** ქუთაისელ ნახევარმცველს ბურთის თავზე გადაგდების საშუალება არ მისცა, მაგრამ დოლიძემ **გიორგი ბერიაშვილი** მოძებნა და ქუთაისელთა თავდამსხმელმა ანგარიში გათანაბრა - 1:1.

დარჩენილ ნახევარ საათში გუნდებს გატანის შანსი კიდევ ბევრი ჰქონდათ, მაგრამ ხან მეკარეები თამაშობდნენ საიმედოდ, ხან შემტევებს არ ჰყოფნიდათ სიზუსტე. საბოლოოდ, შეხვედრა 1:1 დასრულდა.

■ ■ ■

სანაკრებო პაუზა დასრულდა და მალე გუნდებს ჩემპიონატის მატჩები ელით: ბათუმელები 30 მარტს ბოლნისში "სიონს" ესტუმრებიან, იმავე დღეს კი ქუთაისში ქართული "ელ კლასიკოა" – "ტორპედო" თბილისის "დინამოს" მიიღებს.

**მერაბ მამულაშვილი**



მეორე გოლი გიორგი ბერიაშვილმა (№9) გაიტანა

ეროვნული ნაკრები

# უსიამოვნო პერსპექტივა

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უახლოესი ოფიციალური მატჩი 6 სექტემბერს აქვს — ამ დღეს თბილისში საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს ვუმასპინძლებთ. თუმცა, ჩვენს ჯგუფში მანამდე ორი შეხვედრა უნდა ჩატარდეს: 7 ივნისს ფინელები საკუთარ მოედანზე ბელარუსს უმასპინძლებენ, ოთხი დღის მერე კი ეს გუნდები ამჯერად მინსკში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ ყველაფერს კი იმიტომ „ვახსენებთ" გულშემატკივრებს, რომ საქართველო-საფრანგეთის მატჩამდე ჩვენი შესარჩევი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა, დიდი ალბათობით, შეცვლილი იქნება. ჯგუფში პირველ-მეორე ადგილს, რაღა თქმა უნდა, ესპანეთი და საფრანგეთი „გადაინაწილებენ", აი, ერთი შეხედვით არაფრის მომცემ, მაგრამ მეტ-ნაკლებად მაინც „პრესტიჟული" მესამე ადგილისათვის კი საქართველოსთან ერთად ბელარუსები და ფინელებიც იბრძოლებენ; ჰოდა, ისღა დაგვრჩენია, ვისურვოთ, რომ ივნისში ჩასატარებელი ფინეთისა და ბელარუსის ორივე მატჩი ჩვენთვის სასურველი ანგარიშ(ებ)ით დამთავრდეს! „ჩვენთვის სასურველი" შედეგ(ებ)ი, კი, ორივე მატჩის ფრედ დასრულება იქნება, თორემ ისე რომ მოხდეს და ჯერ ფინეთმა მოუგოს ბელარუსს, მერე კი სლავებმაც 3 ქულა მოიპოვონ, საფრანგეთთან მატჩს... ჯგუფის აუტსაიდერის როლში შევხვდებით. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ფრანგების მერე, ოთხ დღეში, ფინელებს უნდა ვუმასპინძლოთ, 15 ოქტომბერს კი ბოლო მატჩი გველოდება სტუმრად ესპანელებთან; ჰოდა, ამ დარჩენილ სამ შეხვედრაში რამდენი ქულის აღების შანსი გვაქვს? ძნელია ამ საკითხზე „მარჩიელობა", თუმცა ის კი ფაქტია, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს სამი ურთულესი მატჩი ელოდება საკუთარი პრესტიჟის შენარჩუნებლად: გასაგებია, რომ ამ ციკლში შედეგს არავინ ითხოვს, მაგრამ ჯგუფში ბოლო ადგილზე გასვლის პერსპექტივაც, არა გვგონია, ვინმეს ხიბლავდეს; მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ ნიუანსსაც, დიდი ალბათობით, შესარჩევი ციკლის ბოლოსკენ მეტად და მეტად აქტუალური რომ შეიძლება გახდეს. მოგეხსენებათ, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ევროპას 13 საგზური აქვს: 9-ვე ჯგუფის პირველადგილოსნებს პლუს პლეი ოფში გამარჯვებული 4 ნაკრები. ეს ოთხი ნაკრები კი, საუკეთესო მეორეადგილოსნების „დანწყვილებით" შეირჩევა, ანუ, თეორიულად იმის შანსიც არსებობს, რომ ჩვენი ჯგუფის მეორეადგილოსანი (ესპანეთი ან საფრანგეთი), შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატს კი არა, საერთოდ პლეი ოფს მიღმაც დარჩეს! მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ საფრანგეთსაც და ესპანეთსაც დარჩენილი მატჩების რაც შეიძლება დიდი ანგარიშით მოგება დასჭირდეს. 8 საუკეთესო მეორეადგილოსნის გამოსავლენად პირველი კრიტერიუმი ქულათა რაოდენობაა, მეორე კი — ბურთების სხვაობა! თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ საფრანგეთი ან ესპანეთი თავისთვის სასურველი და „კომფორტული" ბურთების სხვაობას ჩვენთან დაპირისპირებისას ვერ „შექმნის": **თემურ ქეცბაიას** ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა ერთ მატჩში სამი გოლი მხოლოდ ორჯერ გაუშვა (თურქებთან ამხანაგურ შეხვედრაში და სულ ახლახან — ფრანგებთან). ეგ კი არა, უკანასკნელად დიდი ანგარიშით 2009 წლის 14 ოქტომბერს დავმარცხდით — **ექტორ რაულ კუპერის** ბოლო სანაკრებო მატჩი საქართველოს ნაკრებმა პირწმინდად დათმო და ბულგარელებთან 2:6 წავაგეთ! გეხსომებათ ის შესარჩევი ციკლი: საქართველოს ნაკრებმა არსებობის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო შედეგი რომ უჩვენა (ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგო) და ჯგუფშიც „დამსახურებულ", ბოლო ადგილზე გავედით...



ჟირუმ საქართველოს ნაკრებს პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაუტანა



## რეკორდის მოლოდინი

საფრანგეთთან მატჩი **თემურ ქეცბაიასათვის** 27-ე იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე; ამ მხრივ, ქეცბაიას მეორე მაჩვენებელი აქვს საქართველოს ნაკრების ისტორიაში და მხოლოდ და მხოლოდ **ალექსანდრე ჩივაძეს** ჩამორჩება: თბილისის „დინამოს" ლეგენდარულმა კაპიტანმა ყველაზე მეტჯერ, 35-ჯერ უხელმძღვანელა ჩვენს უპირველეს გუნდს. და აი, თემურ ქეცბაიას ამ რეკორდის გაუმჯობესების ჩინებული შანსი მიეცა: შემოდგომაზე დაგეგმილი სამი ოფიციალური მატჩის (საფრანგეთთან, ფინეთთან, ბელარუსთან) გარდა, საქართველოს ნაკრებს ამ ზაფხულს სამი ამხანაგური შეხვედრა ელოდება (ირლანდიასთან, ყაზახეთთან და სავარაუდოდ, დანიასთან); ამის გარდა, 2013 წლის ბოლომდე, არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატაროს: როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშემ **ოთარ გიორგაძემ** გვითხრა, ეს შეხვედრა, სავარაუდოდ, ნოემბერში უნდა გაიმართოს. ანუ, 2013 წლის ბოლომდე თემურ ქეცბაიას უკვე 34 მატჩი დაუგროვდება და თავისი უფროსი კოლეგის რეკორდსაც მიუახლოვდება. აქვე, ქეცბაია-მწვრთნელის „მონაგარსაც" გაგაცნობთ: ამ 27 შეხვედრიდან საქართველოს ნაკრებმა 10 მოიგო, 8 ფრედ დაამთავრა და 9 წააგო (ბურთების სხვაობა 26-17; თუმცა, აქვე, ალბათ, ეს 27 მატჩი უნდა „დავახარისხოთ": 15 ოფიციალური შეხვედრიდან ქეცბაიას ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა 3 მოიგო, 5 ფრედ ითამაშა და 7 წააგო (ბურთების სხვაობა: 11-17). სამაგიეროდ, ამხანაგურ შეხვედრებში ჩვენს ნაკრებს შედეგი მართლაც არ დაეწუნება: 12 მატჩიდან 7 მოგება, 3 ფრე და 2 წაგება (ბურთების სხვაობა: 15-10). ისე, ამხანაგურების მსგავსად, დადებითი ბალანსი ოფიციალურ შეხვედრებშიც რომ გვქონდეს, ამაზე უკეთესს რას ვინატრებდით...



თემურ ქეცბაია

## ბოლო წუთ(ებ)ის ფაქტორი

ერთ-ორ წელიწადში საქართველოს ნაკრები თავის ისტორიაში საიუბილეო, მეორასე მატჩს ჩაატარებს; ამ „მრგვალ" ნიშნულამდე 21 შეხვედრაა დარჩენილი, თუმცა დღეს სხვა თემაზე გვინდა ვისაუბროთ" დღემდე ჩატარებული 179 მატჩიდან ძალიან ბევრი იყო ისეთი პაექრობა, როცა საბოლოო შედეგის განმსაზღვრელი გოლ(ებ)ი საქართველოს ნაკრების კარში ტაიმ(ებ)ის ბოლო წუთებზე გადიოდა! რა იყო ამის მიზეზი, ძნელი ასახსნელია: ვინმემ, შესაძლოა, წამიერი მოდუნება ახსენოს, უფრო ზუსტად, კონცენტრაციის დაკარგვა; თუმცა, ფაქტია, რომ 23-წლიანი ისტორიის განმავლობაში არაერთი ისეთი მატჩი გვახსოვს, ჩვენთვის სასურველი ანგარიში ტაიმების ბოლო წუთებზე რომ ვერ შევინარჩუნეთ. აი, ასე მოხდა 22 მარტის შეხვედრაშიც: პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთზე **ოლივიე ჟირუმ** ჩინებულად შეარჩია პოზიცია და ზუსტი თავური დარტყმით საფრანგეთის ნაკრები დააწინაურა (არადა, ეს გოლი ხომ იმ „სტანდარტულს" მოჰყვა, რომელიც სრულიად უწყინარ სიტუაციაში „ავკიდეთ"). რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ პირველი ტაიმის 0:0-ით დამთავრების შემთხვევაში, ჩვენთვის სასურველ ამ ანგარიშს მეორეშიც შევინარჩუნებდით. მაგრამ ტაიმის ბოლო წამებზე გაშვებულმა გოლმა ჩვენ ფეხბურთელებზე რომ უაღრესად დამთრგუნველად იმოქმედა, ფაქტია. თუმცა, ჩვენი ნაკრების ისტორიაში ეს რომ იშვიათი შემთხვევა ყოფილიყო, ასე თუ ისე, „შევეგუებოდით", მაგრამ ასეთი რამ, სულ მცირე, ოცჯერ (!) მაინც მოხდა! „ბოლო წამების შოკი" უკანასკნელად წინა შესარჩევ ციკლში მივიღეთ: 2010 წლის 12 ოქტომბერს, **დავით სირაძის** გოლით სტუმრად ლატვიას რომ ვამარცხებდით, მასპინძელთა ახალგაზრდა ნახევარმცველმა **ალექსანდრ ცაუნიამ** ურთულესი მდგომარეობიდან ანგარიში გაათანაბრა! არადა, უკვე მსაჯის მიერ დამატებული წუთები იწურებოდა...

...მოგეხსენებათ, საქართველო და იტალია არაერთხელ მოხვდნენ ერთ შესარჩევ ჯგუფში და თითქმის ყველა ამ დაპირისპირებაში, აპენინელები გადამწყვეტ გოლ(ებ)ს სწორედ ტაიმების მინურულს გვიტანდნენ-ხოლმე; ასე იყო ამ გუნდების სულ პირველ პაექრობაში, 1996 წლის 9 ოქტომბერს რომ გაიმართა პერუჯაში: საქართველოს ნაკრებს ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია, მაგრამ პირველი ტაიმის მინურულს **ფაბრიციო რავანელის** ზუსტმა თავურმა დარტყმამ ყველაფერი „გადაწონა"; თუგინდ, სხვა მატჩები გავიხსენოთ: 2000 წლის 11 ოქტომბერს და 2008 წლის 10 სექტემბერს იტალიამ ერთნაირი ანგარიშით (2:0) მოგვიგო და იმ შეხვედრებში მეორე და გადამწყვეტი გოლები **ალესანდრო დელ პიერომაც** და **დანიელე დე როსიმაც** შეხვედრის ბოლო წუთებზე გაგვიტანეს.

კიდევ ბევრი ასეთი მატჩის გახსენება შეიძლება, თუნდაც შოტლანდია-საქართველოს დაპირისპირება: 2007 წლის 24 მარტს გლაზგოდან ქულა უნდა წამოგვეღო, მაგრამ ბოლოსწინა წუთზე დასანანი გოლი მივიღეთ; ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მარცხი კი, ნაკრების დღევანდელ თავკაცსაც, ალბათ, არასდროს დაავიწყდება: 1999 წლის 5 ივნისს, თბილისში საბერძნეთს ვმასპინძლობდით და მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე სწორედ თემურ ქეცბაიას გოლით ვიგებდით, მაგრამ სტუმრებმა ჯერ ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, ბოლო წამებზე კი **ნიკოს მახლასმა** სულაც გამარჯვების მომტანი ბურთი გაიტანა საქართველოს ნაკრების კარში! სხვათა შორის, ეს ის მატჩია, ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე საქართველოს ნაკრებში დებიუტი რომ ჰქონდათ 17 წლის **ზურაბ ხიზანიშვილსა** და მის თანატოლ **ოთარ ხიზანეიშვილს.**

**გია ტუხაშვილი**

*P.S. ისე, ძალიან ცოტა, მაგრამ ისეთი მატჩებიც ყოფილა, როცა საქართველოს ნაკრებსაც მოუგია ბოლო წუთზე გატანილი გოლებით: 2010 წელს **დავით სირაძის** ზუსტი დარტყმებით ესტონეთი და მალტა დავამარცხეთ, მომდევნო წელიწადს კი ხორვატებს **ლევან კობიაშვილის** დაუვიწყარი გოლით ვაჯობეთ.*



ლევან კობიაშვილის გოლი ხორვატიის კარში

ფუტსალი

# დღეს როტერდამში: ჩეხებით ვიწყებთ

**24 მარტს საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები როტერდამში გაემგზავრა, სადაც ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის შეხვედრებს ჩაატარებს: დღეს, 27 მარტს პირველ შეხვედრაში ჩეხებს დავუპირისპირდებით, 28-ში – ჰოლანდიას, 30 მარტს კი - ბელარუსს.**

25 და 26 მარტს **ავთანდილ ასათიანისა** და **ბესიკ არველაძეს** შეგირდებმა "ტოპსპორტცენტრუმარენაზე" უკვე ივარჯიშეს. ჯერ უცნობია, პირველ შეხვედრას ჩაატარებს თუ არა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბობოხიძე**, რომელიც აზერბაიჯანთან საკონტროლო შეხვედრაში დაშავდა.

ამასობაში უეფამ იმ ოფიციალური პირების ვინაობა დაასახელა, ვინც როტერდამში გაირჯება: დელეგატი გაბორ კოვაჩი (უნგრეთი), მსაჯთა დამკვირვებელი ანდრეა ლასტრუჩი (იტალია), მსაჯები: ჟოაო როჩა (პორტუგალია), სლავომირ სტეცკო (პოლონეთი), იოსიპ ბარტონი (მაკედონია), გაბრიელ კონსტანტინ გერმანი (რუმინეთი).

ახლა მეტოქეებზე: ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებს დღემდე არ შევხვედრივართ. 2008 წელს ამხანაგურ მატჩში გაჯიბრების შანსი იყო, მაგრამ ვერ მოხერხდა. მასპინძელთა ნაკრები ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც კარგად მომზადებული გუნდია. მსოფლიო გრან-პრიზე ძლიერი რუმინეთი 3:1 დაამარცხეს. 2011 მსოფლიო შესარჩევზე ბრნოში ჩეხებთან 1:5 წააგეს, ბელარუსთან კი - 0:2. წინა შესარჩევზე სერბებთან 2:2 ითამაშეს, რუსეთთან 0:2 წააგეს, ბრაზილიელებით და არაბებით გაძლიერებულ სოლიდურ ბელგიასთან კი - 4:4 დაასრულეს. მასპინძელთა რიგებში წამყვანი ფიგურა გუნდის კაპიტანი, მეკარე **პეტერ როზენბააკია**, რომელიც ევროპის სიმბოლურ ნაკრებში რამდენჯერმე დაუსახელებიათ. მისი აზრით, ფავორიტები ჩეხები არიან, მაგრამ მიიჩნევს, რომ გასვლის შანსი ჰოლანდიას, ბელარუსსა და საქართველოსაც აქვთ.

ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებთან ერთი მატჩი გვაქვს გამართული და ისიც 13 წლის წინათ: მსოფლიოს შესარჩევ ციკლს ჩეხეთმა კარლოვაცში უმასპინძლა და დიდი ანგარიშით მოგვიგო - 10:2. ახალი ჩეხების ნაკრებში თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესი მიმდინარეობს და სპეციალისტების აზრით, დღევანდელი ნაკრები 10 წლის წინანდელს ბევრად ჩამორჩება, მაგრამ ეს გუნდი მაინც ჯგუფის ფავორიტია. სხვათა შორის, ჩეხთა მთავარი მწვრთნელი **ოტა სტეისკალი** მალტაზე იმყოფებოდა და საქართველოს ნაკრების თამაშები იხილა.

ბელარუსი საკმაოდ მონოლითური ნაკრებია. მათ საუკეთესო შედეგად პორტუგალიასთან ფრეა - 5:5. დღემდე საქართველომ მასთან სამჯერ ითამაშა და სამივე – ოფიციალურად. 1998 წელს შესარჩევ ციკლში რეჯიო კალაბრიაში ურთულეს და დაძაბულ ბრძოლაში სლავები მინიმალური ანგარიშით 5:4 დავამარცხეთ. 2002 წელს პორტუგალიურ ტავირაში ფრეს 2:2 დავჯერდით. 2009 წლის მარტში ელიტრაუნდის შეხვედრა კვლავ დაძაბული გამოდგა და 0:2 წავაგეთ. იმ წელსაც ნაკრებს ავთანდილ ასათიანი და **ბესიკ არველაძე** ავარჯიშებდნენ. ელიტრაუნდამდე ბელარუსმა 21 მარტს მინსკში საკონტროლო შეხვედრა ყაზახეთის ნაკრებთან გამართა და ფრეს 1:1 დასჯერდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ევრო 2013. ელიტრაუნდი

U21

# ახალგაზრდებმა მალაიზია არ დაინდეს

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ავსტრიული შეკრების ბოლო შეხვედრა გამართა. ჩვენებურთა მეტოქე ხორვატიის 21-წლამდელთა ნაკრები უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხორვატებმა ბოლო მომენტში უარი თქვეს ამ შეხვედრაზე და **ალექსანდრე ჩივაძის** გუნდი მალაიზიელ ახალგაზრდებს დაუპირისპირდა - ქართველებმა 7:1 მოიგეს.

სამი გოლი **გიორგი ჭანტურიამ** გაიტანა(5,14,81), თითოჯერ თავი გამოიჩინეს **ლაშა პარუნაშვილმა**(27), **ჯაბა ჯიღაურმა**(32), **გიორგი ილურიძემ**(66) და **ლაშა ჩაფიძემ** (84).

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამ შემადგენლობით ითამაშა: **მეშველიანი** (ტყეშელაშვილი 46), **ტვილდიანი, კობახიძე** (გაგნიძე 46), **კოხია** (ჯგერენაია 65), **კვეკვესკირი, გიგაური, ჯიღაური**(ილურიძე 46), **პაპავა, პარუნაშვილი** (ჩაფიძე 46), **ყაზაიშვილი, ჭანტურია.**

ავსტრიულ შეკრებაზე ეს ჩვენი 21-წლამდელების მესამე შეხვედრა იყო, ქართველებმა ჯერ ალბანეთი დაამარცხეს 2:0, მერე კი აზერბაიჯანთან 1:1 ითამაშეს.

დღეს ჩივაძის გუნდი სამშობლოში დაბრუნდება.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი ჭანტურია

პორტრეტი



სანდრო კობახიძე (მარცხნივ) პოლ პოგბას წინააღმდეგ

# სანდრო არის სანდო!

იყო დრო, როცა „ოლიმპი" საქართველოში საუკეთესო საფეხბურთო სკოლად ითვლებოდა, რომლის ერთ-ერთ მესვეური თავს იმითაც იწონებდა, თუ დღეს ვინმე ნიჭიერი თამაშობს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, ყველა ჩვენი აღზრდილიაო. შევეკამათე, „დინამოს" რომ **სანდრო კობახიძე** ჰყავს, მგონი „ავაზადან" უნდა იყოს-მეთქი, მაგრამ მესვეური ფავისას ამტკიცებდა, „ავაზამდე" კობახიძე ჩვენთან იყოო.

კობახიძე 20 წლის იყო, „დინამოში" ლიდერივით რომ თამაშობდა, ფლანგებიდან აწიოკებდა მეტოქეებს. საერთოდ ასეა, ცაციებს განსაკუთრებული დრიბლინგი აქვთ, ცაცია ფეხი თითქოს სულ სხვაა, ვიდრე მარჯვენა, ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთში ასეა.

კობახიძე „დინამოდან" ევროპულ გუნდში ვერ მოხვდა, დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" გადავიდა, სადაც მყისვე ფეხი ვერ მოიკიდა. ბევრი გვინახავს, საქართველოდან უკრაინაში წასული და იქ ერთ ადგილას გაჩერებული, ამიტომაც გულს რეჩხი დაემართა - კობახიძე „დნიპროს" პირველ გუნდში არ ჩანდა, შემდეგ იქიდან კრივოი როგის „კრივბასში" გაანათხოვრეს, მერე კიევის „არსენალში", სადაც სანდრომ გოლების გატანა დაიწყო და ყველას შეახსენა თავი უკრაინაშიც და საქართველოშიც.

ერთი სიტყვით, კობახიძე უკრაინულმა სირთულეებმა ვერ გატეხა და მისით საქართველოს ნაკრების მწვრთნელიც დაინტერესდა. შარშან ალბანეთს თბილისში ამხანაგურად ვეთამაშეთ და 2:1 დავამარცხეთ, პირველ ტაიმში კობახიძე ფლანგიდან უტევდა, მეორე ტაიმიდან კი **თემურ ქეცბაიამ** ის შუისკენ შესწია და სწორედ კობახიძემ გაათანაბრა ანგარიში. გამოჩნდა, რომ კობახიძე შუაში უფრო სასარგებლოა, მწვრთნელის ტაქტიკური ცვლილება სწორი აღმოჩნდა.

მანამდე ჩვენს ნაკრებს მოლდოვასთან ჰქონდა ამხანაგური შეხვედრა. მსაჯი ჩვენს სასარგებლოდ უსტვენდა, თუმცა კობახიძეს მსაჯი არც კარგ თამაშში მოხმარებია და არც გატანილ გოლში - სანდრომ თავისუფალი ზონა როგორც კი შეამჩნია, იქ შევარდა და **ნიკა გელაშვილის** გადაცემა თავური გოლით დააგვირგვინა.

ნაკრებში მესამე გოლი კობახიძემ 22 მარტს საფრანგეთს გაუტანა, პირველ ტაიმშიც, როცა ანგარიში 0:0 იყო, ჰქონდა შანსი, მაგრამ **უგო ლორისმა** სასწაული ბურთი აუღო.

როცა ძლიერ მოწინააღმდეგეს ეთამაშები, იქ უკვე ძალიან მკაფიოდ ჩანს ამა თუ იმ ფეხბურთელის დიაპაზონი. საფრანგეთთან წავაგეთ, ჩვენი გუნდიდან საუკეთესო კი კობახიძე იყო. სანდრო უკვე ის მოთამაშეა, მწვრთნელის დიდი ნდობა რომ მოიპოვ - ტექნიკური, ღონიერი, ალღოიანი და საიმედო.

ქეცბაიას ფორმაციის ნაკრებმა ძალიან კარგი ფეხბურთელი მიიღო - ჩვენს ეროვნულ გუნდს პოზიტივი ძალიან ცოტა აქვს და რომ არა კობახიძე, ექნებოდა კი საერთოდ?...

კობახიძე თავისი ქცევითაც სამაგალითოა, უკრაინაში წასვლამდე და შემდეგაც ის არ გახვეულა არანაირ უსიამოვნო ისტორიაში, მოედანზე მშვიდი და კონცენტრირებულია, თითქოს ეტყობა, რომ ფეხბურთით ცხოვრობს.

ახლახან სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" საქართველოს ნაკრების ორი ფეხბურთელის ფოტოს წავაწყდი, მათ თურმე ბომონდურ გეისთან გადაუღიათ სურათი. ამაში განსაკუთრებული ალბათ არაფერია, მაგრამ ჩვენ ჯერ არ ვართ გაერთიანებული სამეფოს დონეზე, სადაც ცნობილ მამათმავალს რაინდის წოდებას აძლევენ და ალბათ ამიტომაც დამაფიქრა ამ ფოტომ. ჰომოფობია კი ყველგან დაგმობილია, მათ შორის გაერთიანებულ სამეფოშიც და თუ იქ ნიჭიერ გეის სერის წოდებას აძლევენ, განმარტებაც აქვთ - გენიოსებს ყველაფერი ეპატიებათ.

ჩვენთან, რა თქმა უნდა, ყველაფერი სხვანაირადაა, საკუთარ თავს ევროპელებს კი ვეძახით, მაგრამ მართლა ევროპასთან ალბათ ჯერაც დიდი მენტალური სხვაობა გვაქვს. როგორც უნდა იყოს, გამიხარდა, რომ ამ ფოტოზე კობახიძე ვერ დავინახე, რადგან ეს ფეხბურთელი ჩვენი არცთუ კარგი ნაკრების კარგ სახედ ყალიბდება. ასეთ დროს კი ყველა ნიუანსს მნიშვნელობა აქვს და საერთოდ, არსებობს კი უმნიშვნელო რალაცები?...

კობახიძე ახლა „დნიპროში" თამაშობს, ეს კლუბი კი უკრაინაში გაქანებით მესამე ან მეოთხე უნდა იყოს. საფრანგეთთან მატჩის შემდეგ მოიმატა იმის შანსმა, რომ 26 წლის კობახიძე უკრაინიდან მართლა ევროპაში მოხვდეს.

ღმერთმანი., უნარიანი კაცია ეს კობახიძე.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# თენგიზ სულაქველიძე-უმცროსი: სახელმწიფო პროგრამა გვჭირდება

**წლების წინათ, თენგიზ სულაქველიძემ, ქართული ფეხბურთის ვარსკვლავმა, დიღომში თანამედროვე საფეხბურთო ცენტრის მშენებლობა წამოიწყო. ეს იმ დროს უპრეცედენტო პროექტი იყო – სამი სტანდარტული და ორი არასტანდარტული ბალახისსაფრიანი მოედანი არც ერთ საფეხბურთო სკოლას არ ჰქონდა. ამ საფეხბურთო აკადემიაში ბევრი კარგი მოთამაშე გაუზრდიათ.**

**მაგრამ სულაქველიძის აკადემია დღეს ჩრდილში მოექცა – ინვესტორის გამოჩენის იმედი არ გამართლდა, რიგის "სკონტოსთან" თანამშრომლობაც დასრულდა და ბოლო წლებში არაერთ პრობლემასაც წააწყდნენ.**

**ამის შესახებ აკადემიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უმცროსი თენგიზ სულაქველიძე გველაპარაკება:**



- ჩვენს სკოლაში ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ბევრი ფეხბურთელი აღიზარდა: მარცვალაძე, კვირკველია, იმედაშვილი, შოთა კაშია, სახოკია, ძმები ჭელიძეები, იოსელიანი, სიჭინავა, გაბუნია, მჭედლიშვილი, ჩომახაშვილი, მაკარაძე, გაგნიძე, ჩაბრაძე... საქართველოში უპრეცედენტო შემთხვევის მომსწრე გავხდით, როდესაც კვირკველია ჩვენი სკოლიდან პირდაპირ აღმოჩნდა ყაზანის "რუბინში" და ჩემპიონთა ლიგაზე ისე ითამაშა, რომ ბურთი საქართველოს მეორე ლიგაშიც არ გაუგორებია.

სკოლაში ყოველთვის გვყავდა ნიჭიერი ბავშვები. მიმდინარე ჩემპიონატში უმეტესი გუნდების დუბლებსა და ჭაბუკთა ლიგაში ჩვენი წარმომადგენლები თამაშობენ. მაგალითად, "ვიტ ჯორჯიაში" ასეთი 7 ფეხბურთელია.

ლიცენზირების ეტაპი სულ 7 თუ 8 სკოლამ გავიარეთ და ჩვენ ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი გვქონდა. მოსაგვარებელია ხელოვნური მოედნის საკითხი, რომელიც მხოლოდ უამინდობისას გვესაჭიროება. საამისოდ საკმაოდ დიდი თანხა გვჭირდება. თუმცა ამ საკითხის მოგვარებას მალე ვიმედოვნებთ. დანარჩენი ნიუანსები უფრო ადვილად მოგვარდება, ვიდრე სტადიონის პრობლემა. ჩვენ ძველებურად აქტიურები ვართ და მომავალს იმედიანად ვუყურებთ.

**– აკადემიასთან თანამშრომლობით რომელიმე ბიზნეს ჯგუფი თუ დაინტერესდა?**

— დაინტერესება რამდენიმე ჯგუფიდან იყო და არის კიდეც. თუ ჩვენი ჩანაფიქრი განხორციელდება, დარწმუნებული ვარ, საქართველოში საუკეთესო აკადემია გვექნება. ჩემი აზრით, უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც სკოლებს დაახარისხებს. დახმარება ლიცენზირებულ სკოლებსაც სჭირდებათ საუკეთესოდ რომ ვაქციოთ. აუცილებელია მწვრთნელების გადამზადება და იმ პირობების შექმნა, რომლითაც შესაძლებელი გახდება საფეხბურთო სკოლებში გადასახადის დაწევა ან საერთოდ გაუქმება, მშობელს ბავშვის ფეხბურთზე მოყვანა რომ გაუადვილდეთ.

**– საქართველოში აღზრდის ერთიანი სისტემა და მეთოდოლოგია არ მოქმედებს. საამისოდ რა არის საჭირო?**

— ერთიანი სისტემა აუცილებელია, თორემ შედეგზე ოცნებაც არარეალური იქნება. მაგრამ ეს დელიკატური საკითხია. მახსოვს, ნაკრების ერთ-ერთმა ნიჭიერმა მწვრთნელმა გააკეთა განცხადება, რომ ესპანური მოდელი აირჩია და თითოეულ პოზიციაზე 5 ფეხბურთელს მიიწვევდა. საბოლოოოდ ამან არ გაამართლა, რადგან 5 თანაბარი დონის მოთამაშე ფიზიკურად ვერ მოიძებნა.

ვფიქრობ, ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ საქართველოსთვის უცხო მოდელების შერჩევით ვართ დაკავებულები და მთავარს ვივიწყებთ – ჩვენ სხვა ქვეყანა ვართ, რომელმაც საკუთარი გზა უნდა აირჩიოს, სხვისი მიბაძვა კი არაფერს გვარგებს. ქართველი უნდა გაიზარდოს ქართულად და არა დაპროგრამებული სისტემით. აქამდე როგორ იზრდებოდნენ ვარსკვლავები, ესპანურ მოდელს ვიყენებდით, ჰოლანდიურს, ინგლისურს თუ ფრანგულს? ამას რატომ არავინ კითხულობს? დავუბრუნდეთ საკუთარ თავსა და საწყისებს, მოვძებნოთ ის ადამიანები, რომლებიც თაობებს ზრდიდნენ და დღეს ჩრდილში არიან. დარწმუნებული ვარ, არავისზე ნაკლები მოდელი არ გვექნება და გაიზრდებიან ის თაობები, რომელთა გამოჩენაზეც თითოეული ჩვენგანი ოცნებობს.

**– უფრო და უფრო იშვიათად იზრდებიან შემოქმედებითი მოთამაშეები, თავდამსხმელებს ერთი მცველის მოტყუებაც უჭირთ, ფეხბურთელთა უმრავლესობა უინიციატივოა და საერთოდაც, ჩვენი ფეხბურთი უფერული გახდა. სად გაქრნენ ინდივიდუალისტები, რომლითაც საქართველო ცნობილი იყო?**

— ეს მართლაც დიდი პრობლემაა. საქართველო ყოველთვის ამაყობდა ტექნიკური ფეხბურთით და ფეხბურთელებით და იმედია, ეს დრო ისევ დაბრუნდება. მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, სწორედ იქ მივდივართ, რომ ქართველი ყოველთვის თავისებური იყო და სხვისი მოდელებით ვერ ვისარგებლებთ. და თუ მაინც ამ გზას ავირჩევთ, სასიკეთო შედეგს არ უნდა ველოდოთ.

ალბათ, ასეთების დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ბავშვებს ინდივიდუალურ ქმედებას უკრძალავენ. ჩვენთან ნიჭიერებს არ ვანებივრებთ, მაგრამ ფინტს და მეტოქის მოტყუებას, არასდროს ვუშლით.

მეორე ფაქტორიც არის: ახლაც ძალიან კარგი ბავშვები მოდიან, მაგრამ სათანადო პირობებს ვერ ვუქმნით. ამიტომ გვჭირდება სახელმწიფოს თანადგომა და პროგრამა, ბიზნესი ქართულ ფეხბურთში რომ შემოვიდეს. იმედია, რომ ასეთ შემთხვევაში, ყველაფერი გამოსწორდება. დამიჯერეთ, ეს საკითხები ერთმანეთთან კავშირშია, რადგან ბავშვებს პირობებს თუ ვერ შევუქმნით, ვერ გაიზრდებიან.

**- "ზესტაფონის" ყოფილი მენეჯერი, ამჟამად ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძე ამბობს, რომ მოედნის მორწყვის გადასახადი რადიკალურად არის შესამცირებელი. გამოცანად რჩება, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ბუნებრივი საფრის მქონე საფეხბურთო სკოლებისა და სტადიონების დირექციები რატომ არ ერთიანდებით, როდესაც წყლის გადასახადი მნიშვნელოვნად შეგიმცირდებათ?**

— რატომაც არა, გაერთიანებაზე დაფიქრება ღირს, პრობლემები ერთობლივი ძალებით რომ მოვაგვაროთ. 7-8 წელიწადი, ჩვენს სტადიონზე საქართველოს ეროვნული და თითქმის ყველა ასაკობრივი და ჩამოსული ნაკრებები ვარჯიშობდნენ, რადგან ერთ-ერთი საუკეთესო მოედანი გვქონდა და დანარჩენებიც კარგ მდგომარეობაში იყო. მაგრამ მერე და მერე მორწყვა ძვირად ღირებული სიამოვნება გახდა და მოედნების მოვლაც ძალიან გაგვიჭირდა.

და თუ ეს პრობლემა დროულად მოგვარდება და ებრალიძის ჩანაფიქრი განხორციელდება, სკოლები და სტადიონები სულს მოვითქვამთ. სიმართლე გითხრათ, თითოეული ჩვენგანი ამაზე ოცნებობს და ვიცით, რომ ამ კუთხით მუშაობა მიმდინარეობს.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე



გეორგი კონდრატიევი

## იოლი გამარჯვება კანადასთან

| ბელარუსი-კანადა | 2:0 |
|---|---|

1:0 როდიონოვი (29), 2:0 ხვაშინსკი (87)

ბელარუსი: გუტორი – ვერეტილო, შიტოვი, ვერხოვცოვი, ბორდაჩევი – ოლეხნოვიჩი, დრაგუნი (51. კისლიაკი) – ბალანოვიჩი (79. ალეკსიევიჩი), ბრესანი (46. პავლოვი), პუტილო (89. ჩუხლეი) – როდიონოვი (81. ხვაშინსკი)

მართალია, საქართველოს ნაკრებმა ბელარუსთან ორივე მატჩი მოიგია (შინ 1:0, სტუმრად 0:2), მაგრამ ამ გუნდის ასპარეზობა ჩვენს ინტერესში მაინც რჩება, რადგან იგი ჯგუფში მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ერთ-ერთი კონკურენტია.

ბელარუსებმა ყატარის დედაქალაქ დოჰაში კანადელებს ამხანაგურად 2:0 სძლიეს. შეხვედრის შედეგითაც და გუნდის თამაშის ხარისხითაც ბელარუსის ნაკრების თავკაცი **გეორგი კონდრატიევი** კმაყოფილი დარჩა.

*"ოპტიმალური შემადგენლობით არ გვითამაშია, მაგრამ ამის მიუხედავად, მიზანსწრაფულები და გამარჯვებაზე ორიენტირებულები ვიყავით. ყველა რგოლის მოქმედებით კმაყოფილი ვარ. გვაქვს გარკვეული პრობლემები, მაგრამ თამაშის ამ ხარისხით ოფიციალურ მატჩებში წარმატების იმედი ნამდვილად შეიძლება გვქონდეს"*, - განაცხადა ნამატჩევს კონდრატიევმა.

ბელარუსის ნაკრები მარტის საკვალიფიკაციო შეხვედრებისგან თავისუფალია. ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა 7 და 11 ივნისს გასამართი მატჩები, სადაც ფინეთი და ბელარუსი ერთმანეთს ჯერ ჰელსინკიში, შემდეგ კი მინსკში შეხვდებიან. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ამ შეხვედრებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ფინეთმა, რომელიც აქამდე ჯგუფის გამოკვეთილ აუტსაიდერად მოჩანდა, ესპანეთში მიღწეული ფრით მესამეობაზე ხმამაღალი განაცხადი გააკეთა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### პირველი ლიგა

### გადადებული მატჩები

### A ჯგუფი

| საპაო-გურია | 1:0 |
|---|---|

25.03. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 300 მაყურებელი

1:0 ჯ. იამანიძე (60)

საპაო: ა. ნონოსი, დ. აბესაძე, ჯ. იამანიძე, პ. მოსემღვდლიშვილი, გ. შეწირული (73. ზ. ქარდავა), კ. ახალაია (90. გ. დიასამიძე), თ. მოგელაძე, ე. ეგიაზარიანი, გ. ქუცურუა (82. ბ. ქარდავა), ა. ბაგაშვილი, გ. ჩუბინიძე

სათადარიგოები: *ლ. ბრაჭული, ლ. ლაბარტყავა, თ. ქორჩილავა, თ. უხურგუნაშვილი*

მწვრთნელი: თ. კაცია

გურია: გ. ძაძამია, ა. ჩუენსუ, ს. თოდუა, დ. მაისაშვილი, ლ. ჯანგიძე, ე. კილაძე (46. ლ. ჩალაძე), ა. გოგობერიშვილი, ლ. ვართაგავა (85. ტ. კუკულაძე), ა. შენგელია (63. კ. შალამბერიძე), მ. კაკალაძე, გ. კვერენჩხილაძე

სათადარიგოები: *გ. მაჩაიძე, გ. სალარიძე, ვ. დარჩიძე, მ. გოგუაძე*

მწვრთნელი: თ. ლორია

გაფრთხილება: გ. ქუცურუა, კ. ახალაია, დ. აბესაძე; გ. ძაძამია, ა. ჩუენსუ, გ. კვერენჩხილაძე

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 21 | 17 | 2 | 2 | 57-13 | 53 |
| 2. საპაო | 21 | 15 | 2 | 4 | 60-20 | 47 |
| 3. გაგრა | 21 | 14 | 1 | 6 | 43-22 | 43 |
| 4. დინამო 2 | 21 | 12 | 4 | 5 | 64-31 | 40 |
| 5. სტუ | 21 | 9 | 2 | 10 | 43-51 | 29 |
| 6. მეშახტე | 21 | 8 | 4 | 9 | 25-45 | 28 |
| 7. სქური | 21 | 7 | 6 | 8 | 23-34 | 27 |
| 8. ბეთლემი | 21 | 8 | 2 | 11 | 26-43 | 26 |
| 9. იმერეთი | 21 | 6 | 4 | 11 | 21-31 | 22 |
| 10. ჭიათურა | 21 | 4 | 5 | 12 | 19-37 | 17 |
| 11. სულორი | 21 | 4 | 4 | 13 | 18-47 | 16 |
| 12. რაჭა | 21 | 3 | 2 | 16 | 22-47 | 11 |

### მომდევნო ტური

### 30 მარტი

ჭიათურა – სქური
საპაო – ბეთლემი
გურია – სტუ
რაჭა – მეშახტე
დინამო-2 – გაგრა
იმერეთი – სულორი

ლეგიონერები



ლადო დვალიშვილი

## დვალიშვილის გოლი და ლეგიას ნახევარფინალი
### თავი სირბილაძემაც გამოიჩინა

ვარშავის "ლეგიამ" პოლონეთის თასის განმეორებით მეოთხედფინალურ შეხვედრაში სტუმრად "ოლიმპია" 2:1 დაამარცხა, რაშიც თავისი წვლილი **ლადო დვალიშვილმაც** შეიტანა – საქართველოს ნაკრების ფორვარდმა მატჩის 73-ე წუთზე ანგარიში გახსნა. დვალიშვილმა შეუცვლელად ითამაშა. "ლეგიას" "ოლიმპიასთან" პირველი შეხვედრა 4:1 ჰქონდა მოგებული.

შეგახსენებთ, დვალიშვილი ეროვნულ გუნდში საფრანგეთთან სტუმრად გასამართ მატჩზე იყო გამოძახებული და შეცვლაზე ითამაშა.

ფინეთის თასზე კი თავი **ირაკლი სირბილაძემ** გამოიჩინა. მისმა "ინტერმა" სტუმრად ქვედალიგელი ვაკპ 9:0 გაანადგურა. ქართველი თავდამსხმელის ანგარიშზე ერთი გოლია. მატჩის 43-ე წუთზე მან ანგარიში 3:0 გახადა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია

# ქართველები სეპარატისტების ჩემპიონატში

რუსულ-აფხაზურ-სომხური სოხუმის "დინამოს" ვებგვერდზე საინტერესო ინფორმაციებს წავაწყდით. გუნდის შემადგენლობაში სულ 5 ქართველი თამაშობს: მცველები **გიორგი ფაჩულია** და **ირაკლი ქორთუა**, ნახევარმცველები **ირაკლი გადელია, ჯონი საჯაია, გია კულუმბეგაშვილი** - თითოეული მათგანი 25 წლის არის.

ეს ამბავი იდუმალებით არის მოცული, როგორ მოხვდა გუნდში ქორთუა, რომელსაც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში უთამაშია და ქართველი გულშემატკივარიც საკმაოდ კარგად იცნობს.

ირაკლი გულშემატკივარმა "გაგრადან" გაიცნო, სადაც მისი კარიერა დამაიმედებლად დაიწყო, მაგრამ სასურველი კალაპოტით ვერ წარიმართა. 2004 წელს 17 წლის მცველი კიევის "დინამო 2"-ში აიყვანეს და მას პატარა კალაძეს უწოდებდნენ. ეს იყო "გაგრას" პირველი უკრაინული ტრანსფერი, რომლის შემდეგაც კლუბმა ამ სლავური ქვეყნის კლუბებთან პარტნიორობა დაიწყო.

თავიდან ნიჭიერი ბიჭი კიეველებს ძალიან მოსწონდათ, მაგრამ მთავარ გუნდში ვერ დაწინაურდა, მერე სათადარიგოებში ყოფნა აღარ აკმაყოფილებდა და 2005-06 წლების სეზონის მეორე ნახევარი სიმფეროპოლის "ტავრიაში" იჯარით გაუშვეს.

2006 წლის ზაფხულიდან კი რუსეთის პრემიერლიგის "როსტოვში" გასინჯეს, მაგრამ საბოლოოდ, ლატვიურ "დიჟვანგში" გადავიდა, რომელიც 2007 წლიდან "ბლაზმად" გადანათლეს. 2009 წლის ზამთარში ქორთუამ კონტრაქტი დაუგავპილსის "დინაბურგთან" გააფორმა. იმავე წელს "გაგრაში" დაბრუნდა, მაგრამ მალე წავიდა და სარბიელზე მხოლოდ 2011 წელს გამოჩნდა – ორი წლის წინ, ირაკლი თებერვალში სოხუმის "დინამოში" ჩაირიცხა.

ჩვენთვის უცნობია, როგორ და რანაირად აღმოჩნდა სოხუმის "დინამოში" საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მცველი. აფხაზეთიდან დევნილი ფეხბურთელის ოჯახი დიღომში, "ლოკომოტივის" ყოფილ ბაზაზე ცხოვრობდა, მაგრამ რაც ეს ბაზა მორაგბეებს გადაეცათ და ხალხი გამოახახლეს, მას შემდეგ ირაკლის ალი-კვალიც დავკარგეთ.

სოხუმის "დინამოს" ვებგვერდზე მითითებულია, რომ ირაკლი ქორთუა აფხაზეთის პასპორტის მფლობელია, არადა, ვიკიპედიაში, მოქალაქეობის გრაფაში, საქართველო უწერია. ეს პირველი შემთხვევაა, როცა საქართველოს ჩემპიონატიდან ფეხბურთელი სათამაშოდ სეპარატისტების ლიგაში წავიდა. ბუნებრივია, კითხვები ჩნდება – როგორ, რანაირად? ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ტრანსფერით აფხაზებმა ქართულ ფეხბურთს სერიოზული დარტყმა მიაყენეს.

როგორც ჩანს, ამჟამად ირაკლი საუკეთესო ფორმაში არ არის, რადგან 2012 წელს აფხაზეთის საუკეთესო ფეხბურთელების ნომინაციაში მე-9-10 ადგილზე გავიდა – უკრაინის ჩემპიონატში ნათამაშევ 25 წლის ფეხბურთელს გაცილებით მეტი მოეთხოვება. საინტერესოა, რომ ათეულში მოხვდნენ **გენადი კაცია** ("დინამო"), **ასლან გაგუა** ("ნართი"), **დავით ლოგუა** (სკა), **თემურ სანგულია** ("დინამო"). რა თქმა უნდა, ყველა მათგანს პასპორტში აფხაზი უწერია. გარდა ამისა, "რინას" მთავარი მწვრთნელია **ჯუმა კვარაცხელია**, გალის "სამურზაყანოს" - **ჯუმბერ ანჯაფარიძე**, გალის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეა **ზურაბ კიკნაველიძე**... აქვე ვიტყვით, რომ აფხაზეთში ცნობილი პოეტია **ალექსეი გოგუა**, სეპარატისტული აფხაზეთის პარლამენტის დიასპორასთან ურთიერთობის კომიტეტს **სონერ გოგუა** თავკაცობს, თანამდებობის პირები ვინმე **ხოჯავა, სალუქვაძე**, პარლამენტის დეპუტატები არიან **ბეჟან უბირია, ასლან კობახია, ახრა კვეკვესკირი**...

რას ვიზამთ, ესეც ჩვენი ისტორიის უკულმართობის გამოძახილია. წლების განმავლობაში, ცნობილი მწვრთნელები, ან გარდაცვლილები გრიშა და რევაზ გაგუები და თენგიზ კაცია ქართული ფეხბურთს უზრდიდნენ მომავალ თაობებს. მათთვის რომ ვინმეს ეთქვა, ქართველები არ ხართო, გულიანად გადაიხარხარებდნენ.

ისიც ბედის ირონიაა, რომ 2012 წელს აფხაზეთის ჩემპიონი "გაგრა" გახდა – ძალიან სურთ, ბესიკ ჩიხრაძის დაარსებული ანალოგიური სახელის კლუბს საკუთარი საპირწონე შეუქმნან.

ცხადია, აფხაზეთის ჩემპიონატში ქართველი ფეხბურთელები ადრეც თამაშობდნენ, რადგან რუსებისგან ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენები კიდევ ცხოვრობენ. საფეხბურთო კლუბი გალის "სამურზაყანო" უმთავრესად, ქართველებით არის დაკომპლექტებული. 2011 წელს გუნდი ჩემპიონატის აუტსაიდერი იყო, გასული სეზონში შედეგები გააუმჯობესა: 7-გუნდიან ჩემპიონატში 18 ტური გაიმართა, 6 მოიგო, 3 ფრედ დაასრულა, 9 - წააგო, ბურთების სხვაობა 19:26-ზე. საბოლოოდ, "სამურზაყანომ" 21 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა.

ქორთუას სოხუმის "დინამომ" მას 9 ქულით გაასწრო და მე-4 ადგილი დაიკავა. გუნდს ფინანსურად უჭირდა და დაშლის პირას იყო, მაგრამ ახლა სპონსორი მოძებნეს და ვებგვერდზე ცნობა გაავრცელეს, გადავრჩით, ჩემპიონატში ისევ ვითამაშებთო.

მოლდოველების მსგავსად, საქართველოს ჩემპიონატში სეპარატისტული რეგიონების გუნდები არ მონაწილეობენ. სამწუხაროა, რომ ჩვენთან ეს ჯერ ვერ ხერხდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მსოფლიოს ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო რაუნდი. ევროპა

# ორი ბარსელონელი გმირი: პედრო და ვალდესი


ჰოლანდიამ რუმინეთი 4:0 გაანადგურა და 100 %-იანი შედეგი აქვს

**საფრანგეთი–ესპანეთი 0:1**

**გოლი:** 0:1 პედრო (58)

**საფრანგეთი:** ლორისი – ჟალე (90. ჟირუ), ვარანი, კოშიელნი, ევრა – კაბაიე (70. მენეზი), პოგბა, მატუიდი – ვალბუენა, რიბერი – ბენზემა (82. სისოკო)

**ესპანეთი:** ვალდესი – არბელოა, პიკე, რამოსი, არბელოა – ბუსკეტსი, ხაბი ალონსო – პედრო (76. ფაბრეგასი), ჩავი, ინიესტა (90. მატა) – ვილია (61. ნავასი)

**გაძევება:** პოგბა (78)

სტუმრად ფინეთთან, შინ ბელარუსსა და საქართველოსთან - ასეთია ესპანეთის ნაკრების დარჩენილი ოფიციალური მატჩების განრიგი და თუ ეს შეხვედრები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა უდანაკარგოდ განვლეს, ბრაზილიურ მუნდიალზე პლეი ოფის გარეშე მოხვდებიან.

„სტად დე ფრანსზე" გამარჯვებით ფურია როხამ გასულ პარასკევს შინ ფინეთთან სენსაციურად დაკარგული ქულების კომპენსირება შეძლო. ფრანგებს ფრეც აძლევდათ ხელს და სამართლიანობისთვის აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სამფეროვნებს მეტოქისთვის ტოლი არ დაუდიათ და სახიფათო მომენტებიც სტუმრებზე არანაკლებად შექმნეს.

მატჩის დებიუტში ესპანელთა დაწინაურება **ჩავის** შეეძლო, რომელმაც მიზანს ოდნავ ააცილა. ამის შემდეგ იყო სადავო ეპიზოდი, როცა მასპინძელთა მეკარე **უგო ლორისთან** ბრძოლაში **პედრო** დაეცა – ჰგავდა პენალტს, მაგრამ ამ შემთხვევაში უნგრელ რეფერი **ვიქტორ კაშაის** ლორისის გაძევებაც მოუწევდა და ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმისგან თავი შეიკავა.

პირველი ტაიმის მიწურულს **ვიქტორ ვალდესთან** პირისპირ **ფრანკ რიბერი** გავიდა, მაგრამ „ბარსელონას" კიპერმა ფრანგთა ლიდერს დუელი მოუგო.

პედრომ გამარჯვების გოლი ახლო მანძილიდან **ნაჩო მონრეალის** გადაცემით გაიტანა. **პოლ პოგბას** მიერ ერთ წუთში მიღებულმა ორმა ყვითელმა ბარათმა მასპინძელთა შანსები თითქოს მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ 86-ე წუთზე ვალდესს მაინც მოუწია ნამდვილი გმირობის ჩადენა – **პატრის ევრას** მიერ ორიოდე მეტრიდან შესრულებული თავური დარტყმა სასწაულებრივი რეაქციით მოიგერია.

ეს იყო და ეს - ესპანეთმა დაგეგმილ პირველ ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა ფრანგებმაც მეტად ხარისხიანი ფეხბურთი აჩვენეს, რომლითაც პლეი ოფში მოხვედრის შემთხვევაში, წარმატების სოლიდური შანსი ექნებათ.

**I ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8-2 | 11 |
| 2. საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 3. საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 4. ბელარუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| 5. ფინეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

**A ჯგუფი**

**სერბეთი–შოტლანდია 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯურიჩიჩი (59), 2:0 ჯურიჩიჩი (65)

**სერბეთი (4-2-3-1):** სტოიკოვიჩი-ივანოვიჩი, სუბოტიჩი, ნასტასიჩი, ტომოვიჩი-მიხაილოვიჩი, ფეისა (86. პეტროვიჩი)-ტოშიჩი (90+3. სტევანოვიჩი), ტადიჩი (69. ჯორჯევიჩი), ბასტა - ჯურიჩიჩი

**შოტლანდია (4-2-3-1):** მარშალი-ჰატონი, კოლდუელი, გ. ჰენლი, უიტეკერი-მაკარტური (46. ადამი), ბრიდკატი-მელონი (80. ბერკი), ბოიდი, ნეისმიტი-როუდსი (80. მილერი)

**ბელგია–მაკედონია 1:0**

**გოლი:** 1:0 აზარი (63)

**ბელგია (4-1-4-1):** კურტუა-ალდერვეირელდი, ვერმაელენი, კომპანი, ვერტონგენი-ვიტსელი-დემბელე (56. შადლი), მერტენსი (46. მირალიაში), აზარი (90. ფელაინი), დე ბრუინე - ბენტეკე

**მაკედონია (4-5-1):** პაჩოვსკი-გეორგიევსკი, შიკოვი, ნოვესკი, რისტოვსკი (70. ტოდოროვსკი)-გლიგოროვი, ტასევსკი (46. ჰასანი), იბრაიმი, ტრიჩკოვსკი (64. ტრაიკოვსკი), პანდევი - ივანოვსკი

**უელსი–ხორვატია 1:2**

**გოლები:** 1:0 ბეილი (21-პენ), 1:1 ლოვრენი (77), 1:2 ედუარდო (87)

**უელსი (4-3-3):** მაიჰილი-ბ. დევისი, კოლინსი, ე. უილიამსი, განტერი-კინგი, ჯ. უილიამსი (83. ჩერჩი), ლედლი-ბეილი, რობსონ-კანუ (64. რიჩარდსი), ბელამი

**ხორვატია (4-4-2):** პლეტიკოშა-სტრინიჩი (73. ოლიჩი), ჩორლუკა, ლოვრენი, სრნა-მოდრიჩი, სამირი (61. კოვაჩიჩი), რაკიტიჩი, ბადელი (46. შილდენფელდი)-მანჯუკიჩი, ედუარდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 6 | 5 | 1 | 0 | 11-1 | 16 |
| 2. ხორვატია | 6 | 5 | 1 | 0 | 10-3 | 16 |
| 3. სერბეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-7 | 7 |
| 4. უელსი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-14 | 6 |
| 5. მაკედონია | 6 | 1 | 1 | 4 | 3-7 | 4 |
| 6. შოტლანდია | 6 | 0 | 2 | 4 | 3-9 | 2 |

**B ჯგუფი**

**სომხეთი–ჩეხეთი 0:3**

**გოლები:** 0:1 ვიდრა (47), 0:2 ვიდრა (81), 0:3 კოლარი (90)

**სომხეთი (4-4-2):** ბერეზოვსკი-ალექსანიანი, არზუმანიანი, ვოსკანიანი, ჰოვანესიანი - მხითარიანი, მურადიანი (78. მანოიანი), კაზარიანი (60. სარქისოვი), მანუჩარიანი (50. ოზბილიზი)-პიზელი, მოვსისიანი

ჩეხეთი (4-4-2): ჩეხი-გებრე სელასი, კადლეცი, სივოკი (43. სუხი), ლიმბერსკი - ჰიუბშმანი, დარიდა (85. ირაჩეკი), როსიცკი, პლაშილი - ვიდრა, ლაფატა (74. კოლარჟი)

**დანია–ბულგარეთი 1:1**

**გოლები:** 0:1 მანოლევი (51), 1:1 აგერი (63-პენ)

**დანია (4-2-3-1):** ანდერსენი-იაკობსენი, კიაერი, აგერი, პოულსენი-ზიმლინგი (86. მაკიენოკი), სტოკჰოლმი-კრონ-დელი (69. შონე), ერიკსენი, რომედალი (56. იორგენსენი) - კორნელიუსი

**ბულგარეთი (4-1-4-1):** მიხაილოვი-ი. მილანოვი, ბოდუროვი (23. დიმიტროვი), ივანოვი, მინევი-დიაკოვი-გ. მილანოვი, პოპოვი (70. ილიევი), გაჯევი, მანოლევი (87. გარგოროვი) - ტონევი

**მალტა–იტალია 0:2**

**გოლები:** 0:1 ბალოტელი (8-პენ), 0:2 ბალოტელი (45)

**მალტა (4-5-1):** ჰაიბერი-კარუანა, ერერა, მუსკატი, ფაილა-კამილერი, შიბერასი, ბრიფა, დიმეკი, შემბრი - მიფსუდი

**იტალია (4-3-1-2):** ბუფონი-აბატე, ბარცალი, ბონუჩი, დე შილიო-პირლო, მონტოლივო, მარკიზიო-ჯაკერინი (61. კანდრევა)-ელ შაარავი, ბალოტელი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 12-4 | 13 |
| 2. ბულგარეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 11-4 | 10 |
| 3. ჩეხეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 4. დანია | 5 | 1 | 3 | 1 | 6-5 | 6 |
| 5. სომხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-7 | 3 |
| 6. მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 1-14 | 0 |

**C ჯგუფი**

**გერმანია–ყაზახეთი 4:1**

**გოლები:** 1:0 როისი (23), 2:0 გიოტცე (27), 3:0 გიუნდოგანი (32), 3:1 შმიდტგალი (47), 4:1 როისი (90)

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ბოატენგი, შმელცერი - ხედირა, გიუნდოგანი - მიულერი, იოზილი, როისი (90. იანსენი) - გიოტცე.

**ყაზახეთი (4-5-1):** სიდელნიკოვი - გორმანი, დმიტრენკო, მუხტაროვი, კიროვი - კონისბაევი (78. შომკო), კორობკინი, ნურდაულეტოვი (46. ჯოიჩიევი), ენგელი, შმიდტგალი - ოსტაპენკო (64. კუკეევი).

**ირლანდია–ავსტრია 2:2**

**გოლები:** 0:1 ჰარნიკი (11), 1:1 უოლტერსი (25-პენ), 2:1 უოლტერსი (45), 2:2 ალაბა (92)

**ირლანდია (4-4-2):** ფორდი - კოულმენი, ოში, კლარკი (72. ლედგერი), უილსონი - უოლტერსი, უელანი, მაკარტი, მაკლინი - სემონი, ლონგი (83. გრინი).

**ავსტრია (4-4-1-1):** ლინდნერი - გარიში, დრაგოვიჩი, პოგატეცი, ფუხსი - ჰარნიკი, კავლაკი (69. ვაიმანი), ალაბა, არნაუტოვიჩი - იუნუზოვიჩი (27. ბაუმგარტლინგერი) - ჰოზინერი (62. იანკო).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 22-7 | 16 |
| 2. შვედეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 3. ავსტრია | 5 | 2 | 2 | 1 | 13-4 | 8 |
| 4. ირლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 9-10 | 8 |
| 5. ყაზახეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-15 | 1 |
| 6. ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 2-15 | 0 |

**D ჯგუფი**

**ესტონეთი–ანდორა 2:0**

**გოლები:** 1:0 ანიერი (45), 2:0 ლინდპერე (61)

**ესტონეთი (4-4-1-1):** პარეიკო – იაგერი. მოროზოვი, პიროია, ტენისტე – პურიე (76. ზენიოვი), მოსნიკოვი, ვასილიევი, კლინკი – ანიერი (55. ლინდპერე) – აიუპერა (55. ოპერი)

**ანდორა (4-4-1-1):** ი. გომესი – მოისესი, ვალესი, ლიმა, მ. გარსია – მარტინესი, აიალა, ვიეირა, მორეირა (79. ბერნაუსი) – პეპე (66. ე. გარსია) – ს. გომესი (85. სილვა)

**თურქეთი–უნგრეთი 1:1**

**გოლები:** 1:0 ილმაზი (63), 1:1 ბოდე (71)

**თურქეთი (4-4-2):** კივრაკი – გიონული, კაია, ირთეგუნი, კალდირიმი – შაჰინი (90. ფრეი), ინანი, თურანი, ფოთუქი (70. ჰ. ალთინთოფი) – ილმაზი, ბულუთი (80. ერდინჭი)

**უნგრეთი (4-3-2-1):** კირალი – ვონჩაკი, კორშმარი (46. გუზმიჩი), კადარი, მეჟაროსი – ვარგა, პინტერი, ჰანალი (68. ბოდე) – კომანი, ჯუჯაკი – ჟალაი (78. ელეკი)

**ჰოლანდია–რუმინეთი 4:0**

**გოლები:** 1:0 ვან დერ ვაარტი (12), 2:0 ვან პერსი (56), 3:0 ვან პერსი (65-პენ.), 4:0 ლენსი (90)

**ჰოლანდია (4-3-3):** ვერმეერი – იანმაატი, დე ვრი, ინდი, ბლინდი – ლენსი, სტროტმანი, დე გუზმანი (74. მაჰერი) – ვან დერ ვაარტი (80. კლასი), რობენი, ვან პერსი (86. ს. დე იონგი)

**რუმინეთი (4-5-1):** პანტილიმონი – ტამაში, გარდოში, კირიკეში, რატი – პოპა (63. ტორიე), ბურსეანუ, პინტილი, გროზავი (68. მუტუ), ტანასე (60. ჩიპსიუ) - სტანკუ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 6 | 6 | 0 | 0 | 20-2 | 18 |
| 2. უნგრეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-8 | 11 |
| 3. რუმინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-10 | 10 |
| 4. თურქეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-7 | 7 |
| 5. ესტონეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 3-9 | 6 |
| 6. ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 0-17 | 0 |

**F ჯგუფი**

**აზერბაიჯანი–პორტუგალია 0:2**

**გოლები:** 0:1 ბრუნო ალვეში (63), 0:2 უგო ალმეიდა (79)

**აზერბაიჯანი (4-4-2):** აგაევი – აბისოვი, რამალდანოვი, ჰუსეინოვი, სადიქოვი – სუკუროვი, მედვედევი, ისმაილოვი, მამადოვი (69. ფარდადაზადი) – ალიევი, ნადიროვი (62. ლევინი)

**პორტუგალია (4-3-2-1):** რუი პატრისიო – ჟოაო პერეირა, ბრუნო ალვეში, პეპე, კოენტრაუ – მეირელეში (58. უგო ალმეიდა)., ველოზო, მოუტინიო – ვიეირინია, დანი (73. ვარელა) – პოშტიგა (82. კუსტოდიო)

**ჩრდ. ირლანდია–ისრაელი 0:2**

**გოლები:** 0:1 რაფაელოვი (77), 0:2 ბენ ბასატი (84)

**ჩრდ. ირლანდია (4-2-3-1):** ქეროლი – ჰაგესი, მაკალეი, ევანსი, ლაფერტი – ბრანტი, კლინგანი (მაკკურტი) – მაკგრინი, დევისი, ფერგიუსონი (73. მაჯენისი) – პატერსონი (83. ჰილი)

**ისრაელი (4-4-2):** ავატე – შპუნგინი, ტიბი, ბენ ჰაიმი, გერსონი – იეინი, ნაჩო, რადი (60. ზაჰავი), მელიკსონი (70. რაფაელოვი) – შეჩტერი (86. ბენაიუნი), ბენ ბასატი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8-0 | 12 |
| 2. ისრაელი | 6 | 3 | 2 | 1 | 15-8 | 11 |
| 3. პორტუგალია | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| 4. ჩრ. ირლანდია | 5 | 0 | 3 | 2 | 3-7 | 3 |
| 5. აზერბაიჯანი | 6 | 0 | 3 | 3 | 2-8 | 3 |
| 6. ლუქსემბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-12 | 2 |

**H ჯგუფი**

**უკრაინა–მოლდოვა 2:1**

**გოლები:** 1:0 იარმოლენკო (61), 2:0 ხაჩერიდი (71), 2:1 სუვოროვი (80)

**უკრაინა (4-4-2):** პიატოვი - ფედეცკი, კუჩერი, ხაჩერიდი, შევჩუკი - ჰუსევი (90. გრეჩიშკინი), სტეპანენკო, ტიმოშჩუკი, იარმოლენკო - სელეზნიოვი (62. ბეზუსი), ზოზულია.

**მოლდოვა (4-4-2):** ნამაშკო - ბორდიანი, ეპურეანუ, გოლოვატენკო, ბულგარუ - სიდორენკო, იონიცა, პაშჩენკო (67. ონიკა), დედოვი (78. სუვოროვი) - გეორგიევი, ბუგაილოვი (69. დოროში).

**გაძევება:** სტეპანენკო (92.)

**პოლონეთი–სან მარინო 5:0**

**გოლები:** 1:0 ლევანდოვსკი (21-პენ), 2:0 პიშჩეკი (28), 3:0 ლევანდოვსკი (50-პენ), 4:0 ტეოდორჩიკი (61), 5:0 კოსეცკი (91)

**პოლონეთი (4-4-2):** ბორუცი - პიშჩეკი, სალამონი (87. ვასილევსკი), გლიკი (46. კოსეცკი), ვავრჟინიაკი - გროსიცკი, კრიხოვიაკი, პოლანსკი, მიერჟიევსკი - ლევანდოვსკი, მილიკი (59. ტეოდორჩიკი).

**სან მარინო (5-4-1):** ა. სიმონჩინი - ალექს დელა ვალე (80. ბუსკარინი), ფ. ვიტაიოლი, ალესანდრო დელა ვალე, ბოლინი (57. ბაკიოჩი), პალაცი - მ. ვიტაიოლი, ბოლინი, კოპინი, გასპერონი - სელვა (51. რინალდი).

**ჩერნოგორია–ინგლისი 1:1**

**გოლები:** 0:1 რუნი (6), 1:1 დამიანოვიჩი (76)

**ჩერნოგორია (4-4-2):** მ. ბოჟოვიჩი - სავიჩი, ჯუდოვიჩი, ბაშა, ვ. ბოჟოვიჩი (75. დელიბაშიჩი) - ვუკჩევიჩი (63. კრკოტიჩი), ზვეროტიჩი, ნოვაკოვიჩი (46. დამიანოვიჩი), ვოლკოვი - იოვეტიჩი, ვუჩინიჩი.

**ინგლისი (4-4-1-1):** ჰარტი - ჯონსონი, სმოლინგი, ლესკოტი, ე. კოული - მილნერი, ჯერარდი, კერიკი, უელბეკი - კლევერლი - რუნი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 6 | 4 | 2 | 0 | 14-3 | 14 |
| 2. ინგლისი | 6 | 3 | 3 | 0 | 21-3 | 12 |
| 3. პოლონეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-6 | 8 |
| 4. უკრაინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 5. მოლდოვა | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 4 |
| 6. სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 0-29 | 0 |

## პოდგორიცა: საშიში ქალაქი

ეს დღეები ბრიტანული მედიის ყურადღების ცენტრში ბალკანური ქალაქი პოდგორიცაა, სადაც ინგლისის ნაკრებმა მორიგი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი საკვალიფიკაციო მატჩი არ წააგო, მაგრამ ვერც მოიგო - 1:1. **უეინ რუნის** გოლს მასპინძელმა ჩერნოგორიელებმა **დეიან დამიანოვიჩის** გასროლით უპასუხეს.

ამჯერად რუნი აღარ გაუძევებიათ პოდგორიცაში, მაგრამ მატჩის დაწყებამდე ქალაქში ბევრი რამ მოხდა. ჯერ იყო და კოკისპირულმა წვიმამ მისი გამართვა საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა. შემდეგ კი... ინგლისელი ფანები ხელებს ასავსავებდნენ, ჩვენ არაფერ შუაში ვართო - თამაშის დაწყებამდე სტადიონზე ჩერნოგორიელმა ფანებმა... ერთმანეთში იჩხუბეს და ერთ-ერთს თავ-პირი დაუსისხლიანეს.

თუმცა ერთი ინგლისელი ფანიც სერიოზულად დაშავდა, მას თავში ჭრილობა ბლაგვი საგნით მიაყენეს. თამაშის დროსაც, ტრიბუნებიდან ათეულობით საგანი ისროლეს, განსაკუთრებით დაზარალდა სტანდარტული მდგომარეობების შემსრულებელი **სტივენ ჯერარდი**, რომელსაც ხეირიანად არ აცლიდნენ კუთხურების ჩამოწოდებას. ჩერნოგორიამ კი ინგლისთან 2-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა.

**გარეთ ბეილის** გოლმა ვერ უშველა უელსს, მეორე ტაიმში სტუმარმა ხორვატიამ ორი გაიტანა (**ლოვრენი** და **ედუარდო**) და შინ მნიშვნელოვანი სამი ქულა წაილო. სერბეთმა საკუთარ მოედანზე შოტლანდია იოლად დაამარცხა. პორტუგალიამ კი სტუმრად აზერბაიჯანს აჯობა. **მარიო ბალოტელის** დუბლით მოიგო იტალიამ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**
**ლაშა წიკლაური**


პოდგორიცაში ინგლიელებსაც მოხვდათ

ბრაზილია-რუსეთი. გამოხმაურება

# სკოლარი კმაყოფილია, კაპელო უკმაყოფილო

## არადა, პირიქით უნდა იყოს

ხუთშაბათს გამართულმა ამხანაგურმა შეხვედრამ (1:1) აჩვენა, რომ ბრაზილიის ნაკრები მძიმე მდგომარეობაშია და **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ბევრი რამის შეცვლა მოუწევს იმისთვის, რომ გუნდი ზაფხულში კონფედერაციის თასზე არ შერცხვეს. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირზე ბრაზილიის მეტოქეები ჯგუფში მექსიკის, იაპონიისა და იტალიის ნაკრები გუნდები არიან და თუ „სელესაომ" მათთანაც ისე ითამაშა, როგორც რუსეთთან, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი აუცილებლად ჯგუფში ჩარჩება.

ბრაზილია ნაგებას ბოლო წუთზე **ფრედის** გოლით გადაურჩა. 29 წლის ფორვარდი ნაკრებში, ისევე როგორც კლუბში, ძალიან შედეგიანია – 2013 წელს „სელესაომ" სამი მატჩი ჩაატარა (ინგლისთან, იტალიასთან და რუსეთთან) და „ფლუმინენსეს" ფორვარდმა გოლის გატანა სამივე შეხვედრაში მოახერხა. საერთოდ, ფრედი ნაკრებში 2011 წელს დააბრუნეს და იქიდან მოყოლებული, მან 13 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა, სულ კი მის ანგარიშზე 10 ბურთია (22 თამაშში).

ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა **მარსელომ**, რომელმაც საგოლე პასი ფლანგზე შესანიშნავი გარღვევის შემდეგ გააკეთა. სკოლარიმ, „რეალის" მარცხენა მცველი შეხვედრის შემდეგ შეაქო:

„დღეს მან ძალიან კარგად ითამაშა. ის უტევდა მაშინ, როდესაც შეტევაში უნდა გადასულიყო და დაცვაშიც დამაჯერებლად მოქმედებდა. თამამად ვიტყვი, რომ ნაკრებს ერთი შეუცვლელი წევრი უკვე ჰყავს".

ბრაზილიელთა 64 წლის დამრიგებელი, რომელიც გუნდში დაბრუნების შემდეგ ჯერ კიდევ მოგების გარეშეა, არც მთლიანად გუნდის თამაშით დარჩა უკმაყოფილო:

„დღესაც და იტალიასთანაც დაახლოებით ერთ დონეზე ვითამაშეთ. რუსეთი საკმაოდ კარგად ორგანიზებული და ძლიერი გუნდია, რომლის წინააღმდეგაც ასპარეზობა იოლი არ არის. გაშვებული გოლის შემდეგ ბიჭები არ დაიბნენ და მათ ხელი არ ჩაუქნევიათ, პირიქით, გოლმა ისინი გაალიზიანა და საბოლოოდ, ანგარიშის გათანაბრებაც მოვახერხეთ. ვფიქრობ, სწორ გზაზე ვართ და ნელ-ნელა ვუმატებთ, რაც აუცილებლად მოგვიტანს წარმატებას," – განაცხადა „ფელიპაომ" პრესკონფერენციაზე.

ვიზავისგან განსხვავებით, უკმაყოფილი დარჩა **ფაბიო კაპელო**, რომლის ხელშიც რუსეთის ნაკრებს უკვე 8 მატჩია არ წაუგია. იტალიელი სპეციალისტი ბოლო წუთზე გაშვებულმა ბურთმა გააბრაზა:

„ფეხბურთელებმა კონცენტრაცია დაკარგეს, რაც ისეთი დონის მეტოქესთან, როგორიც ბრაზილიის ნაკრებია, დაუშვებელია. საბოლოო ჯამში ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ ეს მატჩი უნდა მოგვეგო. ჩემთვის ამხანაგურ შეხვედრებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ამ მატჩებში შეიძლება სხვადასხვა ტაქტიკური თუ სტრატეგიული სიახლეების გამოცდა".



### ნეიმარი - ფეხბურთის ჯასტინ ბიბერი

ბრაზილია-რუსეთის მატჩზე საკუთარი აზრი **ჯოი ბარტონმაც** გამოთქვა, უფრო სწორად, ინგლისელი ნახევარმცველის სამიზნე კონკრეტულად ერთი ფეხბურთელი, **ნეიმარი** იყო. შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ, ბარტონმა 21 წლის ფორვარდი გააკრიტიკა, რასაც ნეიმარის პასუხი მოჰყვა – ბრაზილიელმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ საერთოდ არ იცოდა, ვინ იყო ჯოი ბარტონი. რუსეთთან თამაშის შემდეგ, რომელშიც „სანტოსის" ლიდერმა თავი ვერაფრით გამოიჩინა, ბარტონმა საკუთარ „ტვიტერზე" შემდეგი რამ დაწერა:

„ნეიმარი ფეხბურთის ჯასტინ ბიბერია – ის ძალიან მაგარია „იუთუბიზე", მაგრამ რეალობაში კატის შარდია".

ბარტონისგან მსგავს გამოხდომებს კი შევეჩვიეთ, მაგრამ ვფიქრობთ ამჯერად ზედმეტი მოუვიდა...

ბრაზილია. შტატების ჩემპიონატები. პაულისტა და კარიოკა

# ზეედორფის პირველი წითელი ბარათი



ზეედორფმა კარიერაში პირველი წითელი ბარათი მიიღო

### პაულისტა. XIV ტური

| სან პაულო-ბრაგანტინო | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 პრეტო (31-ს.კ.), 2:0 ლუიშ ფაბიანო (44).

| გუარანი-კორინთიანსი | 0:1 |
|---|---|

**გოლი:** 0:1 გერერო (6).

| | |
|---|---|
| პალმეირასი-სანტოსი | 0:0 |
| ატლ. სოროკაბა-XV დე პირასიკ. | 0:1 |
| პენაპოლენსე-სან ბერნარდო | 3:0 |
| ბოტაფოგო სპ-ლინენსე | 3:0 |
| პაულისტა-პონტე პრეტა | 0:1 |
| მოჟი მირიმი-მირასოლი | 3:1 |
| იტუანო-ოესტე | 1:2 |
| უნიოა ბარბარენსე-სან კაეტანო | 0:0 |

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. სან პაულო (13 თამაში) – 32 ქულა, 2. პონტე პრეტა – 30, 3. სანტოსი – 28, 4. მოჟი მირიმი – 26, 5. ბოტაფოგო სპ – 25, 6. კორინთიანსი – 25, 7. პალმეირასი – 25, 8. ლინენსე – 21, 9. პენაპოლენსე – 20, 10. ოესტე – 18, 11. ბრაგანტინო – 18, 12. პაულისტა – 17, 13. სან ბერნარდო – 15, 14. XV დე პირასიკაბა – 14, 15. იტუანო – 13, 16. მირასოლი – 12, 17. სან კაეტანო – 10, 18. ატლ. სოროკაბა – 9, 19. გუარანი – 9, 20. უნიაო ბარბარენსე – 8.

**ბომბარდირები:** 8 – ვილიამი (პონტე პრეტა); 7 – ლეო ჟაიმე (ბრაგანტინო), სერჟინიო (ოესტე), ფერნანდო ბაიანო (სან ბერნარდო), ლინკომი (ბრაგანტინო).

პაულისტას მე-12 ტურმა ცხრილის ზედა ნაწილში სიტუაცია არ შეცვალა. ზედიზედ მე-10 წაუგებელი მატჩი (8 მოგება ამ პერიოდში) ჩაატარა „სან პაულომ", რომელმაც შინ „ბრაგანტინოს" სძლია. მორიგი, უკვე მე-6 გოლი გაიტანა **ლუიშ ფაბიანომ**, ვინც მოედანს უგოლოდ უკვე სამი მატჩია, არ ტოვებს.

მოიგო „კორინთიანსმაც" და მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. **ტიტეს** შეგირდებმა აუტსაიდერი „გუარანი", **ხოსე პაოლო გერეროს** ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხეს და პაულისტაში დაუმარცხებელი სერია 12 მატჩამდე გაზარდეს.

ცენტრალური შეხვედრა კი „პალმეირასის" და „სანტოსის" დერბი იყო. **ნეიმარისა და ვალტერ მონტილიოს** გარეშე დარჩენილმა „სანტოსმა" მასპინძლებს გოლი ვერ გაუტანა, თუმცა არც საკუთარ კარში გაუშვა და საბოლოოდ, სან პაულოს შტატის ერთ-ერთი გამორჩეული დერბი 0:0 დასრულდა.

რეგულარული სეზონის დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი, რის შემდეგაც პირველ რვა ადგილზე გასული გუნდი ბრძოლას პლეი ოფში გააგრძელებს.

### კარიოკა. ტაკა რიო. II ტური

| მადურეირა-ბოტაფოგო | 1:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 დორია (42), 1:1 ჟან კარლოსი (58), 1:2 ზეედორფი (67)

**გაძევება:** როდრიგო (90. მადურეირა), ზეედორფი (90. ბოტაფოგო).

| | |
|---|---|
| ნოვა იგუასუ-ვასკო | 2:0 |
| დუკე დე კაშიასი-ფლუმინენსე | 0:0 |
| ბოავიშტა-ფლამენგო | 0:0 |
| კისამა-ოლარია | 0:0 |
| რესენდე-მაკაე | 2:1 |
| აუდაქს რიო-ბანგუ | 1:1 |
| ვოლტა რედონდა-ფრიბურგენსე | 1:0 |

**სატურნირო მდგომარეობა: A ჯგუფი:** 1. ბოტაფოგო – 6 ქულა, 2. ვოლტა რედონდა – 6, 3. ოლარია – 4, 4. ფრიბურგენსე – 3, 5. ნოვა იგუასუ – 3, 6. კისამა – 1, 7. მადურეირა – 0, 8. ვასკო და გამა – 0.

**B ჯგუფი:** 1. რესენდე – 6, 2. ფლუმინენსე – 4, 3. მაკაე – 3, 4. ბანგუ – 2, 5. დუკე დე კაშიასი – 2, 6. ბოავიშტა – 1, 7. ფლამენგო – 1, 8. აუდაქს რიო – 1.

**ბომბარდირები:** 2 – ლეო სალინო (ნოვა იგუასუ), მარსელი (რესენდე).

„ტაკა რიოს" მეორე ტურის მთავარი მოვლენა „მადურეირას" და „ბოტაფოგოს" შეხვედრაში მოხდა: 93-ე წუთზე, **კლარენს ზეედორფმა** უაზრო სიტუაციაში ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა – 38 წლის ფეხბურთელმა კარიერაში პირველი წითელი ბარათი დაიმსახურა. თამაშის შემდეგ ზეედორფი გაოგნებული იყო და ჟურნალისტებთან ამბობდა, რომ წითელი ბარათის მიღების მიზეზს ვერ მიხვდა. ყველაფერი კი ასე მოხდა: კლარენსმა მოედნის დატოვება განიზრახა და სათადარიგო სკამისკენ გაეშურა, არბიტრმა კი მას მოედნის დატოვება საპირისპირო მხრიდან მოსთხოვა, რაზეც ჰოლანდიელისგან უარი მიიღო. ამის გამო, ზეედორფმა პირველი ყვითელი დაიმსახურა, ხოლო როდესაც მოძრაობა ისევ იმავე მიმართულებით გააგრძელა, მსაჯმა ვეტერანს მეორე ყვითელი და შესაბამისად წითელი ბარათი აუფრიალა. „ბოტაფოგოს" ხელმძღვანელობა მსაჯის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

გაძევებამდე ზეედორფმა ბევრი რამ მოასწრო – ჰოლანდიელმა გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა, მანამდე კი **დორიას** გაატანინა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

„ფლუმინენსემ" და „ფლამენგომ" თავიანთი მატჩები 0:0 დაასრულეს, „ვასკო და გამამ" კი საერთოდ წააგო. ორი ტურის შემდეგ, „ფლა" თავის ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზეა, „ვასკო" კი 0 ქულით ბოლო პოზიციას იკავებს.

NextGen Series. 1/4 ფინალი

The NextGen Series

# სპორტინგი ინგლისელთა ალყაში

| ჩელსი-იუვენტუსი | 4:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 კივომია (11), 2:0 ბეიკერი (13), 2:1 რუგანი (72), 3:1 ფერუზი (83), 4:1 ბეიკერი (89).

| ასტონ ვილა-ოლიმპიაკოსი | 1:0 |
|---|---|

**გოლი:** 1:0 ბურკი (11).

| ტოტენჰემი-სპორტინგი | 3:5 დ.დ. |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ბეტინიო (7), 1:1 ოდუვა (9), 1:2 ბეტინიო (18), 1:3 რუბენ სემედო (52), 2:3 დომბაქსი (81), 3:3 მაიკლ-პერსილი (90), 3:4 ალეშანდრე გედესი (96), 3:5 ატუდი (120).

| არსენალი-ცსკა | 1:0 |
|---|---|

**გოლი:** 1:0 გნაბრი (65).

**ბომბარდირები:** 6 – მაიკლ დრენანი (ასტონ ვილა), ისლამ ფერუზი (ჩელსი); 5 – კონორ კოადი (ლივერპული), შაკილ კულთირსტი (ტოტენჰემი), კარლოს მანე (სპორტინგი).

„ახალი თაობის სერიის" 1/4 ფინალში ოთხი ინგლისური გუნდი გავიდა და კინალამ ისე მოხდა, რომ ნახევარფინალი მთლიანად ინგლისური მივიღეთ. ბრიტანელების წინააღმდეგობის დაძლევა მხოლოდ ლისაბონის „სპორტინგმა" შეძლო, რომელმაც შესანიშნავ შეხვედრაში „ტოტენჰემს" სძლია. პორტუგალიელები 52-ე წუთისთვის 3:1-ის იგებდნენ, მაგრამ ბოლო 10 წუთში საკუთარ კარში ორი გოლი მიიღეს და გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო დაინიშნა. მიუხედავად დიდი უპირატესობის განიავებისა, სტუმრები ფსიქოლოგიურად არ გატყდნენ და დამატებით 30 წუთში მეტოქის კარი ორჯერ აიღეს. „სპორტინგის" მხრიდან **ბეტინიო** გამოირჩა, რომელმაც დუბლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ „სპორტინგს" ამ შეხვედრაში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი **კარლოს მანე** აკლდა, მაგრამ გუნდმა მაინც ხუთი გოლი გაიტანა.

დიდ ინტერესს იწვევს „ჩელსის" და „იუვენტუსის" დაპირისპირება, რომელიც დიდი გუნდის მსგავსად, 1/4 ფინალამდე დაუმარცხებელი მოვიდა. ტურინელებმა მეტოქეს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და საბოლოოდ დიდი ანგარიშით წააგეს. „არისტოკრატთა" მხრიდან მორიგი გოლი გაიტანა **ისლამ ფერუზმა** – შოტლანდიის ახალგაზრდული ნაკრების წევრის ანგარიშზე უკვე 6 გოლია და ის ბომბარდირთა დავის ერთ-ერთი ლიდერია.

არ გაუტანია მეორე ლიდერს, ირლანდიელ **მაიკლ დრენანს**, მაგრამ მის ნაცვლად თავი მეორე ირლანდიელმა, **გრემ ბურკმა** გამოიჩინა, „ასტონ ვილამ" კი „ოლიმპიაკოსს" მოუგო და საუკეთესო ოთხეულში მოხვდა.

1/4 ფინალის უკანასკნელი შეხვედრა ლონდონში გაიმართა და „არსენალმა" მოსკოვის ცსკას მოუგო. შეხვედრის ერთადერთი ბურთი **სერჟ გნაბრის** ანგარიშზეა, რომელმაც ამ სეზონში „მეთოფეთა" ძირითად გუნდშიც ითამაშა.

საბოლოოდ, 1/2 ფინალში 3 ინგლისური და ერთი პორტუგალიური გუნდი გავიდა. მატჩები 29 და 30 მარტს გაიმართება, გუნდები კი ასე დაწყვილდნენ:

29 მარტი: ჩელსი – არსენალი, 30 მარტი: ასტონ ვილა – სპორტინგი.

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ



ახალგაზრდა „მეთოფეები" 1/2 ფინალში გასვლას ზეიმობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიცია

# დე ლაურენტისი: როგორ ვუშველოთ იტალიურ ფეხბურთს


აურელიო დე ლაურენტისი

**„ნაპოლის“ პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი იდეების ნაკლებობას არასდროს უჩიოდა, მაგრამ ბოლო პერიოდში, სულაც ფრთები გაშალა და სურს, რომ კალჩოში რევოლუციური ცვლილებების სულისჩამდგმელი გახდეს. სენიორ აურელიომ თავისი მოსაზრებები ჟურნალისტებს გაუზიარა**

### 1. უნდა შევწყვიტოთ უცხოელებზე ნადირობა

**აურელიო დე ლაურენტისის** აზრით, იტალიური საკლუბო ფეხბურთის პრობლემებს ჯერ კიდევ 90-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, როდესაც გუნდების მფლობელები უცხოელ ფეხბურთელებში მილიონებს იხდიდნენ:

*„ამ ყველაფერმა დროის მოკლე მონაკვეთში წარმატება მოგვიტანა, მაგრამ მთლიანობაში, უფრო სერიოზულ პრობლემებს დაუდო სათავე. სწორედ იმ გაუაზრებელი ხარჯვის შედეგი გახლდათ არაერთი კლუბის გაკოტრება და დღეს არსებული პრობლემებიც. გამოსავალი? – უნდა შევეშვათ უცხოელებზე ნადირობას და აქცენტი ადგილობრივი მოთამაშეების აღზრდაზე გადავიტანოთ. თანხების დიდი ნაწილი სკოლებისა და აკადემიების განვითარებაში უნდა ჩაიდოს, რაც მალევე გამოიღებს შედეგს“.*

### 2. ახალგაზრდული კლუბები პროფესიულ ლიგაში დავუშვათ

დე ლაურენტისმა ერთი კონკრეტული იდეაც წამოაყენა, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ თვით **არიგო საკიმ** გააჟღერა: *„ახალგაზრდულ გუნდებს მეტი გასაქანი უნდა ჰქონდეთ და ამისთვის მათი უფრო მაღალ დონეზე ასპარეზობაა საჭირო. სერია A-ს წარმომადგენელთა ახალგაზრდული გუნდები პრო ლიგის (სერია C) გათამაშებაში უნდა ჩავრთოთ, სადაც მათ ბევრად უფრო ძლიერ გუნდებთან მოუწევთ დაპირისპირება. ახალგაზრდები ერთმანეთთან ჭიდილში ვერ იზრდებიან და შესაბამისად, მთავარ გუნდში მოუმზადებელნი ხვდებიან. თუ ამ ნოვაციას დავნერგავთ, ქვეყნის წამყვანი კლუბები ნიჭიერ ფეხბურთელთა უწყვეტ წყაროს მივიღებთ. ამ ინიციატივას „ლეგა კალჩოს“ უახლოეს სხდომაზე წამოვაყენებ“.*

### 3. სერია A 16 გუნდამდე შევამციროთ

„ლეგა კალჩოს“ ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე სერია A-ში გუნდების შემცირების იდეამ გაიჟღერა, რაც როგორც ჩანს, **ლაურენტისს** ძალიან მოეწონა:

*„სერია A-ში 20 გუნდი ასპარეზობს, რის აუცილებლობასაც ნამდვილად ვერ ვხედავ. მუდმივად გადატვირთულ კალენდარზე ვწუწუნებთ და შეგვიძლია, რომ ეს პრობლემა მარტივად მოვაგვაროთ. ჩემი აზრით, გუნდების რაოდენობა არათუ 18-მდე, 16-მდე უნდა შემცირდეს. ვფიქრობ, ბუნდესლიგის ბოლოდროინდელი პროგრესი იმანაც განაპირობა, რომ გერმანელებმა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა არ გაზარდეს. ეროვნულ ჩემპიონატში შემსუბუქებული კალენდარი, იტალიურ კლუბებს ევროარენაზე შეემველებათ. ეს უმნიშვნელოვანესია, რადგან ბოლო პერიოდში სერია A-მ ვარდნა განიცადა. სიახლეებს ხშირად სიფრთხილით ეკიდებიან, ამ შემთხვევაში კი სითამამე გვმართებს. თუ 20-დან 16 გუნდამდე შემცირებას 9 წელი მოვუნდებით, ამ ყველაფერს ფასი დაეკარგება – თუ ჩემს მოსაზრებას უმეტესობა დაეთანხმება, გადაწყვეტილება მყისიერად უნდა მივიღოთ, თუნდაც ზაფხულამდე“.*

### 4. ავაშენოთ ახალი სტადიონები

სტადიონების თემა იტალიური ფეხბურთისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია, რაც დე ლაურენტისის სიტყვებმაც დაადასტურა:

*„ახალი სტადიონების გარეშე არაფერი გამოვა და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. ნეაპოლში, ისევე როგორც სხვა ბევრ ქალაქში, ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელია, რაც პირდაპირ აისახება კალჩოს განვითარებაზე. ყველაზე მეტად ჩვენ ულტრასებს ვაფასებ, რომლებიც „სან პაოლოს“ კარების უკან სხედან და თამაშს ყველაზე ცუდად ხედავენ, რაც აშკარად გამოსასწორებელია. ან ახალი სტადიონები უნდა აშენდეს, ან არსებული გადავაკეთოთ, რათა სუფთა საფეხბურთო არენები მივიღოთ. სტადიონზე ოჯახური ატმოსფერო უნდა სუფევდეს, ისეთი, როგორიც ინგლისშია. ამ საკითხს აუცილებლად დავძრავ და იმედია, სხვებიც ამყვებიან“.*

**ლაშა წიკლაური**

მოსაზრება


მარიო ბალოტელი

# ლუიჯი რივა: ბალოტელი იტალიის სახეა

რასიზმი იტალიაში და კერძოდ, იტალიურ ფეხბურთში მეტად აქტუალური და პრობლემატური საკითხია. რასისტულ ნიადაგზე იტალიურ სტადიონებზე უამრავი ინციდენტი ხდება და ჯერჯერობით, გამოსავალიც არსად ჩანს. ათასგზის აქცია, ღონისძიება და მოწოდება არ ქრის და ეს უკვე წლებია მტკიცდება. ბოლო პერიოდში, ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ამბავი **კევინ პრინს ბოატენგის** ქმედება გახლდათ, როდესაც რასისტული შეძახილები ვერ აიტანა და „მილანის“ ამხანაგურ შეხვედრაში მოედანი დემონსტრაციულად დატოვა. ბოლო დღეებში, რასიზმის თემამ კიდევ ერთხელ წამოიწია წინა პლანზე და მოსაზრებაც უხვად გამოითქვა – საინტერესო კომენტარი გააკეთა იტალიური ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ, **ლუიჯი რივამ**:

*„ვფიქრობ, რომ დღეს ისეთი იარაღი გვაქვს რასიზმთან ბრძოლაში, როგორიც აქამდე არასდროს გვქონია. ძალიან ბევრი უცხოელისთვის დღეს იტალია მარიო ბალოტელისთან ასოცირდება და ეს ძალიან კარგია. ფეხბურთი რასიზმით შეპყრობილ ადამიანებსაც უყვართ და ალბათ მათაც ისევე ახარებთ „აძურას“ მაისურით ბალოტელის მიერ გატანილი გოლები, როგორც მე. ამიტომ, მარიო ჩვენი შანსია, ეს უმძიმესი სენი დავამარცხოთ“.*

**ლაშა წიკლაური**

იუვენტუსი

# დე ჩელიე ტრანსფერზეა

**პაოლო დე ჩელიე** უკვე მეექვსე წელია, რაც „იუვენტუსში“ ასპარეზობს, თუმცა მიმდინარე სეზონში ფაქტობრივად არ უწევს თამაში. **ანტონიო კონტე** უფრო **კვადვო ასამოას** ენდობა და პერიოდულად, მარცხენა ფრთაზე **სიმონე პადოინსაც** ათამაშებს. მოკლედ, ყველას, გარდა დე ჩელიესი და ბუნებრივია, რომ პაოლოს, მისი ამჟამინდელი ყოფა არ აკმაყოფილებს. იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დე ჩელიეს გადაბირება გერმანულ „ვოლფსბურგს“ სურს და გარემოს გამოცვლაზე არც თავად ფეხბურთელია წინააღმდეგი.

„გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, ტურინული კლუბის მესვეურები მზად არიან, დე ჩელიეს შეელიონ და ზაფხულში მას ტრანსფერზე უპირებენ დაყენებას. დასახელდა სატრანსფერო ფასიც – 26 წლის ფეხბურთელის საბაზრო ღირებულება 6 მილიონი ევრო იქნება.


პაოლო დე ჩელიე

**ლაშა წიკლაური**

მილანი

# პაცინი ჯერ ვერ ბრუნდება
## ბონერას მილანი არ ეთმობა

„ჯენოასთან“ შეხვედრაში დაშავებული **ჯამპაოლო პაცინი** ჯერ კიდევ მკურნალობს და ისეთი პირი უჩანს, რომ ვერც სერია A-ს მომდევნო ტურში მიიღებს მონაწილეობას. მართალია, 28 წლის ფორვარდი თავს კარგად გრძნობს და ვარჯიშობს კიდეც, მაგრამ როგორც **ადრიანო გალიანიმ** განაცხადა, ბოლომდე გამოჯანმრთელებული ჯერ კიდევ არ არის:

*„პაცინი ძალიან გვაკლდა კამპ ნოუზე და მისი არყოფნა ძვირად დაგვიჯდა. თუმცა, რას ვიზამთ, ტრავმები ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. საბედნიეროდ, პაცო უკვე გამოჯანმრთელების პირასაა და დატვირთვითაც ვარჯიშობს. ითამაშებს თუ არა „კიევოსთან“? – ალბათ არა, რადგან მისი ჯანმრთელობის გარისკვა არ გვსურს. ჯობია, 100%-ით გამოჯანმრთელდეს და შემდეგ დაუბრუნდეს მოედანს“.*

ამასობაში, **დანიელე ბონერა** გამოჩნდა პრესის ფურცლებზე და გუნდში დარჩენის სურვილი საჯაროდ გამოთქვა. 31 წლის მცველს „მილანთან“ კონტრაქტი ამ ზაფხულს ეწურება და არის ეჭვი, რომ კლუბის მესვეურები მის შენარჩუნებას არ აპირებენ: *„ვიცი, რომ „როსონერის“ მესვეურებმა აქცენტი ახალგაზრდა თაობაზე გააკეთეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, გამოცდილ ფეხბურთელებს „მილანში“ არაფერი ესაქმებათ. აქ უკვე შვიდი წელია ვირიცხები, თავს კარგად ვგრძნობ და არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. ჯერჯერობით, ახალი კონტრაქტი არავის შემოუთავაზებია, მაგრამ მომავალს იმედით ვუყურებ“.*

ბონერა „მილანში“ 2005 წელს გადავიდა, იქამდე კი „პარმას“ ღირსებას იცავდა. კარიერის საწყის წლებში, დანიელე „ბრეშაში“ ირიცხებოდა და მას უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

**ლაშა წიკლაური**



ჯამპაოლო პაცინი

ამბები

### ტიტო ვილანოვა ბარსელონაში დაბრუნდა

„ბარსელონას“ 44 წლის თავკაცი **ტიტო ვილანოვა** ბარსელონაში დაბრუნდა. ტიტო ნიუ იორკში ქიმიოთერაპიის და რადიოთერაპიის კურსს გადიოდა. ახლა ის ჯანმრთელადაა და მზადაა დაუბრუნდეს „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას.

ვილანოვა „ელ პრატის“ აეროპორტში 26 მარტს, ადგილობრივი დროით დილის 8 საათზე გამოჩნდა. თუმცა ნაშუადღევს გუნდი (უფრო სწორად, იმათ, ვინც არც ერთ ნაკრებში არაა გამოძახებული) ისევ **ჟორდი როურამ** და **აურელი ალტიმირამ** ავარჯიშეს.

ახლა ვილანოვა შინ დაისვენებს და მუშაობას ეტაპობრივად შეუდგება. მწვრთნელმა ნიუ იორკში 2 თვე და 5 დღე გაატარა.

30 მარტს „ბარსელონა“ მომდევნო ტურის მატჩს ვიგოში „სელტას“ წინააღმდეგ გამართავს. სავარაუდოდ, ტიტო ვილანოვა უკვე სათადარიგოთა სკამზე იჯდება და გუნდს თავად უხელმძღვანელებს.

### იოზილს წელიწადში 5 მილიონი ევრო ეცოტავება

მადრიდის „რეალის“ გერმანელი ნახევარმცველი **მესუთ იოზილი** ხელფასის გაზრდას ითხოვს. ხელშეკრულებაში არის პუნქტი, რომლის თანახმადაც, ხელფასი შეიძლება გადაიხედოს, იმისდა მიხედვით, როგორ ითამაშებს იოზილი ამ სეზონში.

თავად ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ კარგად თამაშობს და იმსახურებს ხელფასის მომატებას. „გალათასარაისთან“ მატჩის შემდეგ იოზილის აგენტი, მისი მამა **მუსტაფა იოზილი** „რეალის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას გამართავს.

24 წლის იოზილს 2016 წლამდე აქვს ხელშეკრულება „რეალთან“ და წელიწადში 5 მილიონ ევროს იღებს

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# ფეხბურთის ჯეისონ ბორნი

მიხაელ ბალაკმა სახელოვანი კარიერა შარშან ოქტომბერში დაასრულა. როცა ლაპარაკია გერმანიის ნაკრების ყოფილ კაპიტანზე, უპირველესად ის გახსენდება, რომ მის გუნდებს უამრავი გადამწყვეტი მატჩი აქვთ წაგებული. მათ შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ფინალები, პლუს ჩემპიონთა ლიგის ორი ფინალი. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ბალა პენსიაზე ხელცარიელი გავიდა. მის ანგარიშზეა ბუნდესლიგის ჩემპიონის 4 ტიტული და პრემიერლიგის 1 ოქრო. რამდენიმე დღის წინ ბრიტანულ პრესაში მისი ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:


მიხაელ ბალაკი

**- რისი გახსენება შეგიძლიათ ბავშვობაზე?**

- აღმოსავლეთ გერმანიაში ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა. სწავლასა და ფეხბურთს ერთმანეთს იოლად ვუთავსებდი. სპორტულ სკოლაში კი მხოლოდ 12 წლისა გადავედი.

**- 16 წლისას ექიმებმა გითხრეს, რომ პროფესიულ კარიერაზე უარი უნდა გეთქვათ.**

- ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერი იყო, შესაბამისად, ეს პერიოდი ცუდად მახსენდება. ჩემმა მწვრთნელებმა საშუალება მომცეს, ხანგრძლივი პაუზა ამეღო. მუხლის პრობლემები კი ნელ-ნელა გაქრა.

**- „ხემნიტცერში“ თქვენ „ახალი კაიზერი“ შეგარქვეს. რატომ?**

- ალბათ სირბილის მანერის გამო, რადგან ყოველთვის თავაწეული ვთამაშობდი. ნამდვილი კაიზერი უნიკალური ფეხბურთელი იყო. ჩემთვის რთული იყო მასთან გატოლება.

**- 13 ნომრისადმი სიყვარული როდის დაიბადა?**

- 1999 წელს „ბაიერში“ როცა გადავედი, 13 და 15 ნომრები იყო თავისუფალი. ჩემი კერპი რუდი ფიოლერი 13 ნომრად თამაშობდა. მივედი მასთან და ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა მისი მაისურა ჩამეცვა. რუდი დამთანხმდა.

**- 2002 წელს, მას შემდეგ, რაც „ბაიერმა“ ყველა ტურნირში გადამწყვეტი მატჩი დათმო, ამ კლუბს „ნევერკუზენი“ შეარქვეს. იმავე წელს თქვენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც ვერ ითამაშეთ. ყველაზე მტკივნეული რომელი მარცხი იყო?**

- ეს ოთხი კვირა დღემდე კარგად მახსოვს. „ბაიერს“ გერმანიის ჩემპიონატი არასოდეს მოუგია. სინი ხელიდან ბოლო დღეს გამოგვეცალა. სწორედ ეს იყო ყველაზე მტკივნეული. შემდეგ იყო ჩემპიონთა ლიგა, სადაც არ გვეგონა, რომ ასე შორს გავიდოდით. ზოგადად ყველა წაგება მტკივნეული იყო.

**- 2002 წლის ჩემპიონატზე 1/2-ფინალში მეორე ყვითელი ბარათი მიიღეთ, რის გამოც მომდევნო თამაშს ტოვებდით, მაგრამ გადამწყვეტი გოლი გაიტანეთ.**

- ვიცოდი, რომ დისკვალიფიკაცია მელოდა, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 20 წუთი რჩებოდა და მე ჩემი საქმე უნდა მეკეთებინა. სწორედ ამიტომ ბოლომდე დავიხარჯე. მას შემდეგ წესები შეიცვალა. ნახევარფინალში მიღებული ყვითლის გამო ფინალს ფეხბურთელი აღარ ტოვებს, რაც ბევრად უფრო სამართლიანია.

**- მართალია, რომ 2002 წელს „რეალს“ უარი უთხარით და „ბაიერნი“ არჩიეთ?**

- დიახ, 2002 წელს ბუნდესლიგაში დარჩენა ვარჩიე, რადგან საშინაო მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მინდოდა შინ მეთამაშა. მაშინ მეგონა, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

**- „ბაიერნში“ უამრავი რამ მოიგეთ, მაგრამ წასვლის შემდეგ ბეკენბაუერის კრიტიკას მაინც ვერ გადაურჩით.**

- ისინი არ არიან შეჩვეულები, რომ ფეხბურთელი „ბაიერნიდან“ ცოტა უკეთეს ადგილას მიდის. წასვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ კლუბში ჩემით უკმაყოფილონი იყვნენ.

**- 2006 წელს რატომ აირჩიეთ „ჩელსი“ და არა „მანჩესტერ იუნაიტედი“?**

- „ჩელსი“ სწრაფად ვითარდებოდა და მინდოდა, მათი პროექტის ნაწილი გავმხდარიყავი. მეჩვენებოდა, რომ უახლოეს წლებში მეტის მიღწევა შეგვეძლო. თანაც ჩემს ოჯახს ლონდონში ცხოვრება ერჩივნა.

**- 2009 წელს უელსთან შეხვედრაზე თქვენსა და ლუკას პოდოლსკის შორის რა მოხდა?**

- პირადად მას ჰკითხეთ. ვიკამათეთ, მაგრამ არც ისე სერიოზულად. მისი საქციელი ჩემდამი უპატივცემულობას ნიშნავდა, რაც მას მცირე ჯარიმად დაუჯდა. ლიოვმა ეს სიტუაცია სამართლიანად ნამდვილად ვერ განსაჯა.

**- 2009 წელს „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის 1/2-ფინალის შემდეგ ჰენინგ ოვრებოსთან არ გისაუბრიათ?**

- ნუ გამახსენებთ ამ არბიტრს. ლაპარაკი არ არის მხოლოდ ერთ კონკრეტულ პენალტზე, რომელიც მან არ დანიშნა. ჩვენ ამის გარდა 2-3 თერთმეტმეტრიანს ვიმსახურებდით და უბრალოდ „ბარსელონაზე“ ძლიერები ვიყავით.

**- ჯეისონ ბორნი (ცნობილი ამერიკული ფილმ ტრილოგიის გმირი. რედ.) თქვენთვის არავის უწოდებია?**

- დიახ, ხანდახან ასეც ხდება. გერმანიაში ერთმა გოგონამ ჩათვალა, რომ მე მსახიობი ვიყავი. ბალაკზე კი მას არაფერი სმენოდა.

**- სად ითამაშეთ თქვენი საუკეთესო ფეხბურთი?**

- „ბაიერში“ 2001/02 წლების სეზონში.

**- 2010 წელს ბოატენგთან ბრძოლაში მიღებულმა ტრავმამ თქვენს კარიერაზე როგორ იმოქმედა?**

- უზარმაზარი უარყოფითი როლი ითამაშა.

**- არ ნანობთ, რომ ნაკრებში მეასე თამაშის ჩატარებაზე უარი თქვით?**

- ციფრებს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. 100, 102 თუ 98. ვიცი, რომ რაც გერმანიის ნაკრებს მივეცი, ის უფრო მნიშვნელოვანია. ბოლოს როგორც მომექცნენ, იმას არ ვიმსახურებდი.

**- ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელ ფინალში თქვენი ორი ყოფილი კლუბი დაუპირისპირდა. ვის გულშემატკივრობდით?**

- ალბათ 50/50-ზე იყო. გერმანელი ვარ და ხალხს სურდა, რომ ერთმნიშვნელოვნად „ბაიერნის“ მხარე დამეჭირა, მაგრამ ეს არასწორი იქნებოდა, რადგან ბოლო წლები სწორედ „ჩელსიში“ გავატარე.

ჩელსი

# საინტერესო ამბები სტემფორდ ბრიჯზე

„მირორის“ მტკიცებით, „ჩელსის“ ბოს **რომან აბრამოვიჩსა** და **ჟოზე მოურინიოს** შორის ყველანაირი გაუგებრობა წარსულს ჩაჰბარდა და რუსი მილიარდერი მზადაა, პორტუგალიელ სპეციალისტს გუნდი კიდევ ერთხელ ჩააბაროს. გაზეთი სანდრო წყაროზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ მხარეთა შორის სამწლიანი კონტრაქტი უკვე გაფორმებულია და ის ძალაში იმ შემთხვევაში შევა, თუკი „ჩელსი“ მომდევნო სეზონისთვის ჩემპიონთა ლიგის საგზურს დაისაკუთრებს. ნამდვილად ვერ გეტყვით, როგორც მოიპოვეს ჩვენმა ინგლისელმა კოლეგებმა ეს ინფორმაცია, მაგრამ მათი თქმით, „განსაკუთრებულმა“ მადრიდში სახლის მომსახურე პერსონალს უკვე გამოუცხადა, რომ შეუძლიათ, 1 ივნისიდან ახალი სამსახური ეძებონ.

„ჩელსის“ გულშემატკივრებისთვის კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გვაქვს: გაზეთების მტკიცებით, ლონდონელები **იაია ტურეს** გარდა მომდევნო სეზონისთვის **მარუან ფელაინის** გადაბირებასაც შეეცდებიან. თუკი აფრიკელის ტრანსფერზე კონკრეტული ჯერ არაფერი გარკვეულა, ბელგიელთან პირადი ხელშეკრულება პრაქტიკულად შეთანხმებულია. „ჩელსი“ მზადაა, 25 წლის ბელგიელის სანაცვლოდ 22 მილიონი ფუნტი გადაიხადოს, ფეხბურთელს კი წელიწადში 4,5 მილიონი შესთავაზოს. ამასთან, „სტემფორდ ბრიჯზე“ ჩატარებული 50-ე თამაშის შემდეგ მისი ხელფასი წელიწადში 5 მილიონამდე აიწევს, ხოლო სეზონის განმავლობაში 10 ან მეტი გოლის გატანის შემთხვევაში ის ბონუსის სახით ერთი თვის ხელფასს მიიღებს. ლონდონელებს აშფოთებთ, რომ ბელგიელი „ევერტონში“ უდისციპლინობით გამოირჩევა. შესაბამისად, მას არასპორტული გამოხდომების შემთხვევაში კლუბი სპეციალურ სანქციას დაუწესებს, რომლის ოდენობა ასევე კონტრაქტით იქნება განსაზღვრული.

### ადვოკატი განმარტავს

გუშინდელ ნომერში რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ვწერდით, რომ ამერიკის ფედერალურმა საგამოძიებო სამმართველომ „ჩელსის“ მესაკუთრე დააკავა. ინფორმაცია ორშაბათს სალამოსვე უარყვეს ამერიკულმა და ბრიტანულმა გამოცემებმა. მიუხედავად ამისა, აბრამოვიჩის ერთ-ერთმა ადვოკატმა **ალექსანდრ დობროვინსკიმ** დამატებითი განმარტებები გააკეთა. აი, რა თქვა მან: *„მისტერ აბრამოვიჩი FBI-ში მხოლოდ და მხოლოდ დაკითხვაზე იმყოფებოდა. ამერიკულ მხარეს აინტერესებდა, თუ რა იცოდა მან 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის გამართული ბრძოლის შესახებ. ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი ჰქონდა კორუფციულ გარიგებას. სულ ეს იყო. ბიზნესმენის დაკავებაზე არავის უფიქრია“*. რომან აბრამოვიჩი ერთ-ერთი ის ბიზნესმენი იყო, ვინც რუსეთი 2018-ის სააგიტაციო კამპანიას აფინანსებდა. მან ამ მიზნით რამდენიმე მილიონი ფუნტი გადაიხადა. შეკითხვები სწორედ ამის გამო გაჩნდა.


ჩელსიში ჟოზე მოურინიოს დაბრუნება სულ უფრო რეალური ხდება

ამბები



### კრულმა ვარჯიში განაახლა

„ნიუკასლის“ ჰოლანდიელმა მეკარემ, 24 წლის **ტიმ კრულმა** ერთთვიანი პაუზის შემდეგ ვარჯიში განაახლა. შეგახსენებთ, რომ მან კოჭის ტრავმა 21 თებერვალს ხარკოვის „მეტალისტთან“ შეხვედრაში მიიღო. მას შემდეგ „კაჭკაჭების“ კარს 26 წლის **რობერტ ელიოტი** იცავს. კრული უახლოესი 2 კვირის განმავლობაში მინდორზე გასვლას მაინც ვერ შეძლებს. საუკეთესო შემთხვევაში ის „ბენფიკასთან“ ევროპა ლიგის 1/4-ფინალური მატჩისთვის თუ იქნება მზად.

### ედკინსი არისტოკრატებში

„რედინგის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლუბმა 48 წლის **ნაიჯელ ედკინსთან** შეთანხმებას მიაღწია. შეგახსენებთ, რომ „არისტოკრატების“ ბოსმა **ანტონ ზინგარევიჩმა ბრაიან მაკდერმოტს** ჩემპიონატში ზედიზედ ოთხი წაგება არ აპატია და მარტის შუა რიცხვებში კარისკენ მიუთითა. რაც შეეხება ედკინსს, ის „საუთჰემპტონმა“ იანვარში გაათავისუფლა პოსტიდან. იმ შემთხვევაში, თუკი „რედინგი“ პრემიერლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, ახალი თავკაცი ბონუსის სახით მაისის ბოლოს 1,5 მილიონ ფუნტს მიიღებს.

### სანდერლენდს ლიდერი გამოაკლდა

გუშინ „სანდერლენდის“ 26 წლის შოტლანდიელმა თავდამსხმელმა **სტივენ ფლეტჩერმა** საკუთარ დაბადების დღეზე უსიამოვნო ამბავი შეიტყო: ის უახლოესი 4-6 კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს საყვარელი საქმის კეთებას. მიზეზი კოჭის მყესების დაზიანებაა, რომელიც სტივენმა შოტლანდია-უელსის მატჩის (1:2) მე-3 წუთზევე მიიღო. არსებობს საშიშროება, რომ მას ოპერაციაც კი დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ **მარტინ ონილი** თავდასხმის ლიდერის იმედად მიმდინარე სეზონში უკვე ველარ იქნება. „შავი კატებისთვის“ ინფორმაცია შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. ისინი ისედაც მძიმე დღეში არიან. გუნდს 19 იანვრის შემდეგ, ზედიზედ შვიდი ტურია, არ მოუგია და გასავარდნ ზონას მხოლოდ ოთხი ქულით უსწრებს.

### ელერდაისის ახალი კონტრაქტი

„დეილი მეილის“ ინფორმაციით, „ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელობამ 58 წლის **სემ ელერდაისთან** ახალ, 3-წლიან კონტრაქტზე მოლაპარაკებები წამოიწყო, რომლის თანახმადაც, „ჩაქუჩების“ თავკაცის ანაზღაურება ახლანდელთან შედარებით (2 მილიონი ფუნტი წელიწადში) მნიშვნელოვნად მოიმატებს. „დიდი სემი“ „აპტონ პარკზე“ 2011 წლის ზაფხულიდან მუშაობს. სწორედ მან მოახერხა ლონდონური კლუბის პრემიერლიგაში დაბრუნება. ამჟამად კი გუნდი ცხრილში მე-14 ადგილზეა. აქამდე ცნობილი იყო, რომ კლუბი მწვრთნელთან თანამშრომლობის გახანგრძლივებას სეზონის დასრულებამდე არ გეგმავდა.

### ჰალსი დაისაჯა

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ „უიგანი“-„ნიუკასლის“ მატჩზე 51 წლის **მარკ ჰალსის** მუშაობა დაუწუნა და გამოცდილ რეფერის უქმეებზე ელიტური ლიგის ნაცვლად ლიგა ერთის „ქოვენთრი“-„დონკასტერის“ მატჩის განსჯა მიანდო. შეგახსენებთ, რომ 17 მარტს მასპინძელთა ინგლისელმა თავდამსხმელმა **კალუმ მაკმანამანმა** სტუმართა ნახევარმცველ **მასაიდო აიდარას** ერთ-ერთი ეპიზოდში გაშლილი ფეხი მუხლში ჩაარტყა. ჰალსიმ მატჩის ოქმში აღნიშვნა, რომ მავანი ფეხბურთელი ეფარებოდა, რის გამოც სიტუაცია სწორად ვერ გააანალიზა, წინააღმდეგ შემთხვევაში წესის დამრღვევს უყოყმანოდ გააძევებდა. მიმდინარე სეზონში ჰალსის პრემიერლიგაში სულ 14 თამაში აქვს განსჯილი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● შალკე


მარცხნიდან: იენს კელერი, მაიკ ბიუსკენსი, რობერტო დი მატეო და მორტენ ოლსენი

# ვინ მიხედავს შალკეს?

## ოლსენი, დი მატეო, ბიუსკენსი თუ მაინც კელერი?

**გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ „აინტრახტის“ მთავარი მწვრთნელი არმინ ფეე ფრანკფურტული კლუბის ხელმძღვანელებს ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დათანხმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მან „შალკეში“ გადასვლა იუარა. შესაბამისად, გელზენკირხენულ კლუბში სამწვრთნელო საკითხი ისევ აქტუალური გახდა. როგორც იცით, „შალკეს“ ახლა იენს კელერი ავარჯიშებს, რომელიც გუნდის დროებითი დამრიგებელია, ზაფხულიდან კი, წესით, გელზენკირხენში ახალი მწვრთნელი უნდა დაინიშნოს. ფეემდე გელზენკირხენელებს უარი „მაინცის“ თავკაცმა თომას ტუხელმაც შეუთვალა და ახლა „შალკეში“ სამი კანდიდატი განიხილება: რობერტო დი მატეო, მორტენ ოლსენი და მაიკ ბიუსკენსი. თუმცა, უშანსოდ არც თავად კელერია...**

ჩემპიონთა ლიგაში „გალათასარაისთან“ წაგების შემდეგ „შალკეში“ მონასტერი თითქოს ისევ აირია, მაგრამ საბოლოო ჯამში გელზენკირხენულ კლუბში სიმშვიდე და ნორმალური ატმოსფეროა. გუნდი ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში 26 ტურის შემდეგ მეხუთე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების რეალური შანსი აქვს (მეოთხეადგილოსან „აინტრახტს“ მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდების გამო ჩამორჩება). დღესდღეობით „შალკეს“ მართლა სერიოზული პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ფეხბურთელებმა არ იციან, ვინ იქნება მათი მწვრთნელი მომდევნო სეზონიდან. **არმინ ფეეს** უარის შემდეგ გელზენკირხენში მოქმედ, დროებით დამრიგებლად აღიარებული **იენს კელერის** გარდა კიდევ სამი სპეციალისტის კანდიდატურას განიხილავენ.

### მაიკ ბიუსკენსი

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „შალკეს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნასთან ყველაზე ახლოს 45 წლის **მაიკ ბიუსკენსია**, რომელიც გელზენკირხენულ ფანობას გასაგები მიზეზების გამო ძალიან უყვარს - მაიკი ხომ ძველი შალკელია. ბიუსკენსი ბოლოს „ფიურტის“ მწვრთნელი გახლდათ, საიდანაც ცოტა ხნის წინ, თებერვალში გააგდეს და როცა ფიურტელები გელზენკირხენში ჩაიყვანა (სხვათა შორის, „ფიურტმა“ „აუფ შალკეზე“ 2:1 მოიგო), „შალკეს“ ფანები მას დიდი ოვაციებით შეხვდნენ. საინტერესოა ისიც, რომ ბიუსკენსი 2008 და 2009 წლებში „შალკეში“ დროებით მწვრთნელად მუშაობდა. „ფიურტიდან“ წასვლის შემდეგ ბიუსკენსმა თქვა, ზუსტად ვიცი, რომ ახლა „შალკეში“ ყოველ კვირას ჩემზე ისაუბრებენო...

### რობერტო დი მატეო

42 წლის იტალიელმა შარშან „ჩელსის“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, მაგრამ ამ სეზონში მაინც გაათავისუფლეს და ლონდონური კლუბის ფანები მას დღემდე მისტირიან. **დი მატეოს** გვარს „შალკესთან“ მიმართებაში დიდი ხანია, ახსენებენ და ფაქტია, რომ გელზენკირხენული კლუბის შეფობა მისი კანდიდატურით სერიოზულადაა დაინტერესებული, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, დი მატეო გელზენკირხენში მუშაობას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ „შალკე“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს.

### მორტენ ოლსენი

„კიკერის“ ინფორმაციით, „შალკეს“ მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** 63 წლის დანიელ სპეციალისტ **მორტენ ოლსენზეც** ფიქრობს, თუმცა ეს უკანასკნელი დანიის ნაკრების დამრიგებელია და თუ დანიელები მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებენ, ოლსენი კონტრაქტს არაფრისდიდებით არ გაწყვეტს.

### თუ მაინც კელერი?

როგორც ზემოთაც ვთქვით, თავად იენს კელერსაც აქვთ თანამდებობის შენარჩუნების შანსი. ამისათვის საჭიროა, რომ „შალკემ“ ამ სეზონის დარჩენილ ტურებში სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენოს და 42 წლის იენსის ხელში მინიმუმ მეოთხე ადგილზე გავიდეს, ანუ, მოიპოვოს ჩემპიონთა ლიგის საგზური. სწორედ ამაზე საუბრობს მენეჯერი ჰელდტიც: *„მე არასდროს მითქვამს, რომ კელერის დარჩენა გამორიცხულია. ჯერ უნდა ვნახოთ, როგორ დავასრულებთ ამ სეზონს,“* - ამბობს ჰორსტი.

**გოტფრიდ ლენცი**

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბაიერნი ვიდალისთვის იბრძვის?

## ანიელის არტურო არ ეთმობა


არტურო ვიდალი

2 აპრილამდე, როცა ჩემპიონთა ლიგაში „იუვენტუსისა“ და „ბაიერნის“ პირველი დუელი უნდა შედგეს, დიდი დრო აღარ რჩება და სწორედ ამ დროს გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანული გრანდის ხელმძღვანელებმა „იუვეს“ საყრდენი ნახევარმცველის, **არტურო ვიდალის** გადაბირებაზე ზრუნვა დაიწყეს. „ბაიერნს“ ვიდალი რომ აინტერესებს, ეს ძველი ამბავია: მიუნხენელებს 25 წლის ჩამშლელის ხელში ჩაგდება 2011 წლის ზაფხულშიც სურდათ და მაშინ ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლო მომენტში ვიდალმა მიუნხენს ტურინი ამჯობინა.

იტალიური გამოცემა „ტუტოსპორტის“ ცნობით, წინა კვირაში „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** „იუვენტუსის“ პრეზიდენტ **ანდრეა ანიელის** დაუკავშირდა და ვიდალზე ჩამოუგდო სიტყვა, მაგრამ ჩვენი იტალიელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ ანიელის ვიდალის გაშვება არ უნდა და არც თავად ფეხბურთელს სურს „იუვედან“ წასვლა.

**გოტფრიდ ლენცი**

● პსჟ

# ზლატანი ბარსასთან ითამაშებს!

## უეფამ შვედი შეიწყალა


ზლატან იბრაჰიმოვიჩი

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველ რაუნდში ითამაშებს! გუშინ უეფას სადისციპლინო კომისიამ „პარი სენ ჟერმენის“ შვედი გოლეადორი შეიწყალა - იბრას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ერთ მატჩამდე შეუმცირეს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბარსელონასთან“ პირველ დუელშიც იასპარეზებს.

*„მიხარია, რომ ასე მოხდა. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ორმატჩიან დისკვალიფიკაციას არ ვიმსახურებდი. კარგია, რომ უეფამ ყველა გარემოება გაითვალისწინა და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო,“* - განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● არდავიწყება

# თაობებს დიდხანს ეხსომება...

## ანატოლი მილჩენკო 75 წლის გახდებოდა...

**გუშინ, 26 მარტს ფიფას არბიტრი, საქართველოს მე-20 საუკუნის მსაჯად აღიარებული ანატოლი მილჩენკო 75 წლის გახდებოდა, მილჩენკო, რომლის სასტვენს ფეხბურთელობისას, მსოფლიო ფეხბურთის ისეთი ლეგენდები ემორჩილებოდნენ, როგორები იყვნენ დიეგო მარადონა, იოჰან კრუიფი, ფრანც ბეკენბაუერი, გარი ლინეკერი... მილჩენკო, რომელიც ჭაბუკობაში, მშობლიური ბორჯომის, თბილისისა და სოხუმის გუნდებში თამაშობდა. ის კარგა ხანს მუშაობდა აფხაზეთში და ამ ულამაზესი კუთხის წარმომადგენლები, მას დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებენ...**

1998-2005 წლებში ანატოლი მილჩენკო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კომიტეტს ხელმძღვანელობდა. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა მსაჯთა აკადემია, რომლის აღზრდილები, დღეს, მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის თამაშების გარდა, საერთაშორისო მატჩებსაც უძღვებიან... ბოლოს, „ვიტ ჯორჯიაში" კონსულტანტად მუშობდა... მას ბევრი იცნობდა და აფასებდა... ანატოლი მილჩენკოს 75 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში ქართული საფეხბურთო სამყაროს არაერთი ცნობილი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

რაც შეეხება ღონისძიებებს... თბილისის ფეხბურთის ფედერაციისა და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით, მუშტაიდის პარკის გვერდით ტერიტორიაზე სპორტკომპლექს „იმედის" მოედანზე ანატოლი მილჩენკოს 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი, მინიფეხბურთის ტურნირი ჩატარდა, რომელშიც მთლიანად ყოფილი და მოქმედი მსაჯები ასპარეზობდნენ. ამ ტურნირის დასკვნითი მატჩები გუშინ შედგა. მე-3 ადგილისთვის მატჩში, აღმოსავლეთ საქართველოს მსაჯთა ნაკრებმა დასავლეთ საქართველოს კოლეგათა კრებულს 5:0 სძლია. ფინალში კი ვეტერან მსაჯთა ნაკრებმა დედაქალაქელი კოლეგები 3:2 დაამარცხა და ტურნირი მოიგო.

ტურნირის ორგანიზატორებმა გამარჯვებულები და გამორჩეულები სამახსოვრო პრიზებით დააჯილდოეს. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ მისაბაძი ტრადიცია წამოიწყო - ანატოლი მილჩენკოს სახელობის პრიზი დააწესა, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებული ტურნირების გამორჩეულ მსაჯს. პირველად ეს პატივი აფხაზეთის შვილს **თემურ დადახავას** ერგო...

იუბილეს ორგანიზატორებმა საბურთალოს პანთეონში, ანატოლი მილჩენკოს საფლავი, ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს. 15 საათზე კი, იმ სახლის (ალექსანდრე ყაზბეგის N 24) წინ შეიკრიბნენ, რომელშიც ლეგენდარული არბიტრი ცხოვრობდა. ხანმოკლე შეხვედრა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მურად ანჯაფარიძემ** გახსნა. ანატოლი მილჩენკო თბილი სიტყვებით გაიხსენეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გია გვაზავამ,** ყოფილმა არბიტრმა **ალბერტ ბაჩუკაშვილმა,** „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა **გურამ რუხაძემ**... თბილი სიტყვების შემდეგ კი მემორიალური დაფა გაიხსნა... და კიდევ ერთი, ბორჯომის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ანატოლი მილჩენკოს მშობლიურ ბორჯომში, მისი სახელობის ქუჩა მალე გაიხსნება...




ანატოლი მილჩენკო 2011 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა, ის ჩვენ შორის აღარაა, მაგრამ მემორიალური დაფისა და მისი სახელობის ქუჩის მეშვეობით თაობებს დიდხანს ემახსოვრებათ ანატოლი მილჩენკო...

**აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური**

● კრივი

# შვიდეული ხერსონში იასპარეზებს

მაისის მეორე ნახევარში ბელარუსის დედაქალაქი მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი სპორტსმენებიც, რომლებმაც ბოლო დროს ორი საწვრთნელი შეკრება გაიარეს და ბაქოს საერთაშორისო ტურნირზეც მოსინჯეს ძალები. ნაკრების მთავარი მწვრთნელის ბონდო მამულაშვილის ხელმძღვანელობით შვიდი ქართველი მოკრივე ხერსონს გაემგზავრა და დღეიდან იქაურ საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ **დავით ნანავა** (49 კგ), **ავთანდილ ჭუბაბრია** (52), **გიორგი გოგატიშვილი** (სამივე - ფოთი, 56), **ირაკლი ჭინჭარაული** (გარდაბანი, 64), 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი და 21-წლამდელებში კონტინენტის პირველობის ფინალისტი **ზაალ კვაჭატაძე** (თბილისი, 69), **გიორგი გიორგაძე** (თბილისი, 75) და **რომან თავაძე** (ქუთაისი, 75). საგულისხმოა, რომ რამდენიმე თვეა **ჯაბა ხოსიტაშვილი** (75) და **იაგო კიზირია** (81) ბაქოს კლუბში ვარჯიშობენ და AIBA-ს პროფესიონალ მოკრივეთა საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობენ. მარტის ბოლოს მათ კონტრაქტი უმთავრდებათ და მას შემდეგ ეროვნულ ნაკრებს შემოუერთდებიან, თუმცა იქ ადგილის დასაბევებლად კონკურენტებთან მოუწევთ დაპირისპირება - ყველაფერს სპარინგშეხვედრები გაარკვევს.

**ვაჟა დანელია**




● ძალოსნობა

# ხუთი ტირანაში, ერთი ლიმაში

ქართველი ძალოსნები ახალგაზრდა მწვრთნელის - **გია მაჭავარიანის** ხელმძღვანელობით ახალი სეზონისთვის ემზადებიან. ამჟამად ისინი გლდანში გადიან წვრთნას. 8-15 აპრილს ეროვნული გუნდი ტირანაში ევროპის ჩემპიონატზე გამოვა. უკვე ცნობილია ვინაობა იმ ხუთი სპორტსმენისა, რომლებიც ალბანეთის დედაქალაქში მედლებისთვის იბრძოლებენ. ესენი არიან: კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონი **რაულ ცირეკიძე** (ქუთაისი, 85 კგ), **ვაჟა ღონღაძე** (ქუთაისი, 94), 23-წლამდელებში ევროპის პრიზიორი **დავით გოგია** (ზუგდიდი, 105), **ალბერტ კუზილოვი** (თბილისი, 105) და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი **ირაკლი თურმანიძე** (მძიმე წონა).

შეგახსენებთ, რომ კორეაში 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კუზილოვმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მაგრამ სინჯებში აკრძალული ნივთიერება აღმოუჩინეს, რის გამოც ჯილდო ჩამოართვეს და 4 წლით დისკვალიფიკაცია მისცეს. ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გაითვალისწინა ახალგაზრდა სპორტსმენის მონანიება და დისკვალიფიკაცია ვადამდე გაუუქმა. კუზილოვს ამ ხნის განმავლობაში ვარჯიში არ შეუწყვეტია, ამიტომ ტირანაში მას მედლის ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნევენ.

3-11 მაისს პერუს დედაქალაქი ლიმა 20-წლამდელ ძალოსანთა მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაზე ჩვენებურთაგან მხოლოდ ერთი ათლეტი - **ლაშა ტალახაძე** იასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**

● ჭიდაობა. ტურნირის ექო



# ევროპით ნაფიქრალი

## ორგანიზება - კარგი, პრობლემები - ქართული

### სასტუმროსაც შერჩევა უნდა

მთლიანობაში, საქართველომ ღირსეულად უმასპინძლა ევროპის ჩემპიონატს ჭიდაობაში - ეს სტუმართა საერთო შეფასებაა. ნანახით კმაყოფილი დარჩა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) დროებითი პრეზიდენტი **ნენად ლალოვიჩი,** რომელიც ცოტა ადრე წავიდა, ხოლო ევროპული ფედერაციის პრეზიდენტმა **ცენო ცენოვმა** ტურნირის ბოლოს მასპინძლებს ოფიციალურად გადაუხადა მადლობა. ორგანიზებით კმაყოფილი იყო ყველა უცხოელი, ვისაც ამ თემაზე გავესაუბრეთ. უშუალოდ ტურნირის მიმდინარეობისას დარბაზში წესრიგი მართლაც იყო - ასპარეზობა პროტოკოლით განერილ დროს იწყებოდა, არ ყოფილა დაგვიანების არც ერთი შემთხვევა, რაც, თავის მხრივ, ქაოსს იწვევს და შეჯიბრებაც იწელება; სპორტსმენები დროულად მიჰყავდათ სასტუმროებიდან სპორტის სასახლეში თუ უკან, დროულად ხდებოდა აწონა, წილისყრა და ყველა პროცედურა, რაც ტურნირის ნორმალურად ორგანიზებისთვისაა საჭირო. ერთი ეგაა, რომ ზოგიერთ სასტუმროში სტუმრები მენიუს უჩიოდნენ, მაგრამ ეს უკვე უშუალოდ იმ სასტუმროთა პრობლემაა და არა ორგანიზატორების. აღსანიშნავია, რომ იმავე სასტუმროს უფრო ადრე, ანალოგიური პრობლემით, ძიუდოისტებიც ემდუროდნენ, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო, ამჯერად არ ვასახელებთ. ამ შემთხვევაში სპორტის სამინისტროსა თუ ნებისმიერ ფედერაციას მხოლოდ ის შეუძლია, რომ სამომავლოდ დიდი შეჯიბრების მასპინძლობისას აღარ დაიბევოს იქაურობა. იქნებ ასე მაინც ვაიძულოთ მომსახურების სფეროს ობიექტები (არა მარტო სასტუმროები, რესტორნებიც და სხვაც) სერვისი გააუმჯობესონ, თორემ ახალს არაფერს ვიტყვით, რომ ფასებით ევროპაში უძვირესი საქართველო, მომსახურების კულტურით კატასტროფულად ჩამორჩება თანამედროვე სტანდარტებს.

### მედია ისევ გერის როლში

საწყენია, რომ ასე კარგად ორგანიზებულ და ამ რანგის ტურნირში ჟურნალისტები დავიჩაგრეთ, რადგან ძალიან შეზღუდულ რეჟიმში გვიწევდა მუშაობა. გასაგებია, რომ დაცვას თავისი საქმე აქვს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ის არ უნდა ადგენდეს ჟურნალისტთა მუშაობის გრაფიკს, მით უფრო - თავისი საქმის გასაიოლებლად. მაგალითად, ბოლო დღეებში ჟურნალისტთა პირადი ნივთების უსაფრთხოების დასაცავად ჩაკეტეს პრესცენტრიდან დერეფანში გამავალი კარი, სადაც ჩვენი კოლეგები სიგარეტის მოსაწევად გადიოდნენ, ამ აკრძალვით კი მათ დამატებითი პრობლემები შეექმნათ. არადა, ეს არ მოხდებოდა, იმ კართან ვინმე პერსონალურად რომ დაეყენებინათ. მანამდე იმ დერეფნით უკანა გასასვლელთანაც გავდიოდით, სადაც არენიდან გასული სპორტსმენები გასახდელებში მიდიოდნენ, თუმცა ორ დღეში ესეც აგვიკრძალეს. იქაურობა ის ადგილია, მუდამ რომ ირევიან ადგილობრივი თუ ჩამოსული მწვრთნელები, მსაჯები, ჩინოსნები და სპორტსმენებიც კი - ზოგი სიგარეტის მოსაწევად, ზოგიც ნაცნობებთან სამასლაათოდ, ზოგი კი, უბრალოდ, მუხლის გასაშლელად. ჩვენთვის ასეთი ადგილი ინფორმაციის წყაროა, სადაც შეიძლება, შენთვის სასურველი რესპონდენტიც მოიხელთო. მაგალითად, სხვაგან სად უნდა მენახა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, დაღესტნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **საჯიდ საჯიდოვი**, რომელიც გულღია, უშუალო ადამიანი აღმოჩნდა, რომ იტყვიან - ნაღდი კავკასიელი. იქვე ჩავიწერე ინტერვიუ **ვლადიმერ მოდოსიანთან** და კიდევ ბევრთან ვაპირებდი, მაგრამ დაცვამ იქით გასასვლელი მესამე დღესვე ჩაკეტა. ცხადია, მიზეზს ბანალურ-დაზეპირებული ფრაზით ხსნიან - ნაბრძანებია, მაგრამ რატომაა ასე ნაბრძანები, ვერავინ გიხსნის, მე კი შემიძლია დამტკიცება, იქ გასვლა რისთვისაა ჩემთვის მნიშვნელოვანი. მესმის, რომ გასახდელები, დოპინგის ოთახები, სპორტსმენთა გამოსასვლელი დაცული უნდა იყოს და არაა რეკომენდებული იქ ჟურნალისტთა, ზოგადად, უცხო პირთა შესვლა, მაგრამ მხოლოდ გასასვლელის სიახლოვეს, ფოიეში, სადაც არენიდან გასულ სპორტსმენს არც ეხები, რა დანაშაულია? ბრაზილიაში ძიუდოს მსოფლიოს პირველობაზე პირდაპირ მოთელვის დარბაზში შევდიოდი (ამის დასამტკიცებლად გვარიანი ფოტომასალაც მომეპოვება), არც იტალიაში, ევროპის ბავშვთა ოლიმპიურ ფესტივალზე იყო ეს დიდი პრობლემა და რაღა ქართველები ვართ რომის პაპზე მეტად კათოლიკეები?! სპორტის სასახლეში ყოველდღიურად ამკაცრებდნენ ზომებს და ბოლო დღეს დაცვის ერთ წევრს ვეხუმრე კიდეც, ჩემპიონატი 1-2 დღე კიდევ რომ გრძელდებოდეს, პრესცენტრშიც არ შემოგვიშვებთ-მეთქი. ძალიან ცუდ დღეში იყვნენ ფოტორეპორტიორებიც, რომლებსაც ჯერ კუთხეში, ყოვლად მოუხერხებელ ადგილზე უპირებდნენ გამწესებას, მერე სკამებზე მიუჩინეს ადგილი, რაც არანაირ სტანდარტში არ ჯდება, თუმცა არც ეს შეარჩინეს და ის მწკრივებიც უცერემონიოდ, უკითხავად აითვისეს ძალოვნებმა. საქმეს სამთავრობო დაცვა კიდევ უფრო ართულებდა. გვესმის, რომ პრემიერ-მინისტრსა და პოლიტიკოსებს დაცვა სჭირდებათ და ასმაგი ყურადღებაა საჭირო, მაგრამ მუშაობის უფლება ჩვენც ხომ კონსტიტუციით გვეკუთვნის?

თან რა, მსგავსი შეჯიბრებები ჩვენთან ხშირად ტარდება, განებივრებულნი რომ ვიყოთ? ღარიბი ქვეყნის შვილები ვერც უცხოეთში ვახერხებთ წასვლას და ასეთი გამონათებები თუ გამოერევა, შეგვარგეთ და გვაცალეთ სიამოვნება. იმ ბრძანებების მიმღებთაგან, იმ დაცვის წევრთაგან უმეტესობისთვის ეს ტურნირი იქნებ მოსაწყენი სამსახური იყო

(თუმცა ზოგი ყოფილი მოჭიდავეც იყო) ჩვენთვის კი სპორტული ზეიმია.

## სპორტის ახალ სასახლეში გაითვალისწინებენ?

პირადად მე სიგარეტს არ ვეწევი და არც ეს პრობლემა მაწუხებდა, მაგრამ ერთხელ, ჯერ კიდევ ასპარეზობის დაწყებამდე მთელი 15 წუთით ადრე მიქს-ზონაშიც კი არ გამაჩერეს ისევ იმ გაზეპირებული „არ შეიძლება" ფრაზით. მათი მიზეზით ვერც ბელარუსი **ვლადისლავ ანდრეევის** პროტესტი ვნახეთ თავისუფალ ჭიდაობაში 55 კილოგრამის დაჯილდოებისას, როცა მედალოსნებთან სურათის გადაღება იუარა, კვარცხლბეკიდან ჩამოხტა და მწვრთნელთან ერთად ყვირილით გამოხატავდა უკმაყოფილებას. ამ დროს ჟურნალისტები ზემოაღნიშნულ და იმხანად ჯერ კიდევ ღია დერეფანში გაგვამწესეს, კვარცხლბეკის უკან - მედიასთან შესახვედრად იქ უნდა გამოეყვანათ ჩემპიონი **გიორგი ედიშერაშვილი**, კვარცხლბეკზე კი უზარმაზარი სარეკლამო ბანერი გვეფარებოდა. იმავე ეპიზოდში ტელეოპერატორები იმაზეც ჩიოდნენ, რომ დროშის აწევის ფაქტს ვერ იღებდნენ. ეს მხოლოდ მეცხრე არხის ოპერატორმა შეძლო, თუმცა საამისოდ გვარიანად ირბინა წინ და უკან... დოლია თუ სპრინტი, რატომ უნდა ვირბინოთ ასე? ეს ხომ ისტორიაა, რომელიც უფრო ფასეული წლების მერე გახდება. განა ბევრი შანსია, ასეთი დონის ფორუმზე საგანგებოდ აიწიოს შენი ქვეყნის დროშა და საგანგებოდ დაუკრან ჰიმნი? სწორედ ამიტომ სჭირდება მსგავსი კადრები ისტორიას.

თუმცა ეს პრობლემები სპორტის სასახლის არაეფექტურობითაა გამოწვეული და არა - ორგანიზებით. მაგალითად, იგივე ვიპ-ლოჟა, პრეს-ცენტრი და პრესლოჟა ერთადაა განლაგებული და პრესლოჟიდან პრესცენტრში მოსახვედრად ვიპლოჟის გვერდით უნდა გაიარო, სადაც პრემიერიც შეიძლება იჯდეს, პრეზიდენტიც, სპიკერიც და ასე შემდეგ... ამაზე ყურადღება FILA-ს წარმომადგენლებსაც გაუმახვილებიათ, სასურველია, ასე გვერდიგვერდ არ იყვნენ განლაგებულებიო. მათ პრესცენტრის ოთახიც დაუწუნებიათ, პატარააო, რადგან 100-ზე მეტი ჟურნალისტი იყო დარეგისტრირებული... თვით პრესლოჟა, კონკრეტულად კი ქართველებისთვის განკუთვნილი ადგილებიც არ იყო შესაფერისი - კუთხის სექტორში ვიყავით, რომელიც, მაგალითად, 2009 წელს ძიუდოს ევროპის ჩემპიონატისთვის სახელოვანმა ესტონელმა ევროპელმა კომისარმა, ორგზის ოლიმპიურმა პრიზიორმა **ინდრეკ პერტელსონმა** პრესისთვის დაიწუნა. იქიდან არენა მართლაც არ ჩანდა კარგად. განსაკუთრებით - მესამე ლეიბი. თან მაღლიდან იქნებ კიდევ არა უშავდა, მაგრამ ჩვენთვის განკუთვნილი ქვედა მწკრივებიდან საკამათო ეპიზოდებში შეუძლებელი იყო ლეიბზე ზონის მანიშნებელი ხაზების დანახვა ანუ გარეთ გაყვანის მომენტს კარგად ვერ გაარჩევდი. მით უფრო - შეხვედრები ფიცარნაგზე ტარდებოდა, თორემ იატაკზე რომ ყოფილიყო, ეს პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოიხსნებოდა. ამას ტაბლოებიც ემატებოდა, რაც ასევე ზღუდავდა მხედველობის არეს. ვფიქრობ, პრესის ადგილები ვიპ-ლოჟის მოპირდაპირე სექტორში რომ იყოს განლაგებული, ბევრად მოხერხებული იქნება.

იმედია, სპორტის ახალ სასახლეს რომ ააშენებენ (ამაზე უკვე ღიად საუბრობს სამინისტრო), იქ ამ ხარვეზებს, თანამედროვე სტანდარტებს სრულად გაითვალისწინებენ და მართლაც ნორმალური არენა გვექნება, თორემ ბოლო წლებში აგებულთაგან ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს სწორედ ელემენტარული ნორმების დაუცველობის გამო.

## რჩევა ფედერაციებს

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას ზემოთქმულში ნამდვილად არ ვადანაშაულებთ, რადგან ეს სხვისი პრობლემა იყო. პირიქით - მათ მადლობა კარგი ორგანიზებისთვის (ასევე მადლობა ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ **კახა გენაძეს**, რომელმაც მოიპოვა ამ ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება), მათი მისამართით კი მხოლოდ ის შენიშვნა გვექნება, რომ აჯობებდა, უცხოელი ჟურნალისტებისთვის ოდნავ მეტი ყურადღება მიექციათ. მაგალითად, სტუმრებს უთქვამთ კიდეც, პრესცენტრში ყავის აპარატის დადგმა რა პრობლემა იყოო. სამართლიანი შენიშვნაა, რადგან უცხოეთში ბევრგან ლანჩიც შედის სააკრედიტაციო პაკეტში, აქ კი ამაზე არც ყოფილა ლაპარაკი. ფედერაცია მინერალურ თუ ჩვეულებრივ წყალს კი არიგებდა, ხოლო დანარჩენი, ალბათ, გამოუცდელობის გამო ვერ გათვალა, თორემ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ იძუნწა. მით უფრო, ტურნირის ბოლოს ოფიციალურ ბანკეტზე ჟურნალისტთა მთელი კორპუსი მიიწვია. სხვა საკითხია, რომ მედიისადმი ასეთი დამოკიდებულებაც ქართული რეალობაა - მახსენდება იმავე ძიუდოს ევროპის ჩემპიონატი, როცა ფედერაციის ერთმა მაშინდელმა ხელმძღვანელმა განაცხადა, ახლა ჟურნალისტები გაგვაძღებინეთ (მოგვიტევეთ ამ სიტყვისთვის, ციტირებაა) კიდევო. იმ ფედერაციების საყურადღებოდ, რომლებიც მომავალშიც მოინდომებენ ნებისმიერი რანგის საერთაშორისო შეჯიბრების მასპინძლობას, გვინდა განვაცხადოთ, რომ აქ ლანჩ-პაკეტზე ან ჭიქა ყავაზე კი არა, არამედ ქვეყნის პრესტიჟზეა ლაპარაკი - მისი იმიჯი ხომ სწორედ ასეთ წვრილმანებში ვლინდება. სახლში რომ გვეწვევა სტუმარი, თან გადავყვებით, გარეთ კი მარტივი გვავიწყდება. განა რა წარმოდგენა დარჩებათ იმ უცხოელ ჟურნალისტებს საქართველოზე? სიმართლე გითხრათ, ცუდი მენიუ, ცუდი კვება უცხოეთშიც გვინახავს, მაგრამ როგორც ჩვენ გვითქვამს მათზე აუგი, ისე იტყვიან ჩვენზეც. ძალიან კარგია მსაჯების, ოფიციალური პირების, გუნდებისთვის გამართული ყოველდღიური ბანკეტები, მასაც თავისი დატვირთვა აქვს, მაგრამ საქართველოს ამბავი ევროპაში ჟურნალისტებს გააქვთ და არა საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელებსა თუ მსაჯებს. სწორედ ისინი დაწერენ და გააცნობენ იქაურ საზოგადოებას საქართველოს - ცხადია, იმ კუთხით, როგორითაც დაინახავენ, თორემ მსაჯმა ან ფედერაციის პრეზიდენტმა, დიდი დიდი, ცოლს მოუყვეს ნანახი...

***P.S.*** *არ მინდა, ვინმემ ზემოთქმული ჩასაფრებული კაცის პოზიციად ჩამითვალოს. ზემოთქმული არაა ჭიდაობის ფედერაციის კრიტიკა, ეს უფრო გამოცდილებიდან გამომდინარე რჩევაა ფედერაციებისადმი (არა მხოლოდ ჭიდაობის), როგორ ჩაატარონ საერთაშორისო შეჯიბრებები კიდევ უფრო ღირსეულად, თორემ სათანადო სტანდარტების დაცვის გარეშე მათ მასპინძლობას არავინ გვანდობს. არადა, უცხოური ტურნირების გამართვა ყველა ფედერაციის ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგია უნდა იყოს, რადგან ეს დიდად უწყობს ხელს სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებას, განსაზღვრავს შენს საერთაშორისო ავტორიტეტს. ბოლო-ბოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარ წვენში ხარშვა გამოგვივა, ამას კი სიკეთე არავისთვის მოუტანია. ამიტომ ვიძლევით ამ რჩევებს იმ სფეროში, რომელიც ვიცით. თანაც, ამ პრობლემებს ვხედავთ მთელი 20 წლის განმავლობაში, გამოსწორებას კი არა და არ დაადგა საშველი. რაღაც წინსვლა არის, მაგრამ მაინც ტაატით მივიწევთ ევროპისკენ, მეტი ტემპია საჭირო. თუმცა, მთავარი მოტივი, რის გამოც ამ თემას კიდევ ერთხელ შევეხეთ, შემდეგი ფაქტია: 1995 წელს ბათუმში თასების თასზე სათამაშოდ გლაზგოს „სელტიკი" ჩამოვიდა, შოტლანდიაში დაბრუნებულმა ერთმა ჟურნალისტმა კი დაწერა (კიდევ ერთხელ მოგვიტევეთ, მხოლოდ ციტირებას ვაკეთებთ), საქართველო ბეჰემოთის უკანალშიაო. ნამდვილად არ მინდა, მსგავსი რამე კიდევ დაიწეროს ევროპულ პრესაში და არც ის მსურს, ჩემი ქვეყანა მართლა ამ მდგომარეობაში იყოს. ამიტომ უნდა შევითვისოთ თანამედროვე მსოფლიოს სტანდარტები. თანაც, მედიის მხარდაჭერის გარეშე ვერც დემოკრატიულ ქვეყანას ავაშენებთ.*

**ირაკლი თავაძე**



დავით მარსაგიშვილისა (მარცხნივ) და მუსა მურთაზალიევის ფინალი

● სუმო

# გერმანიიდან უხვი ნადავლით

## თენგიზ რუხაძე პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს

17 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატში, რომელიც გერმანიის ქალაქ პონიცში გაიმართა. ამ შეჯიბრებაში საქართველოს 5-მა სპორტსმენმა სხვადასხვა სინჯის 11 ჯილდო დაიმსახურა.

**ავთანდილ ცერცვაძე** 12 წელიწადია, სუმოში ცდის ძალებს საერთაშორისო სარბიელზე. იგი ევროპის ჩემპიონი (2009 წ.) და მრავალგზის პრიზიორია. ამჯერად გერმანიაში მეორედ მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, სადაც ქართული ფინალი გაიმართა. ცერცვაძემ ზედიზედ დაამარცხა ნიკოლაი ნიკოლოვი (ბულგარეთი), ნეილ სკოტი (დიდი ბრიტანეთი), ჯონ ფოსი (ნორვეგია), სტილიან გეორგიევი (ბულგარეთი) და გადამწყვეტ პაექრობაში პატრიკ სვენსენის (ნორვეგია), ტოდორ ძუროვისა და ივან კაშაკოვის (ორივე - ბულგარეთი) მძლეველ თანაგუნდელს - **ლევან ბერიანიძეს** აჯობა. მათი დუელი ამით არ დამთავრებულა - მძიმე წონის (+115) ფინალშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ოღონდ იქ როლები შეიცვალა: ლევან ბერიანიძემ, რომელმაც თავისუფალი ჭიდაობიდან წელიც არ არის, რაც სუმოში გადმოინაცვლა და დებიუტი ჰქონდა ევროპის ჩემპიონატზე, იოლად მოუგო ფრედ კოპენს (გერმანია), ფარგი ანდერსენს (ნორვეგია), ჰალტონ ალსადის (ჰოლანდია) და შარშანდელ ევროპის ჩემპიონ ხრისტო ხრისტოვს (ბულგარეთი). ცერცვაძემ ფინალამდე ივან კაშაკოვი (ბულგარეთი), ფლორიან ევერტი (გერმანია) და დავიდ ნემეში (უნგრეთი) დაჯაბნა. ოქროსთვის ქართველთა დაპირისპირება ამჯერად ბერიანიძის გამარჯვებით დამთავრდა, მეორე ადგილი ცერცვაძეს ერგო. ჩემპიონატის ვერცხლის მედალი ქართველებმა გუნდურშიც აიღეს. საქართველოს სუმოს კავშირის პრეზიდენტმა თენგიზ რუხაძემ გვითხრა, რომ საქართველოს უფროსთა ნაკრებში მხოლოდ ორი წარმომადგენელი იყო, ამიტომ გუნდურისთვის ორი წევრი ახალგაზრდებიდან დაიმატეს - **გიგა გელაშვილი** და **ზაზა ხუბულური**. ჩვენებმა ბრიტანელებსა და ნორვეგიელებს კი აჯობეს, მაგრამ ფინალი ჰოლანდიელებთან დათმეს. სამაგიეროდ, გიგამ და ზაზამ ოქროს მედლები 18-წლიანებში მოიპოვეს. გელაშვილმა მძიმე წონაში (+100) დავიდ ბარველს (ინგლისი), შოით ლონგს (უნგრეთი), დანიელ ნენოვს (ბულგარეთი) აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხუბულურმა კი ფინალში გადასასვლელი სწორედ ნენოვთან წააგო და მე-3 ადგილს დასჯერდა, სამაგიეროდ, აბსოლუტურში იყო შეუდარებელი - გადამწყვეტ პაექრობაში თანაგუნდელ გიგა გელაშვილს სძლია. ამ წონაში ბრინჯაოს მედალი **შოთა სულთანიშვილს** ერგო. ახალგაზრდა ქართველმა სუმოისტებმა გუნდურში უნგრეთი (3:0), ნორვეგია (2:1), ჰოლანდია (3:0) დაამარცხეს და პირველი ადგილი დაიკავეს.



მარცხნიდან: შოთა სულთანიშვილი, ზაზა ხუბულური, თენგიზ რუხაძე, ავთანდილ ცერცვაძე, გიგა გელაშვილი, ლევან ბერიანიძე

საგულისხმოა, რომ სუმოისტთა კონტინენტის პირველობის დამთავრების შემდეგ სპორტის ამ სახეობის ევროპის ფედერაციის კონგრესი გაიმართა. პრეზიდენტის პოსტზე უნგრელი შტეფან კარალიკი ინგლისელმა პეტერ კეტელპუტმა შეცვალა. **თენგიზ რუხაძე** პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

ქართველი სუმოისტები ახლა ახალი შეჯიბრებისთვის ემზადებიან: 18-22 აპრილს ვარშავაში 21 და 23-წლამდელთა ევროპის პირველობები გაიმართება. იქვე გაირკვევა იმ სუმოისტთა ვინაობაც, რომლებიც ევროპის სახელით სანკტ-პეტერბურგში არაოლიმპიურ სახეობათა მსოფლიოს თამაშებში იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**

● შაში

# პირველი საქართველოდან

**ჯუმბერ ბერიშვილი** პირველი მოშაშეა საქართველოდან, რომელიც ამ ინტელექტუალურ თამაშში მსოფლიო პირველობის ფინალურ ტურნირში იასპარეზებს. ეს უფლება მან მოიპოვა ერთ-ერთ შესარჩევ ეტაპზე, რომელიც ამ დღეებში 11 ქვეყნის 22 წარმომადგენლის მონაწილეობით ბუქარესტში გაიმართა.

ფინალური ტურნირი ივნისში ქ. უფაში გაიმართება და იქ 40 რჩეული იასპარეზებს. ჯუმბერ ბერიშვილმა ზემოხსენებულ შესარჩევ შეჯიბრებაში 18 შესაძლებლიდან 12 ქულა მოაგროვა და პირველობა მოიპოვა. მას ქულით ჩამორჩა ყაზახეთელი იური ნოსოვი, მესამე ადგილზე კი ვაჟებსა და ქალებში დიდოსტატი ლატვიელი ზოია გოლუბევა გავიდა. ამ სამეულის გარდა ფინალურ ეტაპზე კიდევ ორი სპორტსმენი გამოვა - გერმანელი ვიტალი სტუმპფსი და ლატვიელი რაიმონდს ვიპულისი.

დავძენთ, რომ ჯუმბერ ბერიშვილი საერთაშორისო ოსტატი და საქართველოს რვაგზის ჩემპიონია, თავის დროზე იყო სსრ კავშირის 20 წლამდელთა ნაკრების კაპიტანი.



ჯუმბერ ბერიშვილი

სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატი შაშში 1897 წლიდან ტარდება.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

● ჩოგბურთი

# ორმა პირველი ბარიერი დასძლია

ანთალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ორი თბილისელი ჩოგბურთელი ჩაება. ძირითადი ბადის სტარტზე **ეკატერინე გორგოძემ** მეორე ნომრად განთესილი ბააკ ერადინთან სამ სეტში წააგო - 6:4, 3:6, 1:6.

ერთეულთა თანრიგში მე-5 ნომერია **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც კარენ ბარბატს (დანია) დაუპირისპირდება. გუშინ მან წყვილებში ყირგიზ ქსენია პალკინასთან ერთად იოლად აჯობა ალექსანდრა რილეის (აშშ) და ანა სმოლინას (რუსეთი) - 6:1, 6:1. მეორე წრეში ქართულ-ყირგიზული დუეტი ალბინა ხაბიბულინას (უზბეკეთი) და გაბრიელა პორუბინას (მოლდოვა) გაუწევს მეტოქეობას.

ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გუშინ დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იანი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თბილისელი **სოფიო შაფათავაც** მონაწილეობს. სტარტზე მან დაძაბულ პაექრობაში სძლია სლოვაკ მიხაელა ჰონკოვას - 1:6, 6:3, 7:6 და მე-2 წრეში კვალიფიკაციიდან აღზევებულ ალექსანდრა სასნოვიჩს (ბელარუსი) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა ტურნირის რეიტინგფავორიტი - უკრაინელი კატერინა კოზლოვა ჩამოიშორა გზიდან - 2:6, 6:1, 7:6.

წყვილებში შაფათავა უკრაინელ ანასტასია ვასილიევასთან ერთად მე-3 ნომრად განთესილ პოლონელებს - მაგდა ლინეტესა და კატარზინა პიტერს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

● თბილისის კალათბურთის ფედერაცია

# პრიორიტეტი ბავშვთა კალათბურთია

„დინამოს" დილმის ბაზაზე გუშინ საკალათბურთო საზოგადოება შეიკრიბა. შეხვედრის მიზანზე ყოფილმა კალათბურთელმა **გვანცა ომიაძემ** ილაპარაკა:

- *ერთი კვირის წინ* ***ვახტანგ ნაცვლიშვილმა, გიგი ნაცვლიშვილმა, ალეკო დავითულიანმა, ვასილ გოგუამ, მიხეილ კეკელიძემა*** *და* ***ირაკლი ხოშტარიამ*** *დააარსეს თბილისის კალათბურთის ფედერაცია. აქამდე ასეთი ორგანიზაცია არ არსებობდა და მისი შექმნა აუცილებელი იყო.*

გეგმებსა და მიზნებზე თბილისის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა მოგვახსენა:

- *ჩემი ცხოვრება კალათბურთთანაა გადაჯაჭვული და სწორედ ამან გადამაწყვეტინა ამ ფედერაციის დაარსება. დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ბოლო წლებში მაღალ შედეგებს მიაღწია. თუ მაშინ, როცა ნაკრებში ვთამაშობდი, ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვება იყო, 2011 წლის შემდეგ სხვა ვექტორი დაისახა: ევრობასკეტზე თუნდაც იმ შედეგის გამეორება, რაც ჩვენმა გუნდმა 2011 წელს უჩვენა - მეორე ეტაპზე თამაში. ნაკრების სახით გვაქვს კარგი მაგალითი, კარგი პლაცდარმი, რომელსაც შევსება სჭირდება. პირამიდა კი ფუძიდან შენდება და ამიტომ, თბილისის კალათბურთის ფედერაციამ პრიორიტეტად ბავშვთა კალათბურთი აირჩია.*

ვახტანგ ნაცვლიშვილმა იქვე დააკონკრეტა:

- *ჩვენი მიზანია გავაერთიანოთ ყველა სკოლა და ჩამოვაყალიბოთ ბავშვთა ლიგა, რომელში მონაწილეობისთვის გადასახადი არ დაწესდება და ყველა საორგანიზაციო საკითხისთვის საჭირო თანხებს თბილისის კალათბურთის ფედერაცია მოიძიებს. აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან ვიმსჯელე და მათთან აუცილებლად ვითანამშრომლებთ. ჩვენ 16-ზე უმცროსი ასაკის ბავშვების ჩემპიონატების ორგანიზებას ვაპირებთ, რადგან 16 და უფრო მაღალი ასაკის შეჯიბრებებს საქართველოს კალათბურთის ფედერაცია უწევს ორგანიზებას.*

შეხვედრას ესწრებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობების ფედერაციის წარმომადგენლებიც. ახალშექმნილი ორგანიზაცია მათთანაც აქტიურად ითანამშრომლებს. ვატო ნაცვლიშვილმა ისიც თქვა, რომ მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო მეტ პოპულარულობას იძენს კალათბურთი სამი-სამზე. ამ სახეობაში პირველი შეჯიბრების ჩატარება ზაფხულში იგეგმება.

- *კალათბურთი ყოველდღიურად ვითარდება და აუცილებელია მუდმივად რიტმში ყოფნა. მწვრთნელების უცხოეთში გასაგზავნად შესაძლოა თანხები ვერ გამოინახოს, მაგრამ ვაპირებთ უცხოეთიდან ისეთი სპეციალისტების ჩამოყვანას, რომლებსაც ბავშვთა კალათბურთის სფეროში დიდი გამოცდილება აქვთ,* - დასძინა ნაცვლიშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდა თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსი **მერაბ ჩიქობავა:**

- თბილისის ფედერაცია სპორტის არაერთ სახეობას აქვს. ისინი ქალაქის მერიას დიდ დახმარებას უწევენ, რადგან ვთქვათ, თბილისის კალათბურთის ფედერაცია უკეთ საზღვრავს, გამოყოფილი თანხის რა მიმართულებით დახარჯვა სჯობს, რა უფრო პრიორიტეტულია სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის. თავის მხრივ, თბილისის მერიამ ქალაქის მასშტაბით უამრავი ხელოვნურსაფრიანი მოედანი გააკეთა, რომელთა უმეტესობა კომპლექსურია, ფეხბურთის მოედნის გარდა კალათბურთის ფარებიც აქვს. ეს სპორტის მასობრიობას უწყობს ხელს.

ყრილობაზე თბილისის კალათბურთის ფედერაციის საპატიო წევრებად აირჩიეს **ლევან მოსეშვილი, ვაჟა გვანცელაძე, თამაზ ოქრუაშვილი** და **ჯამლეტ ხუხაშვილი.**

- *ფედერაციაში გაწევრება შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. უკვე გაწევრდა შვიდი საკალათბურთო სკოლა,* - დასძინა ვახტანგ ნაცვლიშვილმა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრები



# გამარჯვებები დონეცკში

უკრაინის ქალაქ დონეცკში მიმდინარეობს ალექსანდრ შევდჩენკოს მემორიალი, რომელშიც საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრები მონაწილეობს.

შეგახსენებთ, რომ ეს იმ ასაკის გუნდია, რომელმაც თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალზე საქართველოს ღირსება უნდა დაიცვას. კალათბურთის ფედერაციის ვებსაიტზე გამოქვეყნდა ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის** ინტერვიუ.

- ალექსანდრე შევდჩენკოს მემორიალური ტურნირი ტრადიციულია და მასში ძლიერი რუსული, უკრაინული და ბელარუსული გუნდები და ნაკრებები გამოდიან. პირველ მატჩში სწორედ ბელარუსის ნაკრებს შევხვდით და 81:62 დავამარცხეთ. მეორე შეხვედრაში რუსულ გუნდ „ზვინიგოროდს" 67:51 ვაჯობეთ.

**- რამდენად კმაყოფილი ხართ ჩვენი მოთამაშეებით?**

- შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ სამუშაო ბევრია. როგორც გუნდს, ბევრი რამ გვაქვს დასახვენი. ცალკეული მოთამაშეების კმაყოფილი ვარ, ზოგმა კი იმედები ვერ გაამართლა. კარგად წარმოაჩინეს თავი აკადემიელმა ალექსანდრე მამუკელაშვილმა, „კარდინალების" წევრმა ნიკა ყირიმელმა და „ჰიუნდაის" გამთამაშებელმა ალექსანდრე კაკუბერმა. მეტს ველოდი გოგა ბითაძის, ზაურ ჯანელიძისა და ბერდია ქავთარაძისგან, მაგრამ ისინი ჯერ ვერ გამოირჩევიან. იმედი მაქვს, დროდადრო, სათამაშო პრაქტიკის მიღების შემდეგ გუნდის ყველა წევრი თავის მაქსიმუმს გამოავლენს. ჩვენი გუნდი ამ ტურნირში დიდ გამოცდილებას მიიღებს და საქართველოში დაბრუნებულები გაცილებით შედეგიანად ვითამაშებთ 16-წლამდელთა ჩემპიონატში. ჩვენი მიზანი რაც შეიძლება მეტი პერსპექტიული ბავშვის მოძიება, მათი გამოცდა და საჭიროების შემთხვევაში ნაკრებში აყვანაა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● სტუმარი

# სტოქსის ვიზიტის მეორე დღე

გუშინ მოგახსენეთ, რომ ფიბა-ევროპის სამსაჯო და საშეჯიბრებო დეპარტამენტების დირექტორი **რიჩარდ სტოქსი** თბილისს სამდღიანი ვიზიტით ეწვია. პირველ დღეს მან სემინარი ჩაუტარა მსაჯებს, კომისრებსა და მდივნებს. მეორე დღეს მწვრთნელებს შეხვდა, ასევე ესტუმრა საქართველოს სპორტის სამინისტროს, სადაც მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძესთან** ისაუბრა.

რიჩარდ სტოქსი:

- საქართველოში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრების რიცხვი იზრდება, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია შიდა ჩემპიონატებში მსაჯთა და მწვრთნელთა დონის ამაღლება. სემინარები შედეგიანად მიმდინარეობს, თბილისში მუშაობას 27 მარტს დავასრულებ და მჯერა, რომ ქართველი მსაჯები, კომისრები, მსაჯ-მდივნები და მწვრთნელები სემინარებიდან მათი პროფესიული ზრდისთვის აუცილებელ ცოდნას მიიღებენ.

**ბესიკ ლიპარტელიანი,** კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

- რიჩარდ სტოქსი 27 მარტს სუპერლიგის თამაშებს დაესწრება, ჩვენი მსაჯ-კომისრების საქმიანობის ანალიზს



გააკეთებს. მოგვიანებით, როცა თბილისში ნანახსა და მიღებულ ინფორმაციას გააანალიზებს, გამოგვიგზავნის თავის დასკვნას და იმ მინუსებზე მიგვითითებს, რომელიც საქმიანობაში გვექნება, ჩვენ კი მათ გამოსწორებაზე ვიმუშავებთ.

თამაზ თევზაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე:

- ძალიან კარგია, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციას განვითარების პროგრამაში მსაჯთა და მატჩების მომსახურე პერსონალის მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაც აქვს შეტანილი. მსაჯების დონის გაუმჯობესება ზოგადად სპორტული თამაშების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მივესალმებით ყველა იმ ინიციატივას, რაც ქართული კალათბურთისა და სპორტის განვითარებას შეუწყობს ხელს.

www.gbf.ge

● რეიტინგი



# დავქვეითდით

ევროპის ჩემპიონატის ოფიციალურ საიტზე გარკვეული პერიოდულობით ქვეყნდება ევრობასკეტის მონაწილეთა რეიტინგი. საწყის ოთხ შემთხვევაში საქართველოს ნაკრები მეთოთხმეტე ადგილზე ფეხმოუცვლელად იყო, გუშინ კი სიტუაცია შეიცვალა.

რეიტინგის შემდგენლებმა ორი საფეხურით დაგვაქვეითეს - გაგვასწრეს ბოსნიამ და ფინეთმა. აი, რა წერია მეთექვსმეტეადგილოსანი საქართველოს გასწვრივ: *„NBA-ის ქართველი ვარსკვლავი* ***ზაზა ფაჩულია*** *ამერიკაში უქმობს. მას აქილევსის მყესის ტრავმა აქვს და მისი მოედანზე დაბრუნების თარიღი ჯერ უცნობია. ფაჩულიას არყოფნა ქართველებისთვის დიდი დანაკლისია."*

ისე არ გაიგოთ, თითქოს ზაზა სექტემბრამდე ვერ ითამაშებს, უბრალოდ ევრობასკეტის ოფიციალურ საიტზე გუნდებს იმ მოვლენებისა და შედეგების მიხედვით ახარისხებენ, რაც რეიტინგის შედგენის დროსაა დაფიქსირებული.

ჩვენი თანაჯგუფელი ესპანეთი ისევ პირველია, სლოვენია - მესამე, ხორვატია - მეთერთმეტე, პოლონეთი ოცდამეორე, ხოლო ჩეხეთი - ბოლო, ოცდამეოთხე.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ქალთა ლიგა

# რუსთავი უდანაკარგოა

საქართველოს ქალთა ჩემპიონატში ოთხი გუნდი მონაწილეობს. შეჯიბრება ტურობრივი სისტემით მიმდინარეობს. პირველი ეტაპი ქუთაისში გაიმართა და ცხრილს სათავეში რუსთავი ჩაუდგა. მეორე ტურის სათამაშოდ გუნდები რუსთავში შეიკრიბნენ და, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთპიროვნული ლიდერობა ქვემოქართლელებმა კვლავ შეინარჩუნეს.

„რუსთავს" **ხათუნა საჯაია** წინამძღოლობს, რომელმაც შინ გამართულ სამივე შეხვედრაში ერთმანეთზე ეფექტური ორმაგი დუბლები მიითვალა.



**I დღე**

**ქუთაისი–ახმეტა 93:55**

**ქუთაისი:** ჟორჟოლიანი - 42ქ, 31მ, 5დ; მანაგაძე - 15ქ; გაბიძაშვილი - 14ქ, 9მ, 8პ.
**ახმეტა:** მამუკელაშვილი - 24ქ, 15მ.

**რუსთავი–ზესტაფონი 64:37**

**რუსთავი:** საჯაია - 29ქ, 20მ; მაისურაძე - 16ქ, 11მ; ფუტკარაძე - 9ქ, 10მ, 6ჩ.
**ზესტაფონი:** მანჩხაშვილი - 18ქ; ჭიჭინაძე - 13ქ, 15მ.

**II დღე**

**ზესტაფონი–ქუთაისი 44:64**

**ზესტაფონი:** მანჩხაშვილი - 18ქ; მოდებაძე - 8ქ, 14მ, 7დ.
**ქუთაისი:** ჟორჟოლიანი - 31ქ, 23მ; მანაგაძე - 17ქ, 9ჩ; გაბიძაშვილი - 8ქ, 12მ.

**ახმეტა–რუსთავი 45:79**

**ახმეტა:** მ. ხოხობაშვილი - 12ქ, 13მ; თ. ხოხობაშვილი - 10ქ.
**რუსთავი:** ფუტკარაძე - 16ქ, 14მ; საჯაია - 15ქ, 17მ; ურუშაძე - 13ქ; წინამძღვრიშვილი - 11ქ; ციკორიძე - 10ქ.

**III დღე**

**ახმეტა–ზესტაფონი 54:45**

**ახმეტა:** მამუკელაშვილი - 12ქ, 10მ; მ. ხოხობაშვილი - 11ქ, 18მ; თ. ხოხობაშვილი - 11ქ, 14მ; მარუკაშვილი - 10ქ.
**ზესტაფონი:** მანჩხაშვილი - 27ქ, 10მ; ჭიჭინაძე - 10ქ, 26მ.

**რუსთავი–ქუთაისი 70:60**

**რუსთავი:** საჯაია - 27ქ, 14მ; მაისურაძე - 14ქ, 12მ; ფუტკარაძე - 13ქ, 14მ; ციკორიძე - 10ქ, 9მ.
**ქუთაისი:** ჟორჟოლიანი - 25ქ, 15მ; გაბიძაშვილი - 13ქ, 12მ; მანაგაძე - 12ქ.

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 6 | 6 | 0 | 12 |
| 2. ქუთაისი | 6 | 4 | 2 | 10 |
| 3. ახმეტა | 6 | 1 | 5 | 7 |
| 4. ზესტაფონი | 6 | 1 | 5 | 7 |

**ვაჟა სიმონიშვილი**



ლეგიონერები

# ოთხი პლეი ოფშია, სამი ბრძოლას განაგრძობს

**საფრანგეთის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშების ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მორაგბეთა ოთხმა გუნდმა პლე ოფში გააღწია. ესენია: „მაკონი", „პერიგო", „სენ ნაზერი" და „რომანი". სამი კი, „ობენა", „სენტ ეტიენი" და „შალონი" მეორე ეტაპზე მოხვედრის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს. სამწუხაროდ, ფედერალ 1 დივიზიონის დატოვება მოუწევს ოთხ „ქართულ გუნდს". ესენია: „სტრასბური", „შატორენარი", „მარმანდი" და „სენ ჟუნიენი".**


მარცხნივ მერაბ კვირიკაშვილი, მარჯვენივ ლაშა მალალურაძე

A ჯგუფში წარმატებას **შოთა მელიქიძისა** და **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონმა" მიაღწია, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ ბოლოსწინა ტურში შინ დამარცხდა გათამაშების ლიდერ „ლილთან" 20:39, 48 ქულით მესამე ადგილზეა და კონკურენტთაგან მიუწვდომელია,

პლეი ოფში გასვლისთვის ამ ჯგუფში ქართველ მორაგბეთა კიდევ ორი გუნდი იბრძვის, თუმცა ადგილი მხოლოდ ერთია. **გიორგი გაბელიასა** და **რევაზ ჟღენტის** „სენტ ეტიენმა" სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში შეძლო უშუალო კონკურენტის, „ბობონის" დამარცხება 23:22 და ახლა 40 ქულით მეოთხე, პლეი ოფში გამსვლელ ადგილზეა.

სენტეტიენელებს ორი ქულით ჩამორჩება და მე-5 ადგილზეა **გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონი", რომელმაც შინ მოუგო **ელიზბარ ყუფარაძისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონს" - 31:18. ამ მარცხით მონლუსონელებმა პლეი ოფში მოხვედრის შანსი დაკარგეს.

A ჯგუფში 2 ქულით ბოლო აგილზე გავიდა და მომავალი სეზონიდან ფედერალ 2 დივიზიონში ითამაშებს გიორგი სულუაშვილის „სტრასბური", რომელმაც ბოლოსწინა ტურში საკუთარ მოედანზე წააგო „დიჟონთან" - 17:40.

**A ჯგუფი**

**ვიენი-ბურგ ან ბრესი 9:17, სტრასბური-დიჟონი 17:40, ბობინი-სენტ ეტიენი 22:23, შალონი-მონლუსონი 31:18, მაკონი-ლილი 20:39**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლილი - 69 ქულა, 2. ბურგ ან ბრესი - 67, 3. მაკონი - 48, 4. სენტ ეტიენი - 40, 5. შალონი - 38, 6. ბობინი - 36, 7. მონლუსონი - 34, 8. ვიენი - 32, 9. დიჟონი - 31, 10. სტრასბური - 2.**

**XVIII ტური**

**ბურგ ან ბრესი-ბობინი, დიჟონი-ვიენი, მონლუსონი-სტრასბური, ლილი-შალონი, სენტ ეტიენი-მაკონი.**

B ჯგუფიდან პლეი ოფში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ირაკლი ნინიძის „რომანმა" გააღწია, რომელიც 47 ქულით ამჟამად მესამე ადგილზეა. რომანელებმა ბოლოსწინა ტურში შინ წააგეს მინიმალური სხვაობით **თენგიზ გელანტიასა** და **ბექა ურჯუკაშვილის** „ობენასთან" - 19:18, რითაც ამ „ქართულ გუნდს" პლეი ოფში მოხვედრის შანსი მიეცა. ობენელები 39 ქულით მე-5 ადგილზე არიან და კონკურენტ „ლა სეინს" ორი ქულით ჩამორჩებიან.

ბოლო ტურში „ობენა" შინ **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარს" დაუპირისპირდება, რომელიც 16 ქულით ბოლო ადგილზეა და დივიზიონის დატოვება მოუწევს. ჩვენებურთა ამ გუნდმა ბოლოსწინა ტურში შინ წააგო „ბლანიაკთან" - 16:19.

კიდევ ერთი „ქართული გუნდი" **დავით კაჭარავას** „როდეზი" სტუმრად დამარცხდა მეორეადგილოსან „ვალანსთან" - 12:40. როდეზელები 33 ქულით მე-8 ადგილზე არიან.

**B ჯგუფი**

**შატორენარი-ბლანიაკი 16:19, რომანი-ობენა 18:19, ვალანსი-როდეზი 40:12, ბურგუენი-ლავორი 43:12, ლა სეინი-აგდი 29:3.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბურგუენი - 74 ქულა, 2. ვალანსი - 50, 3. რომანი - 47, 4. ლა სეინი - 41, 5. ობენა - 39, 6. ბლანიაკი - 35, 7. ლავორი - 35, 8. როდეზი - 33, 9. აგდი - 28, 10. შატორენარი - 26.**

**XVIII ტური**

**ბლანიაკი-ვალანსი, ობენა-შატორენარი, აგდი-რომანი, როდეზი-ბურგუენი, ლავორი-ლა სეინი.**

C ჯგუფიდან მეორე დივიზიონში გადასვლისთვის ბრძოლას ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი, „სენ ნაზერი" და „პერიგო" განაგრძობს. **ბაჩუკი გუჯარაიძისა** და **შოთა ცხოვრებაშვილის** „სენ ნაზერმა" ბოლოსწინა ტურში სტუმრად მოუგო „ვანს" - 22:18 და ახლა 61 ქულით მე-2 ადგილზე არიან.

„სენ ნაზერს" სამი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა **თედო ზიბზიბაძის** „პერიგო", რომელმაც შინ დაამარცხა „სენ ჟან დე ლუზი" - 21:16. პერიგოელები მეოთხე ადგილზე მყოფ „სენ ჟან დე ლუზს" 17 ქულით უსწრებენ.

სამწუხაროდ, ბოლო ადგილზე გავიდა და დივიზიონის დატოვება მოუწევს **ნიკოლოზ მალალდაძისა** და **ირაკლი ჩომახაშვილის** „მარმანდს", რომელმაც ბოლოსწინა ტურში შინ წააგო გათამაშების ლიდერ „ტიროსთან" - 10:25.

**C ჯგუფი**

**პერიგო-სენ ჟან დე ლუზი 21:16, ნუარი-ლანჟონი 23:15, ვანი-სენ ნაზერი 18:22, მარმანდი-ტიროსი 10:25, აგეტმო-სენ ჟან დანჟელი 18:21.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტიროსი - 67 ქულა, 2. სენ ნაზერი - 61, 3. პერიგო - 58, 4. სენ ჟან დე ლუზი - 41, 5. ვიენი - 39, 6. ლანჟონი - 38, 7. აგეტმო - 28, 8. სენ ჟან დანჟელი - 27, 9. ნუარი - 26, 10. მარმანდი - 20.**

**XVIII ტური**

**ლანჟონი-პერიგო, სენ ნაზერი-ნუარი, სენ ჟან დანჟელი-ვანი, სენ ჟან დე ლუზი-მარმანდი, ტიროსი-აგეტმო.**

D ჯგუფში ბოლო ადგილზეა და მომავალი სეზონიდან ფედერალ 2 დივიზიონში ითამაშებს **მერაბ კვირიკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „სენ ჟუნიენი". ჩვენებურთა ამ გუნდმა ბოლოსწინა ტურში **სიმონ მაისურაძისა** და **ლაშა მალალურაძის** „ბაგნერეს" უმასპინძლა და 13:19 წააგო. აღსანიშნავია, რომ ბაგნერელებიც სწორედ დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან.

ამ შეხვედრაში კვირიკაშვილმა გუნდს რვა ქულა მოუტანა (ორი საჯარიმო და ერთი გარდასახვა), მალალურაძეს ანგარიშზე კი 14 ქულაა (ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა).

**D ჯგუფი**

**ლურდი-სენ მედარი 22:22, ლანამეზანი-მონტობანი 23:53, ოლორონი-ლიმოჟი 24:8, ნევერი-კასტანე 29:28, სენ ჟუნიენი-ბაგნერე 13:19.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მონტობანი - 69 ქულა, 2. ნევერი - 60, 3. ოლორონი - 44, 4. კასტანე - 42, 5. ლიმოჟი - 39, 6. ლურდი - 39, 7. ლანამეზანი - 34, 8. ბაგნერე - 31, 9. სენ მედარი - 26, 10. სენ ჟუნიენი - 23.**

**XVIII ტური**

**მონტობანი-ოლორონი, კასტანე-ლანამეზანი, ლიმოჟი-ლურდი, ბაგნერე-ნევერი, სენ მედარი-სენ ჟუნიენი.**


მოლში სიმონ მაისურაძე

ევროპის ჩემპიონატი, U-18



# იტალია კიდევ ერთხელ დავამარცხეთ

**საქართველო-იტალია 17:12**

**საქართველო: 15. ირაკლი სვანიძე, 14. იოსებ კიკვაძე, 13. სანდრო ილურიძე, 12. თემურ ირემაძე, 11. დავით გულითაშვილი, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. ვასილ ლობჟანიძე. 1. ბექა კაკაბაძე, 2. ბადრი ალხაზიშვილი, 3. ზაურ ხარებავა, 4. თორნიკე ზოიძე, 5. როლანდ კვაჭაძე, 6. თორნიკე ბუბუტეიშვილი, 7. ბადრი დანგაძე, 8. დავით პაპავაძე.**

**16. დავით ფხაკაძე, 17. გიორგი თორაძე, 18. გუგა ხანთიძე, 19. ბექა გიორგაძე, 20. თეიმურაზ თუთბერიძე, 21. ბადრი ლიპარტელიანი, 22. დევი დევსურაშვილი, 23. დავით ლობჟანიძე, 24. ჟორა მღებრიშვილი, 25. გიორგი ხვისტანი, 26. ლევან გიკაშვილი.**

**2ლ: ხარებავა, ალხაზიშვილი. 2გ,ს: ჯინჭველაშვილი.**

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა საფრანგეთის ალპებში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრები დაამარცხა 17:12 და მეხუთე ადგილისთვის ბრძოლას განაგრძობს. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ისეთი ალმაფრენით, როგორითაც ირლანდიის ნაკრებთან, ამჯერად ვერ ითამაშეს, თუმცა უმცროსი „სკუადრა აძურას" დასამარცხებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

საქართველოს ნაკრებმა იტალიელებს შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზეც, სწორედ ამ ეტაპზე მოუგო. მაშინ ჩვენს გუნდს მეხუთე ადგილი შოტლანდიის ნაკრებმა არ დაანება. ახლა კი, მეტოქედ ჩვენს ბიჭებს უელსელი თანატოლები ეყოლებათ, რომელიც ჩემპიონობისთვის ბრძოლას იმავე შოტლანდიამ გამოთიშა. უელსელებმა თავის მხრივ პორტუგალიას მოუგეს 45:0.

სავარაუდოდ, საქართველოს ნაკრებზე, მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა იქონია გავლენა და თამაშის განმავლობაში ხშირად უშვებდა შეცდომას. მიუხედავად ამისა, ერთადაერთი, რაშიც მეტოქემ გვაჯობა ერთი-ერთზე თამაშია, რაც ასევე თვალში საცემი იყო ირლანდიასთან მატჩშიც.

პირველი ტაიმი მთლიანად ქართველი მორაგბეების კარნახით წარიმართა. ანგარიშის გახსნა ჩვენს გუნდს დასაწყისშივე შეეძლო, თუმცა მგეზავმა **რევაზ ჯინჭველაშვილმა** ცენტრის ხაზიდან საჯარიმო ვერ გაიტანა. ექვსიოდე წუთში მანვე გაცილებით ხელსაყრელი პოზიციიდან კიდევ ერთხელ ააცილა კარს.

„უმცროსი ბორჯღალოსნები" მეტოქეზე ზეწოლას ნელ-ნელა აძლიერებდნენ და მე-17 წუთზე ჯინჭველაშვილმა საჯარიმოთი მაინც გახსნა ანგარიში - 3:0. იტალიელები პირველ ტაიმში ჩვენი მოედნის ნახევარზე ერთხელ 22-ე წუთზე გადმოვიდნენ და შედეგიანადაც. მეტოქემ შერკინებიდან ბურთი გამოიტანა და მარცხნივ გრძელ ფრთაზე ბოლომდე ჩაათამაშა. იტალიელთა გარემარბი ჩვენს მორაგბეებს ხელიდან დაუსხლტა და ლელოში შეაღწია. მგეზავმა ფილიპო კანტონიმ გარდასახვა ვერ გამოიყენა - 5:3.

პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ჩვენმა მორაგბეებმა ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოლის აგორება სცადეს, მაგრამ ბურთი წინ გაუვარდათ. მეტოქის შერკინება დაინიშნა, რომელშიც ბურთი ჩვენს გუნდს დარჩა. ამას მორკინალების მოკლე დარტყმები მოჰყვა, თითქმის ორწუთიანი იერიში შერკინების ბურჯის **ზაურ ხარებავას** ლელოთი დასრულდა, ჯინჭველაშვილმა გარდასახა - 10:5. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ თამაშის სურათი რადიკალურად შეიცვალა. დასაწყისშივე დაშვებული ორი შეცდომის გამო თითქმის მთელი 15 წუთი საკუთარ 22-მეტრიან ზონაში გავატარეთ, თუმცა მეტოქეს ლელოში შესვლა არაფრით დავანებეთ. პირიქით, მე-20 წუთზე იტალიელებს მეორე ლელოც გავუტანეთ.

ჯინჭველაშვილმა საჯარიმოდან ბურთი აუტში გადაიტანა. ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოლი ავაგორეთ, ლელოს ხაზთან მისვლა შევძელით, თუმცა იქ თამაში რაკში გადავიდა. მორკინალებმა რამდენჯერმე სცადეს მოკლე დარტყმით ხაზს იქით შეღწევა. მეტოქე თავგანწირვით იცავდა თავს, თუმცა **ბადრი ალხაზიშვილის** მიძალებას ვეღარაფერი დაუპირისპირა. ჯინჭველაშვილმა ესეც გარდასახა - 17:5.

თამაშის დასრულებამდე 15 წუთი იყო დარჩენილი და ეს ჯერ სულაც არ ნიშნავდა გამარჯვებას. იტალიელებმა ბოლომდე იბრძოლეს, 27-ე წუთზე ლელოც გაგვიტანეს და ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირეს - 12:17. თამაშის გადარჩენის შანსმა, ცხადია, მათ ფრთები შეასხა, თუმცა საქართველოს ნაკრები მაქსიმალურად ყურადღებით თავდადებით გაისარჯა და გამარჯვების მომტანი ანგარიში შეინარჩუნა.

**ევროპის ჩემპიონატი**

**V ადგილისთვის. ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| უელსი-პორტუგალია | 45:0 |

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-ირლანდია | 23:18 |
| ინგლისი-შოტლანდია | 25:12 |

**VII ადგილისთვის**

იტალია-პორტუგალია

**V ადგილისთვის**

საქართველო-უელსი

**III ადგილისთვის**

ირლანდია-შოტლანდია

**ფინალი**

საფრანგეთი-ინგლისი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის მოთამაშეები

„მაიამი ჰიტის“ ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „ჰიუსტონ როკეტსის“ მცველი **ჯეიმს ჰარდენი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეიმსი თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა, რითაც „ჰიტმა“ თავისი მოგებათა სერია 26 მატჩამდე აიყვანა. ლებრონი საშუალოდ მატჩში 30.8 ქულას, 10.0 შედეგიან პასს, 8.8 მოხსნას, 2.5 ჩაჭრასა და 2.0 დაფარებას აგროვებდა. თან ჯეიმსი თამაშიდან 59 პროცენტის სიზუსტით ისროდა. მან "კლივლენდის" წინააღმდეგ სეზონში მეოთხე სამმაგი დუბლი შეასრულა – 25 ქულა, 12 მოხსნა და 10 პასი. ჯეიმსი წელს მეექვსედ გახდა კვირის მოთამაშე.

ჰარდენის კარგი თამაშის წყალობით, "ჰიუსტონმა" გასულ კვირას სამიდან სამი მატჩი მოიგო. მისი საშუალო სტატისტიკა 26.0 ქულა, 3.7 შედეგიანი პასი და 4.0 მოხსნა იყო. გასულ კვირას, კობიმ ზედიზედ ორ მატჩში დააგროვა მინიმუმ 40 ქულა და 10 პასი.

ჰიუსტონელი სეზონში მესამედ დაასახელეს კვირის მოთამაშედ.

**ჯეიმსის კვირა**

**18 მარტი. ბოსტონი-მაიამი 103:105.** 37 ქულა, 7 მოხსნა, 12 პასი.

**20 მარტი. კლივლენდი-მაიამი 95:98.** 25 ქულა, 12 მოხსნა, 10 პასი.

**24 მარტი. მაიამი-შარლოტი 109:77.** 32 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა.

**ჰარდენის კვირა**

**20 მარტი. ჰიუსტონი-იუტა 100:93.** 29 ქულა (თამაშიდან 18-დან 17).

**22 მარტი. ჰიუსტონი-კლივლენდი 116:78.** 20 ქულა, 2 პასი, 2 ჩაჭრა.

**24 მარტი. ჰიუსტონი-სან ანტონიო 96:95.** 29 ქულა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ელ ჰორფორდი** („ატლანტა"), **კოსტა კუფოსი** ("დენვერი"), **დუეინ უეიდი** („მაიამი"), **რიკი რუბიო** ("მინესოტა"), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა"), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა"), **ტიმ დანკანი** ("სან ანტონიო").

**ვაშინგტონი-მემფისი 107:94**

26:24, 29:31, 21:19, 31:20

ვ: უოლი (47+7 მოხსნა+8 პასი), ოკაფორი (21+9 მოხსნა), სინგლტონი (10+7 მოხსნა).

მ: კონლი (23+7 პასი+3 ჩაჭრა), ბეილესი (14+6 მოხსნა+7 პასი), პონდექსტერი (14+5 მოხსნა), რენდოლფი (10+7 მოხსნა).

**ორლანდო-მაიამი 94:108**

28:28, 18:27, 22:23, 26:30

ო: ნელსონი (27+5 მოხსნა+12 პასი), ჰარისი (20+5 მოხსნა), მური (13+9 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ო'ქუინი (12+6 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (24+9 მოხსნა+11 პასი), ჩელმერსი (17+5 პასი+3 ჩაჭრა), ბოში (12+9 მოხსნა), ალენი (12) ლუისი (11), ჰასლემი (6+10 მოხსნა).

**ინდიანა-ატლანტა 100:94**

26:26, 32:17, 27:20, 15:31

ი: გრინი (19+6 მოხსნა), ჰიბერტი (17+13 მოხსნა+3 დაფარება), ო. ჯონსონი (15+5 მოხსნა), პენდეგრაფი (14), ჯორჯი (13+6 მოხსნა), ჰენსბრო (12+11 მოხსნა).

ა: სმიტი (20+4 ჩაჭრა), ჰორფორდი (13+8 მოხსნა), ტიგი (10), მეკი (10).

**ნიუ ორლეანი-დენვერი 110:86**

27:18, 32:20, 27:30, 24:18

ნ-ო: ანდერსონი (23+9 მოხსნა), მილერი (16), დევისი (14+6 მოხსნა), მეისონი (14), რობერტსი (13+5 მოხსნა+18 პასი), ამინუ (13+8 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ლოპესი (11+7 მოხსნა+3 დაფარება).

დ: გალინარი (24), ფარიდი (13+7 მოხსნა), ჩენდლერი (11).


ლებრონ ჯეიმსი

**იუტა-ფილადელფია 107:91**

27:23, 31:19, 27:26, 22:23

ი: ფოიე (17), ჰეივორდი (15), ფეივორსი (13+10 მოხსნა+3 დაფარება), ჯეფერსონი (12+9 მოხსნა), კანტერი (12+6 მოხსნა), ბერქსი (12), მილსეპი (11+3 ჩაჭრა).

ფ: რაიტი (19+3 ჩაჭრა), ჰოიესი (14+8 მოხსნა+3 დაფარება), მოლტრი (14+8 მოხსნა), უილკინსი (13).

**გ. სტეიტი-ლეიკერსი 109:103**

28:16, 35:24, 31:36, 15:27

გ-ს: კარი (25+7 მოხსნა+10 პასი), ლი (23+12 მოხსნა), ტომპსონ (22), ჯეკი (19), ბარნსი (10+5 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (36+8 მოხსნა), ნეში (21+9 მოხსნა+7 პასი), მიქსი (13+5 მოხსნა), ჰოვარდი (11+15 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. y-მაიამი* | 70 | 56 | 14 | 80.0 |
| 2. x-ინდიანა* | 71 | 44 | 27 | 62.0 |
| 3. x-ნიუ იორკი* | 68 | 42 | 26 | 61.8 |
| 4. x-ბრუკლინი | 70 | 41 | 29 | 58.6 |
| 4. ჩიკაგო | 69 | 38 | 31 | 55.1 |
| 6. ატლანტა | 71 | 39 | 32 | 54.9 |
| 7. ბოსტონი | 69 | 36 | 33 | 52.2 |
| 8. მილუოკი | 69 | 34 | 35 | 49.3 |
| 9. ფილადელფია | 70 | 27 | 43 | 38.6 |
| 10. ტორონტო | 70 | 26 | 44 | 37.1 |
| 11. ვაშინგტონი | 70 | 26 | 44 | 37.1 |
| 12. დეტროიტი | 71 | 24 | 47 | 33.8 |
| 13. კლივლენდი | 69 | 22 | 47 | 31.9 |
| 14. ორლანდო | 71 | 18 | 53 | 25.4 |
| 15. შარლოტი | 70 | 16 | 54 | 22.9 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-სან ანტონიო* | 70 | 53 | 17 | 75.7 |
| 2. x-ოკლაჰომა* | 71 | 52 | 19 | 73.2 |
| 3. x-კლიპერსი* | 70 | 48 | 22 | 68.6 |
| 4. x-დენვერი | 72 | 49 | 23 | 68.1 |
| 5. x-მემფისი | 70 | 47 | 23 | 67.1 |
| 6. გ. სტეიტი | 72 | 41 | 31 | 56.9 |
| 7. ჰიუსტონი | 70 | 39 | 31 | 55.7 |
| 8. ლეიკერსი | 71 | 36 | 35 | 50.7 |
| 9. იუტა | 71 | 35 | 36 | 49.3 |
| 10. დალასი | 70 | 34 | 36 | 48.6 |
| 11. პორტლენდი | 70 | 33 | 37 | 47.1 |
| 12. მინესოტა | 68 | 24 | 44 | 35.3 |
| 13. ნიუ ორლეანი | 71 | 25 | 46 | 35.2 |
| 14. საკრამენტო | 71 | 25 | 46 | 35.2 |
| 15. ფინიქსი | 71 | 23 | 48 | 32.4 |

*y - დივიზიონის ჩემპიონი, x - გავიდა პლეი ოფში, * - დივიზიონის ლიდერი*

**ქულა**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.3 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 27.6 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.1 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 26.7 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 26.3 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 23.3 |
| სტივენ კარი (გ-სტ) | 22.5 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 21.5 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 21.0 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 21.0 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 12.5 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 11.8 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.6 |
| ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლ) | 11.5 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 11.4 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 11.2 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 11.0 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 10.8 |
| რეჯი ევანსი (ბრუკ) | 10.2 |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 10.2 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.1 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.7 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 9.3 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 8.6 |
| დერონ უილიამსი (ბრუკ) | 7.7 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.6 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 7.5 |
| ჯამირ ნელსონი (ორლ) | 7.4 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.4 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.4 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.3 |
| კემბა უოკერი (შარ) | 2.0 |
| მონტა ელისი (მილ) | 2.0 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 1.8 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 1.8 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.8 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 1.8 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| ლარი სანდერსი (მილ) | 3.0 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 3.0 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.7 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.4 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.2 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.1 |
| ჯავალ მაკგი (დენ) | 2.0 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 1.9 |
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 1.8 |


სტივენ კარიმ ლეიკერსი გაანბილა

# მაიამიმ გააგრძელა, დენვერმა შეწყვიტა

"მაიამის" სერია გაგრძელდა, სამაგიეროდ, შეწყდა "დენვერის" 15-მატჩიანი მოგებათა სერია. არადა, "ნაგეტსს" ძლიერი მეტოქე არ ჰყავდა – "ნიუ ორლეანი", რომელსაც, თან **გრეივის ვასკესი** აკლდა ტრავმის გამო. ასე რომ, ყველა ელოდა "დენვერის" მოგებას, მაგრამ მასპინძლები ამ პროგნოზს არ ეთანხმებოდნენ. ბრწყინვალედ ითამაშა "ჰორნეტსის" წინა ხაზმა, რომელმაც მეტოქეს სამწამიანი ზონიდან მხოლოდ 38 ქულა დააგროვებინა, რაც ამ სეზონში ბევრმა ვერ შეძლო. გარდა ამისა, "ნაგეტსის" დაცვა ვერ გაუკლავდა "ნიუ ორლეანის" შორეულ არტილერიას, რომელმაც 25-დან 14 სამქულიანი გამოიყენა. ამ მხრივ, ყველაზე სახიფათონი იყვნენ **ანდერსონი** (5 შორეული ტყორცნა), **მეისონი** და **მილერი** (4-4).

დღის ბოლო ორმა მატჩმა ძალიან გაამძაფრა ინტრიგა დასავლეთ კონფერენციაში, რადგან, "იუტამ" ისარგებლა "ლეიკერსის" მორიგი წაფორხილებით და კალიფორნიელებს ერთი მოგების დისტანციაზე მოუახლოვდა. "ჯაზმენებმა" "ფილადელფიასთან" მატჩი 14:2 გაქცევით დაიწყეს, რის შემდეგაც აღარ გასჭირვებიათ კომფორტული უპირატესობის შენარჩუნება.

რაც შეეხება "ლეიკერსს", ის მეტოქის მიერ კარგად ჩატარებული პირველი ტაიმის მსხვერპლი გახდა. "გოლდენ სტეიტმა" უკვე პირველ მეოთხედში მოიპოვა 14-ქულიანი უპირატესობა, რაც **ტომპსონისა** და **კარის** სამქულიანების წყალობით გახდა შესაძლებელი. ასევე შორეული ტყორცნები გახდა "ლეიკერსის" კიდევ ერთი ჩავარდნის მიზეზი. ტომპსონის, **ბარნსისა** და კარის ზედიზედ ოთხი სამქულიანის წყალობით, "მეომრების" უპირატესობა 25 ქულამდე ავიდა. მაგრამ, თავისი სიტყვა თქვა **ბრაიანტმა**, რომელმაც თითქმის მთელი მესამე მეოთხედი საჯარიმოს ხაზზე გაატარა. მესამე 12-წუთეულში მის ანგარიშზე 16 ქულა იყო, რომელთაგანაც 9 თავისუფალ ტყორცნებზე მოდის. ბოლო მეოთხედში "ლეიკერსმა" თანდათან დაიწყო ჩამორჩენის გაბათილება, მაგრამ იმავე კობის ზედმეტმა მონდომებამ გაუფუჭა საქმე. როცა სხვაობა 16 ქულამდე დავიდა, ბრაიანტმა აქტიურ მოქმედებაზე გადასვლა გადაწყვიტა და გაუთავებლად ისროდა სამქულიანებს, მაგრამ ეს ტყორცნები სიზუსტით არ გამოირჩეოდა - "ლეიკერსის" ლიდერმა ბოლო წუთებზე ხუთიდან ხუთი სამქულიანი ააცილა.

"მაიამიმ" ისევ მოიგო, თანაც ისე, რომ ტრადიციას ულალატა და მეტოქეს არ მისცა 10-ქულიანი უპირატესობა. მაქსიმალური ჰანდიკაპი, რომელიც "ორლანდოს" ჰქონდა, მხოლოდ ექვს ქულას შეადგენდა და "ჰიტმა" ის ყოველგვარი პრობლემის გარეშე გააბათილა. საბოლოო დარტყმა კი "მაიამიმ" მეტოქეს მესამე მეოთხედის ბოლოს მიაყენა, როცა ანგარიში 68:68 იყო. ამის შემდეგ, "ორლანდოს" ზედიზედ ხუთი შეტევა შეცდომებით ან მაიამელთა დაფარებებით დასრულდა, **ლებრონი** კი ამ შეცდომების გამო სჯიდა მეტოქეს. სწორედ ჯეიმსი გახდა 10:0 გაქცევის ავტორი, როცა 7 ქულა დააგროვა და ერთი შედეგიანი პასი შეასრულა. საერთოდ, "ჰიტმა" ის კალათბურთი ითამაშა, რომელმაც მას ჩემპიონობა მოუტანა. ჯეიმსის 11-დან რვა შედეგიანი პასით მისმა პარტნიორებმა სამქულიანები ჩააგდეს. სულ "მაიამიმ" 28-დან 15 შორეული ტყორცნა გამოიყენა, ამასთან, ჯეიმსს არც ერთი სამქულიანი არ უსვრია.

„მაიამიმ“ ზედიზედ 27-ე მატჩი მოიგო და ახლა ექვსი გამარჯვება სჭირდება „ლეიკერსის“ აბსოლუტური რეკორდის გამეორებისთვის, რომელიც მიჯრით 33 მოგებას უტოლდება.

კრივი

# მენი სექტემბერში დაბრუნდება

## დევიდ ჰეიმ წელს ორი ბრძოლა დაგეგმა

რვაწონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, 34 წლის ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** განაცხადა, რომ აუცილებლად დაბრუნდება რინგზე ამა წლის სექტემბერში. შეგახსენებთ, რომ გასული წლის დეკემბერში პაკიაომ ნოკაუტით უმძიმესი მარცხი იწვნია მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესისგან**.

*"გადაეცით ჩემს გულშემატკივრებს, რომ მოთმინებით აღიჭურვონ, - ამბობს პაკიაო. – ბობ არუმი და მე მუდმივად კონტაქტში ვართ. ზუსტად შემიძლია გითხრათ, რომ სექტემბერში მიხილავთ რინგზე. მთლიანად გამოვედი ბოლო დამარცხებისგან. თუ ბოლო ინფორმაციებს დავუჯერებთ, მარკესი არ აპირებს ჩემთან მეხუთედ ჩხუბს. ეს მისი საქმეა. მე კი მზად ვარ, ნებისმიერს შევებრძოლო. არავისი მეშინია. არავისთან ჩხუბისთვის არ ამირიდებია თავი. არ ვირჩევ იოლ ბრძოლებს. ნებისმიერს შევებრძოლები ნებისმიერ ადგილსა და დროს. თუ ვინმეს არ უნდა ჩემთან ჩხუბი, არც მე მინდა მასთან შეხვედრა".*


დევიდ ჰეი

■ ■ ■

ამასობაში, გაზეთი "ტელეგრაფი" იტყობინება, რომ 32 წლის ბრიტანელი მძიმეწონოსანი **დევიდ ჰეი** ამ კვირას გამოაცხადებს თავისი გეგმების შესახებ. როგორც ირკვევა, მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს 2013 წელს ორი ბრძოლა აქვს დაგეგმილი. ჰეი ივლისსა და ოქტომბერში აპირებს რინგზე გასვლას. სწორედ ამ ბრძოლების შემდეგ სურს ბრიტანელს აუცილებელი პრეტენდენტის სტატუსის მიღება **ვიტალი** ან **ვლადიმერ კლიჩკოსთან** შესახვედრად.

გოლფი

# ვონთან რომანი სასარგებლოა


ტაიგერ ვუდსი

**ტაიგერ ვუდსი** კვლავ მსოფლიოს პირველი გოლფისტია. ლეგენდარულმა ამერიკელმა ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოში მოიგო არნოლდ პალმერის სახელობის ტურნირი, რითაც პროფესიული გოლფის რეიტინგის პირველ საფეხურზე ჩაანაცვლა ჩრდილოირლანდიელი **რორი მაკილროი**. ტაიგერმა 2010 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველად დაიბრუნა პირველი პოზიცია PGA-ის ტურის კლასიფიკაციაში.

ორლანდოში ვუდსმა 18 ორმო 70 დარტყმით გაიარა და ორი ნაბიჯით მოუგო მეორე ადგილზე გასულ ბრიტანელ **ჯასტინ როუზს**.

ეს იყო ვუდსის კარიერაში 77-ე გამარჯვება, გარდა ამისა, მან მერვედ მოიგო არნოლდ პალმერის სახელობის ტურნირი, რაც აბსოლუტური რეკორდი გახლავთ. საერთო ჯამში, ტაიგერმა კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე 623 კვირა გაატარა.

როგორც ჩანს, ამერიკელ მოთხილამურე **ლინდსი ვონთან** რომანმა ტაიგერზე დადებითად იმოქმედა. ვუდსის სახეს ღიმილი არ სცილდება და რაც მთავარია, ახალმა სასიყვარულო ისტორიამ სპორტული შედეგები გააუმჯობესა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი



ალექსანდრ ოვეჩკინი

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად დაასახელა "ვაშინგტონის" რუსი ვარსკვლავი **ალექსანდრ ოვეჩკინი**. მან ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა და რვა ქულა და ხუთი გოლი მიითვალა. სულ კი ფორვარდი ზედიზედ ხუთ შეხვედრაში აგროვებს მინიმუმ ერთ ქულას და ეს სერია 9 ქულას (6+3) მოიცავს. 27 წლის ოვეჩკინი "ვაშინგტონის" ლიდერია გოლების რაოდენობით (16) და მეორეზეა – ქულებით (31).

კვირის მეორე ვარსკვლავი გახდა "მინესოტა უაილდის" მეკარე **ნიკლას ბექსტრიომი**, რომელმაც თავის გუნდს სამიდან სამი მატჩი მოაგებინა, საშუალოდ 1.0 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 97.2 პროცენტი მოიგერია. სწორედ ამ მეკარის დამსახურებით "მინესოტას" ხუთმატჩიანი მოგებათა სერია აქვს. ფინელმა "სან ხოსესთან" მატჩში 33 დარტყმა მოიგერია და კარიერაში 27-ე "შატაუტი" შეასრულა. ბექსტრიომს ამ სეზონში უკვე 16 მოგება დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა ლიგაში.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი ერგო "ტორონტოს" ფორვარდ **ნაზემ კადრის**, რომელმაც სამ მატჩში შვიდი ქულა (3+4) დააგროვა. ამ ქულების უმეტესი კადრიმ ორ მატჩში დააგროვა - "ტამპა ბეისთან" შეხვედრაში სამი საგოლე პასი გააკეთა, "ბაფალოსთან" კი დუბლი შეასრულა და ერთი შედეგიანი გადაცემა დაუმატა. 22 წლის ფორვარდს 32 მატჩში 34 ქულა აქვს. ის ლიდერობს "ტორონტოში" 14 გოლითა და 20 პასით.

**ბოსტონი–ტორონტო 3:2 (ბ)**

0:0, 1:2, 1:0, 0:0

**გოლები**: 0:1 ლუპული-4 (გარდინერი-2, გრაბოვსკი-6), 0:2 კულემინი-5 (კადრი-21), 1:2 ლუჩიჩი-5 (პეეერლი-7, კარონი-2), 2:2 პ. ბერჟერონი-9 (დ. ჰემილტონი-10, მარჩანდი-13).

**ბულიტები გაიტანეს**: სეგუინი (ბოსტონი), ბოზაკი (ტორონტო), პ. ბერჟერონი (ბოსტონი).

**ოტავა–ნიუ ჯერსი 3:2 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები**: 1:0 ფილიპსი-5 (ლუნდინი-1, ზიბანეჯადი-7), 1:1 ლოკტიონოვი-6 (ბერნიე-4, გრინი-9), 2:1 გრინინგი-5 (ტარისი-14, კონდრა-7), 2:2 ჟიდლიცკი-4.

**ბულიტები გაიტანეს**: ალფრედსონი (ოტავა), ზეიჯაკი (ნიუ ჯერსი), ზიბანეჯადი (ოტავა).

**ჩიკაგო–ლოს ანჯელესი 4:5**

1:0, 2:3, 1:2

**გოლები**: 1:0 ფროლიკი-2 (საადი-12, კიტი-15), 1:1 კოპიტარი-10, 1:2 სტოლი-7 (ტ. ლუისი-7, სკუდერი-9), 2:2 ფროლიკი-3 (კიტი-16, ტეივზი-16), 3:2 პ. კეინი-17 (ჰეიესი-1, სიბრუკი-10), 3:3 კინგი-4 (დაუტი-12, ელერბი-3), 4:3 ტეივზი-16 (ფროლიკი-4, კიტი-17), 4:4 ტოფოლი-2 (ფრეზერი-5, ვოინოვი-16), 4:5 დ. ბრაუნი-12 (კოპიტარი-20).

**ნეშვილი–ედმონტონი 3:2**

1:1, 2:0, 0:1

**გოლები**: 0:1 ტ. ჰოლი-7 (პოტრი-1, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-10), 1:1 ს. კოსტიცინი-3 (ფიშერი-9, ერატი-15), 2:1 კლაინი-2 (ს. კოსტიცინი-10, ერატი-16), 3:1 მიულერი-2 (იიპი-5, ბერტლი-2), 3:2 ჰორკოფი-5 (ჰემსკი-10, შულცი-5).

**დალასი–მინესოტა 4:7**

2:1, 1:3, 1:3

**გოლები**: 1:0 გოლიგოსკი-1 (დ. როი-15), 1:1 პარიზე-13 (სეტოგუჩი-10, კულენი-17), 2:1 იაგრი-14 (ლ. ერიქსონი-13, რეი უიტნი-8), 2:2 მ. კოივუ-8 (პარიზე-13, სტოუნერი-6), 3:2 დელეი-4 (ლ. ერიქსონი-14, დ. როი-16), 3:3 პარიზე-14 (მ. კოივუ-20, ბროდინი-4), 3:4 კულენი-5 (ბუშარი-10, სპარჯონი-6), 4:4 ლარსენი-2 (რ. სმიტი-3, ვინკური-1), 4:5 ბროძიაკი-6 (კლატერბეკი-3, სტოუნერი-7), 4:6 ჰიტლი-9 (კლატერბეკი-4, ბროძიაკი-3), 4:7 ბუშარი-4 (სპარჯონი-7).

**ფინიქსი–დეტროიტი 2:3**

2:1, 0:1, 0:1

**გოლები**: 0:1 ი. უაიტი-2 (კინდლი-8, ქლირი-3), 1:1 ჰანჟალი-8 (ვრბატა-10, ეკმან-ლარსონი-16), 2:1 კლინკჰამერი-3 (მოსი-11, იენდლი-12), 2:2 ფრანცენი-7 (კრონვალი-18, დაციუკი-24), 2:3 დაციუკი-11 (ზეტერბერგი-24, კრონვალი-19).

**ანაჰაიმი–სან ხოსე 3:5**

0:2, 1:1, 2:2

**გოლები**: 0:1 ბერნსი-3 (ჰავლატი-6, ჯ. ტორნტონი-24), 0:2 პაველსკი-8, 0:3 ჰავლატი-4 (ირვინი-4, ბერნსი-5), 1:3 ეტემი-2 (ლავჯრი-8, ფაულერი-5), 2:3 ბოშემენი-5 (გეტცლაფი-25, პერი-17), 2:4 შეპარდი-1, 3:4 პერი-10 (რაიანი-15), 3:5 დ. ბოილი-5 (პაველსკი-11).

# ტამპას მწვრთნელი უპოვეს

"ტამპა ბეის" ახალი მთავარი მწვრთნელი გახდა **ჯონ კუპერი**. შეგახსენებთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ცუდი შედეგების გამო დაითხოვა **გი ბუშე** და რამდენიმე დღის შემდეგ 45 წლის კუპერზე შეაჩერა არჩევანი.

"ლაითნინგის" ახალ მწვრთნელს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მუშაობის გამოცდილება არ გააჩნია. სამაგიეროდ, ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHL) კლუბ "ნორფოლკ ადმირალსთან" ერთად მიაღწია ფანტასტიკურ შედეგებს. 2011-12 წლების სეზონში გუნდს 55 გამარჯვება მოაპოვებინა და რეგულარულის მსვლელობისას ზედიზედ 28 მოგება ჰქონდა.

"ტამპა" ამ მომენტისთვის მე-14 ადგილზეა აღმოსავლეთ კონფერენციაში და საკმაოდ არის დაშორებული პლეიოფის ზონას.

■ ■ ■

"ფილადელფია" და "ანაჰაიმი" ფორვარდების გაცვლას ამზადებენ. ჟურნალისტები ვარაუდობენ რომ "მფრინავების" რიგებში გადავა 26 წლის **ბობი რაიანი**, საპირისპირო მიმართულებით კი გაემგზავრება 20 წლის **შონ კუტურიე**. ამ გარიგების ინიციატორია "ანაჰაიმი", რადგან მას ფორვარდი სჭირდება მეორე სამეულში.

კუტურიემ მიმდინარე სეზონში "ფილადელფიას" რიგებში 29 მატჩი ჩაატარა და შვიდი ქულა (2+5) დააგროვა, რაიანის ანგარიშზე კი 24 ქულა (9+15) მოდის.



ჯონ კუპერი

## ამბები

**მძლეოსნობა**

### ჩემპიონს დოპინგი უპოვეს

1500 მეტრზე სირბილში ევროპის 2012 წლის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, თურქი **ასლი ჩაქირ ალფთექინი** დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს.

ჯერჯერობით უცნობია, ეს დოპინგ-სინჯი ოლიმპიადამდეა აღებული თუ შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმება ლონდონის თამაშამდე ჩატარდა, თურქ მორბენალს ოქროს მედალს ჩამოართმევენ.

**კალათბურთი**

### გარნეტი თამაშგარეშია

"ბოსტონ სელტიქსის" მძიმე ფორვარდი **კევინ გარნეტი**, რომელმაც პარასკევს, "დალასთან" მატჩში ფეხი დაიზიანა, უახლოეს ხანში გაივლის სამედიცინო შემოწმებას. ვარაუდობენ, ვეტერანი "სელტიქსის" მომდევნო 4-5 თამაშს გამოტოვებს.

გარნეტი უკვე ვერ დაეხმარა თავის გუნდს ერთ მატჩში, როცა "ბოსტონმა" კვირას წააგო "მემფისის" წინააღმდეგ.

### 448 მილიონი საკრამენტოს გადასარჩენად

საკრამენტოს მერიამ გამოაქვეყნა ქალაქის რეკონსტრუქციისა და მისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მასშტაბური გეგმა. სწორედ ამ გზით აპირებს ქალაქის მთავრობა NBA-ს კლუბის – "საკრამენტო კინგზის" შენარჩუნებას.

იტყობინებიან, რომ საოფისე მოედნების, სასტუმროების, რესტორნებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის და რეკონსტრუქციისთვის 448 მილიონი დოლარი იქნება გამოყოფილი. ობიექტების ჩაბარების მიახლოებითი ვადაა 2016 წლის სექტემბერი.

**ჩოგბურთი**

### აზარენკა მონტერეისაც გამოტოვებს

კვლავინდებურად ტრავმირებულია მსოფლიოს მეორე ჩოგანი **ვიქტორია აზარენკა**. მან ფეხის დაზიანების გამო ვერ დაასრულა ინდიან უელსის ტურნირი, გამოტოვა მაიამის ჩემპიონატი და როგორც ახლა ირკვევა, მონტერეის ტურნირიდან აპირებს განაცხადის გამოტანას.

*„ასეთი მდგომარეობა ძალიან მაშფოთებს, რადგან ავადმყოფობა გამიგრძელდა. არ მინდა პაუზის აღება, მაგრამ ვერ ვაკონტროლებ მოვლენებს. არასასიამოვნოა, როცა რითმიდან ვარდები და არ შეგიძლია შენი საყვარელი საქმის გაგრძელება. დრო კიდევ მაქვს მომზადებისთვის და იმედია, გავუმკლავდები პრობლემებს"*, - ამბობს აზარენკა.

### დელ პოტრო დასვენებას აპირებს

ძველი ტრავმა აწუხებს ATP-ის ტურის ერთ-ერთ წამყვან ჩოგბურთელს **ხუან მარტინ დელ პოტროს**. არგენტინელმა ბრწყინვალე თამაში აჩვენა ინდიან უელსის მასტერსზე, სადაც, მხოლოდ **რაფაელ ნადალთან** წააგო ფინალური მატჩი, მაგრამ მაიამიში პირველივე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას.

გერმანელ **ტობიას კამკესთან** წაგების შემდეგ, დელ პოტროს ხანგრძლივი დასვენება აქვს გადაწყვეტილი და კორტზე მხოლოდ 29 აპრილს დაბრუნდება, როცა პორტუგალიის ღია პირველობა აიღებს სტარტს.

*„იმედია, ეს პაუზა მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას მომცემს. ტრავმირებული მაჯა უნდა დავასვენო, რათა მნიშვნელოვან ტურნირებს ასი პროცენტით შევხვდე მომზადებული"*, - განაცხადა დელ პოტრომ.

ვვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **მსოფლიოს თასი** | |
| **აზია** | |
| კორეა-კატარი | 2:1 |
| უზბეკეთი-ლიბანი | 1:0 |
| ავსტრალია-ომანი | 2:2 |
| იორდანია-იაპონია | 2:1 |
| **აფრიკა** | |
| ეგვიპტე-ზიმბაბვე | 2:1 |
| ალჟირი-ბენინი | 3:1 |
| **ს. ამერიკა** | |
| ბოლივია-არგენტინა | 1:1 |
| ეკვადორი-პარაგვაი | 4:1 |
| **ოკეანეთი** | |
| სოლომონის კ-ები-ზელანდია | 0:2 |
| ახ. კალედონია-ტაიტი | 1:0 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 17** | |
| ბელგია-ხორვატია | 1:1 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 3:2 |
| უნგრეთი-ფინეთი | 3:2 |
| შვედეთი-ბელარუსი | 4:1 |
| უკრაინა-ესტონეთი | 5:1 |
| გერმანია-ბულგარეთი | 5:2 |
| ჰოლანდია-ნორვეგია | 1:1 |
| ჩრ. ირლანდია-იტალია | 0:0 |
| **ევრო 2015** | |
| **UNDER 21** | |
| ბელარუსი-ისლანდია | 1:2 |
| ანდორა-რუსეთი | 0:3 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| მალაიზია-პალესტინა | 0:2 |
| ერაყი-სირია | 2:1 |
| ლუქსემბურგი-ფინეთი | 0:3 |
| ალბანეთი-ლიტვა | 4:1 |
| სლოვაკეთი-შვედეთი | 0:0 |
| **UNDER 21** | |
| პოლონეთი-ლატვია | 4:1 |
| ბოსნია-მაკედონია | 5:0 |
| ჩეხეთი-თურქეთი | 0:0 |
| **კლუბები** | |
| ჰალმსტადი-გაის | 4:0 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ძროული-ძრიუ | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| ალფრეტონი-ტამუორტი | გადაიდო |
| ბრენტრი-ლინკოლნი | 0:3 |
| გეიტშიდი-გრიმსბი | 1:1 |
| ჰერეფორდი-დარტფორდი | 1:0 |
| ჰაიდი-კემბრიჯი | 2:1 |
| კიდერმინსტერი-უოკინგი | 2:2 |
| მენსფილდი-ნანიტონი | 1:0 |
| საუთპორტი-ნიუპორტი | 0:2 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ბურგჰაუზენი-ოფენბახი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ობერნოილანდი-ჰანოვერი II | 2:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩ–ა)** | |
| ნოიშტელიტცი-ჰერტა II | 3:1 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| დუისბურგი II-შალკე II | 0:6 |
| კიოლნი II-ფერლი | 1:3 |
| ესენი-ფორტუნა (კ) | 0:1 |
| ვიქტორია-ვიდენბრუკი | 0:1 |
| **რეგიონალლიგა (ს–დ)** | |
| აინტრახტი II-ეშბორნი | 0:2 |
| კაიზერი II-ბაიერნი (ა) | 3:0 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ბაიერნ ჰოფი-ფრონლახი | 2:1 |
| ზელიგენპორტენი-აუგსბურგი II | 0:3 |
| ჰაიმშტეტენი-ფიურტი II | 2:5 |
| მემინგენი-ბამბერგი | 5:1 |
| **პოლონეთის თასი** | |
| ოლიმპია-ლეგია | 1:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| ლოკომოტივი-ვალენსია | 63:68 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-გაზიანთეფი | 95:59 |
| **ჰოკეი** | |
| **ჩეხეთი** | |
| ზლინი-ტრშინეცი | 3:1 |
| **დანია** | |
| ოდენსე-სონდერიისკი | 1:4 |
| ფრედრიკშავნი-როდოვრე | 3:2 (ო) |
| **გერმანია** | |
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 2:5 |
| ვოლფსბურგი-მანჰაიმი | 3:0 |
| სტრაუბინგი-კიოლნი | 3:6 |
| ჰამბურგი-აისბარენი | 2:3 (ო) |
| **ნორვეგია** | |
| ლორენსკოგი-სტავანგერი | 5:6 |
| **რუსეთი** | |
| დინამო-სკა | 4:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| პიესტანი-ზვოლენი | 2:3 (ბ) |
| **შვეიცარია** | |
| ცუგი-ბერნი | 5:2 |
| ციურიხი-ფრიბურგი | 5:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| ფერერი-ნიშიკორი | 6:4, 6:2 |
| მელცერი-რამოსი | 2:6, 6:3, 6:3 |
| გასკე-ალმაგრო | 6:7, 7:5, 7:6 |
| მიურეი-სეპი | 6:2, 6:4 |
| ბერდიხი-კუერი | 6:1, 6:1 |
| ცონგა-ჩილიჩი | 5:7, 6:7 |
| **WTA. მაიამი** | |
| ს. უილიამსი-ნა ლი | 6:3, 7:6 |

## TV პროგრამა

**27 მარტი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ჰოლანდია-რუმინეთი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ლივერპული.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ტიგრე.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. XIV ტურის მიმოხილვა.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. გუარანი-კორინთიანსი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-აიაქსი.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. შოტლანდია-უელსი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-კლიპერსი.
15:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. სან პაულუ-ბრაგანტინო.
17:00 რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ფიჯი.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-რედინგი.
22:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჩიკაგო ბულზი. 1996-97 წლები. I ნაწილი.
23:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-კლიპერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
14:00 სპორტ-NEWS.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ. მიმოხილვა.
19:00 სპორტ-NEWS.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მასტერსი. მაიამი. აშშ (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 7 | 18 | (მზე) |
| ქუთაისი | 13 | 20 | (მზე) |
| ბათუმი | 15 | 21 | (წვიმა) |
| ფოთი | 15 | 21 | (უნალექოდ) |
| ზუგდიდი | 14 | 21 | (უნალექოდ) |
| გორი | 5 | 16 | (წვიმა) |
| თელავი | 5 | 19 | (უნალექოდ) |
| სიღნაღი | 5 | 18 | (უნალექოდ) |
| გუდაური | -4 | 4 | (თოვლჭყაპი) |
| ბაკურიანი | -1 | 7 | (თოვლჭყაპი) |
| ბორჯომი | 4 | 12 | (წვიმა) |
| მესტია | 0 | 7 | (თოვლჭყაპი) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1350 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6585 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5176 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3719 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. მაიამი

# მაიამიში სენსაციები არ იციან

მაიამის მასტერსზე დასრულდა მესამე წრე და სრულად დაკომპლექტდა მერვედფინალისტთა შემადგენლობა. ფავორიტთაგან ყველაზე მეტად **ტომაშ ბერდიხს** გაუჭირდა, რომელსაც ორი საათი და 21 წუთი ბრძოლის გადატანამ მოუწია **ალეხანდრო ფალას** წინააღმდეგ. ჩეხმა ბეწვის ხიდზე გაიარა, რადგან მეორე სეტში ორი მატჩბოლის მოგერიება დასჭირდა. საბოლოოდ, ბერდიხმა პარტია გადაარჩინა და მესამე სეტში 6:4 გაიმარჯვა. ეს ამ სეზონში ტომაშის მე-20 მოგებაა და ის ზედიზედ ექვსი ტურნირია გადის მეოთხედფინალში. ახლა, ამ სერიის შვიდ ტურნირამდე ასაყვანად, ბერდიხს მერვედფინალში ამერიკელი **სემ კუერის** დამარცხება მოუწევს, რომელმაც უბრძოლველად გაიარა მესამე წრის ბარიერი, რადგან ტრავმის გამო კორტზე გასვლაზე უარი თქვა კანადელმა **მილოშ რაონიჩმა**.

დიდი ბრძოლა გაუმართა ბულგარელმა **გრიგორ დიმიტროვმა** ტურნირის მეორე ნომერს, ბრიტანელ **ენდი მარეის**. პირველ სეტში დიმიტროვი 5:2 დაწინაურდა და ორი სეტბოლიც ჰქონდა, მაგრამ ბრიტანელმა ორი საპასუხო ბრეიკი გააკეთა და შემდეგ ტაი-ბრეიკზე მოიგო პარტია – 7:3. მეორე სეტში კი ენდის პრობლემა აღარ შექმნია და ახლა, დიმიტროვთან ურთიერთშეხვედრებში 3:0 წაიყვანა ანგარიში.

მარეი მეოთხედფინალის საგზურისთვის იტალიელ **ანდრეას სეპის** შეხვდება, რომელმაც ორსაათიან ბრძოლაში სამ სეტში მოუგო ბრაზილიელ **ტომაშ ბელუჩის**. აპენინელმა მთელი მატჩის განმავლობაში 10 ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და ოთხი შანსი გამოიყენა.

ტურნირს ჩამოშორდა ბადეს შემორჩენილი ერთადერთი რუსი ჩოგბურთელი **მიხაილ იუჟნი**. ის ურთიერთშეხვედრებში 4:3-ს უგებდა **რიშარ გასკეს**, მაგრამ ამჯერად დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ფრანგს. 87 წუთში რიშარმა 6:3, 6:4 მოიგო. გასკეს წელს შესანიშნავი სტატისტიკა აქვს: 19 მოგება, 4 წაგება და ორ ტურნირზე (დოჰა, მონპელიე) ტრიუმფი. ფრანგი მერვედფინალში ესპანელ **ნიკოლას ალმაგროზე** გავიდა. ამ უკანასკნელმა, ისევე როგორც შარშან, ბელგიელი **დავიდ გოფენის** ბარიერი გაიარა – 6:3, 6:4.

არ შექმნია პრობლემა კიდევ ერთ ფრანგს **ჟო-ვილფრიდ ცონგას**. მან ფინელ **იარკო ნიემინენთან** მატჩში მეტოქეზე 20-ით მეტი ქულა აიღო, სამი ბრეიკი გააკეთა და 65 წუთში იოლად მოიგო – 6:3, 6:3. ჟო მეოთხედფინალის საგზურისთვის **მარინ ჩილიჩს** შეხვდება. ხორვატმა ორ სეტში დაამარცხა ამერიკელი **ჯონ ისნერი**, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა 20 ეისი ჩააწოდა.


ენდი მარეი

### III წრე

**ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 4)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 2:6, 7:6(6), 6:4; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:3, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10)**-დავიდ გოფენი (ბელ) 6:3, 6:4; **ანდრეას სეპი (იტა, 16)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა) 7:5, 4:6, 6:2; **ენდი მარეი (ბრიტ, 2)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 29) 7:6(3), 6:3; **რიშარ გასკე (საფ, 8)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 28) 6:3, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 9)**-ჯონ ისნერი (აშშ, 20) 6:3, 7:6(3); **სემ კუერი (აშშ, 17)**-მილოშ რაონიჩი (კან, 14) უარი.

### 1/8 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-ჰაასი (15); ტიპსარევიჩი (7)-სიმონი (11); ფერერი (3)-ნიშიკორი (13); მელცერი-რამოსი; გასკე (8)-ალმაგრო (10); კუერი (17)-ბერდიხი (4); ცონგა (6)-ჩილიჩი (9); სეპი (16)-მარეი (2).

● ფორმულა 1



# კონფლიქტი ამოწურულია

"რედ ბულის" ხელმძღვანელი **კრისტიან ჰორნერი** დარწმუნებულია, რომ **მარკ უებერი** არ წავა გუნდიდან იმ სკანდალის მიუხედავად, რომელიც მალაიზიის გრანპრიზე მოხდა. შეგახსენებთ, რომ რბოლის შემდეგ, უებერმა განაცხადა – ავსტრალიაში გავემგზავრები და იქ დავფიქრდები საკუთარ მომავალზეო.

*"გუნდმა მკაფიო პოზიცია დაიკავა. მარკმა იცის, რომ ჩვენ არავის მანიპულირებას არ ვახდენდით, არ ყოფილა არანაირი შეთქმულება. ამიტომაც, რა საჭიროა მომავალზე ფიქრი? ეს ყველაფერი წმინდა წყლის ემოციაა. რბოლის შემდეგ, შიდა ბრიფინგი ჩავატარეთ და მე კიდევ ერთხელ დაველაპარაკე ორივე პილოტს. სებასტიანმა ბოდიში მოიხადა მარკისა და გუნდის წინაშე. ყველაფერი წესრიგშია და ახლა, ჩვენ მთლიანად მომდევნო რბოლაზე ვართ კონცენტრირებული"*, - განაცხადა ჰორნერმა.

კომენტარი გაუკეთა შექმნილ სიტუაციას "რედ ბულის" სპორტულმა კონსულტანტმა **ჰელმუტ მარკომ**. სხვათა შორის, ის ყოველთვის მხარს უჭერდა ახალგაზრდა გერმანელს რთულ სიტუაციებში. მარკომაც დაადასტურა, რომ ინციდენტი ამოწურულია.

*"პრესკონფერენციაზე სებასტიანმა ბოდიში მოიხადა – მე ეს პირველ სწორ ნაბიჯად მიმაჩნია. ფინიშის შემდეგ, ტრადიციული ბრიფინგი ჩავატარეთ, სადაც პილოტებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, ასე რომ, ინციდენტი ამოწურულია. ახლა, საჭიროა კონსტრუქციულად გავაგრძელოთ მუშაობა.*

*როცა ლაპარაკია გუნდის ინტერესებზე, უნდა არსებობდეს გარკვეული საზღვრები, პილოტი კი ვალდებულია დაემორჩილოს გუნდის ბრძანებას. ჩვენ არ ვითხოვთ ფეტელისგან ქცევის კარდინალურ ცვლილებას, მაგრამ მსგავსი სიტუაციის განმეორების შემთხვევაში, მან უფრო გონივრულად უნდა იმოქმედოს. სებასტიანი განადგურებულია. ის არ ელოდა საკუთარი თავისგან მსგავს სიტუაციაში ასეთ აგრესიულ მოქმედებას. არ მგონია, რომ მან იგივე გაიმეოროს"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ინციდენტს მარკომ.

# სერენა გადარჩა

მაიამიში ქალებმა უკვე სრულად გაიარეს მერვედფინალური რაუნდი. ამ ეტაპზე ფავორიტთაგან ყველაზე მეტად გაუჭირდა **სერენა უილიამსს**, რომელიც **დომინიკა ციბულკოვას** ხვდებოდა. ამერიკელს 2:6, 1:4-დან მოუწია თამაშის შემოტრიალებამ. სერენა ვერაფრით ახერხებდა თამაშში შესვლას. პირველ სეტში მან 18 უნებლიე შეცდომა დაუშვა, მეორე პარტიის პირველ ხუთ გეიმშიც ვერაფრით დაალაგა თამაში და თითქოს, ყველაფერი ციბულკოვას სენსაციური გამარჯვებისკენ მიდიოდა.

მაგრამ სლოვაკ ჩოგბურთელს ზუსტად იგივე დაემართა, რაც შარშან, ასევე მაიამის ტურნირზე და ასევე მერვედფინალში. მაშინ ციბულკოვა 6:1, 5:2-ს უგებდა **ვიქტორია აზარენკას** და „მოახერხა" მატჩის წაგება.

ასე მოხდა ამჯერადაც. სერენამ ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო და მეორე სეტი 6:4 მოიგო, მესამე პარტიაში კი მისი უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა – 6:2.

სერენას შემდეგი მეტოქე იქნება ჩინელი **ნა ლი**, რომელიც ავსტრალიის ღიას ფინალის შემდეგ პირველ ტურნირს ატარებს. აზიელმა შეაჩერა ესპანელი **გარბინ მუგურუსა ბლანკოს** სენსაციური სვლა. ლი კარგად შევიდა თამაშში და 5:1 დაწინაურდა, მაგრამ ესპანელმა გაიბრძოლა და ზედიზედ ხუთი გეიმის აღებით თავად გავიდა წინ. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ლიმ ისევ კარგად დაიწყო (6:1) და გარბინმა ისევ პატარა სასწაული მოახდინა – ანგარიში გაათანაბრა (6:6), თუმცა ლიმ მაინც მიაღწია გამარჯვებას. ამ დასანანი მარცხით განაწყენებულმა ბლანკომ მეორე სეტში წინააღმდეგობა ველარ გაუწია ჩინელს – 2:6.

უილიამსი და ლი შვიდჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ამერიკელს 6:1 მიჰყავს ანგარიში. ჩინელმა ერთადერთი მატჩი 2008 წელს შტუტგარტში მოიგო.

კიდევ ერთი თინეიჯერის წინსვლა შეჩერდა მესამე ეტაპზე. ხორვატი **აილა ტომლიანოვიჩი** ბოლომდე ებრძოდა ბელგიელ **კირსტენ ფლიპკენსს**, ტაი-ბრეიკზე მოიგო 52-წუთიანი პირველი პარტია, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. მეორე და მესამე სეტებში ბელგიელს მცირე უპირატესობა ჰქონდა და პირველად გავიდა უმაღლესი კატეგორიის ტურნირის მეოთხედფინალში.

ბელგიელის მეტოქე მეოთხედფინალში მოქმედი ჩემპიონი **აგნიეშკა რადვანსკა** იქნება. მასაც მოუწია საბრძოლო ხასიათის გამოვლენამ და 4:6, 3:2-ზე ზედიზედ ცხრა გეიმის აღებით მოიპოვა მეოთხედფინალში თამაშის უფლება. საინტერესოა, რომ მატჩის ბოლო რვა გეიმში პოლონელმა მხოლოდ ერთი გათამაშება წააგო.

რადვანსკასა და ფლიპკენსს შორის აქამდე მხოლოდ ერთი მატჩი ჩატარებულა. ეს სამი წლის წინ მოხდა, როცა აგნიეშკა მსოფლიოს მე-9 ნომერი იყო, ფლიპკენსი – 81-ე ნომერი.


სერენა უილიამსი

კიდევ ერთმა ჩოგბურთელმა დაგვამახსოვრა თავი თითქმის წაგებული მატჩის შემობრუნებით. იტალიელი **რობერტა ვინჩი** 0:3 იყო ჩამორჩენილი ფრანგ **ალიზ კორნეს** წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა გაისეირნა პირველ სეტში, როცა 32 წუთში 6:2 გაანადგურა მეტოქე, ხოლო, როცა კორნემ მეორე სეტის სტარტზე ორი ბრეიკი გააკეთა და 3:0 გავიდა წინ, ყველას მომთავრებული ეგონა საქმე. მაგრამ ფრანგმა ნერვულ დაძაბულობას ვერ გაუძლო და მეორე და მესამე სეტი ერთნაირი ანგარიშით – 4:6 წააგო.

ვინჩი მეოთხედფინალში **ელენა იანკოვიჩზე** გავიდა, რომელმაც პირველ სეტში გეიმი არ დაუთმო **სორანა კირსტეას**, მაგრამ მეორე პარტიაში ბრძოლამ მოუწია. რუმინელი 3:1 დაწინაურდა და 4:1-მდე ერთი ქულა აკლდა, მაგრამ ამას მოჰყვა სერბის მხრიდან ზედიზედ ხუთი გეიმის აღება და ელენა 2011 წლის შემდეგ პირველად, უმაღლესი კატეგორიის ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა.

### 1/8 ფინალი

**ნა ლი (ჩინ, 5)**-გარბინ მუგურუსა ბლანკო (ესპ) 7:6(6), 6:2; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ, 30)**-აილა ტომლიანოვიჩი (ხორ) 6:7(6), 6:4, 6:3; **სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 13) 2:6, 6:4, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 3)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 21) 6:2, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-სლოუნ სტივენსი (აშშ, 16) 4:6, 6:2, 6:0; **სარა ერანი (იტა, 8)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 12) 1:6, 6:4, 6:2; **რობერტა ვინჩი (იტა, 15)**-ალიზ კორნე (საფ, 32) 2:6, 6:4, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 22)**-სორანა კირსტეა (რუმ, 28) 6:0, 6:4.

### 1/4 ფინალი

ს. უილიამსი (1)-ლი (5); ა. რადვანსკა (4)-ფლიპკენსი (30); შარაპოვა (3)-ერანი (8); ვინჩი (15)-იანკოვიჩი (22).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608

9 772233 382000